www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 30 ოქტომბერი, 2009 წელი. №237 (2275) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ობამა თავდაცვის პოლიტიკის კანონპროექტს ამტკიცებს

A7



სცენაზეა ქართული ჯაზი

A9



რუსეთი უკან მოვიტოვეთ, ფინალში იტალია გველის

A13



# გარდამტეხი გარიგება

## თურქეთის და ირანის ენერგეტიკული თანამშრომლობა საფუძვლიან ცვლილებებს შეიტანს გლობალურ პოლიტიკაში

*თურქეთ-ირანის შეთანხმებამ ირანული გაზის ექსპორტის შესახებ, შესაძლოა, რეგიონში და მთელ მსოფლიოშიც პოლიტიკური სურათი შეცვალოს. ირანს "ნაბუკოს" პროექტში ჩართვასა და დიდ მოგებას სთავაზობენ, რაც, შესაძლოა, სტიმული გახდეს ბირთვული პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებისთვის. ამით რუსეთს საერთაშორისო თანამეგობრობის შანტაჟის საშუალება ხელიდან გამოეცლება. ირანის საკითხის მოგვარება რუსეთზე დასავლეთის ზეწოლის შესაძლებლობებს გაზრდის, რასაც საქართველოს საკითხში აშშ-სა და ევროპის უფრო აქტიური ჩარევის პირობებს შექმნის.*

დიმიტრი ავალიანი

ურთიერთგაგების მემორანდუმი ორ ქვეყანას შორის ნავთობისა და გაზის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, თეირანში თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ვიზიტის მთავარი შედეგი გახდა.

თურქეთის ენერგეტიკის მინისტრ ტანერ ილდიზის განცხადებით, დოკუმენტი ითვალისწინებს თურქული მხარის მონაწილეობას ირანის უმსხვილესი გაზის საბადოს - სამხრეთ ფარსის ათვისებაში.

რამდენიმე წელიწადში მხარეები საბადოდან წლიურად 35 მილიარდი კუბური მეტრის მოპოვებას გეგმავენ. აქედან ნახევარს - 17,5 მილიარდ კუბურ მეტრს - თურქეთი ევროპაში გაყიდის. ტანერ ილდიზის განცხადებით, ამ პროექტის განხორციელების შედეგად ირანი, შესაძლოა, "ნაბუკოს" გაზსადენისთვის გაზის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი გახდეს.

"ნაბუკოს" პროექტის რეალიზაციის შესახებ სამთავრობოთაშორისო შეთანხმებას თურქეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა და ავსტრიამ 13 ივლისს მოაწერეს ხელი. ამ გაზსადენის მშენებლობა 2014 წელს უნდა დასრულდეს. პროექტის მიხედვით, კასპიის რეგიონის ბუნებრივი აირის ცენტრალურ ევროპაში ტრანსპორტირება რუსეთის გვერდის ავლით მოხდება. "ნაბუკოს" საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 31 მილიარდ კუბურ მეტრამდეა გათვალისწინებული.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ირანის გაურკვეველი პასუხი

ივა შილაკაძე

ირანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, გუშინ ირანმა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) გადასცა თავისი პასუხი ურანის უცხოეთში გამდიდრების შეთანხმებული სქემის შესახებ, თუმცა სააგენტოს ამ პასუხის მიღება ჯერ არ დაუდასტურებია.

საუბარია ირანის დაბალ დონეზე გამდიდრებული ურანის (2,5 პროცენტამდე) რუსეთში გაგზავნაზე, სადაც ის საჭირო კონდიციამდე 19,75 პროცენტამდე გამდიდრდება (20 პროცენტზე მეტი უკვე საიარაღო დანიშნულებისაა). ეს ურანი გადავა საფრანგეთში და იქ თანამედროვე ამერიკული ტექნოლოგიით დამზადდება საწვავის ბრიკეტები ატომური რეაქტორისთვის. საბოლოო პროდუქტი უკან დაუბრუნდება ირანს.

ირანს ეს პასუხი წინასწარი შეთანხმების შედეგად ჯერ კიდევ წინა პარასკევს უნდა ეთქვა. შეთანხმების ტექსტი ვენაში ატომური სააგენტოს შტაბ-ბინაში წინა კვირის დასაწყისში შემუშავდა და პარაფირებულ იქნა თვით ირანის დელეგაციის მიერაც, მაგრამ მაინც გაიგზავნა თეირანში ქვეყნის ხელმძღვანელობასთან შესათანხმებლად. ამ ხნის განმავლობაში ირანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აქვეყნებდნენ ინფორმაციას, რომ ირანი აღნიშნულ წინადადებებს გარკვეული პირობებით თანხმდება. პასუხის დაგვიანებას უკვე მოჰყვა უკმაყოფილება ოფიციალურ დონეზე, გუშინწინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა მკაცრად განაცხადა, რომ დრო ირანის საწინააღმდეგოდ მუშაობს. კვლავ გამოითქვა აზრი სანქციების შესაძლო გამოყენების შესახებ.

გაგრძელება A8 გვერდზე

# სიცრუესა და სიმართლეს შორის

სოფო კილასონია

დღეს რუბრიკაში აქცენტი ერთ თემას ნამდვილად ვერ შევეხები. თუმცა, კვირის მთავარი მოვლენა მაინც “რივერდანსს” ეხება. ნამდვილსაც და შეთხზულ-გამოგონილს. მიუხედავად იმისა, რომ არ გამომრჩენია არც ერთი კომენტარი, რომელსაც კონცერტის ორგანიზატორები აკეთებდნენ ამ კვირაში, ამ ამბავს ერთი დიდი ტყუილი უნდა ვუწოდო, სხვა ვერაფერი და თუ რატომ, ქვემოთ გავშლი. დაბოლოს, ტყუილის გარდა საქმე ეხება ძვირად, 200-ლარიან ბილეთად შეფასებულ უხარისხოობას და ეს უხარისხო ტყუილი კონკრეტულმა ადამიანებმა სახელმწიფო ფულით განახორციელეს. სტატიაში ასევე გაეცნობით ნამდვილი “რივერდანსის” ქართველ მოცეკვავეს, ნათია რთველიაშვილს, რომელიც თავის მხრივ აღშფოთებას ვერ მალავს ჩემთვის მოწერილ კომენტარში... და სულ ბოლოს კიდევ ერთ პრემიერაზე მოგახსენებთ, რომელიც ახლახან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ვიხილე და რომელსაც ჰქვია “ციმბირიდან მოსკოვამდე”...

გაგრძელება A11 გვერდზე



*"რივერდანსი"*

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## რუსეთი ოთხჯერ გაზრდის საჯარისო შენაერთების რაოდენობას ჩრდილოეთ კავკასიაში

უახლოეს მომავალში ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა ოთხჯერ გაიზრდება. ეს ინფორმაცია შეიარაღებული ჯარებიდან უცნობ წყაროზე დაყრდნობით "ნეზავისიმაია გაზეტამ" გუშინ გაავრცელა. როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ცოტა ხნის წინ დასრულდა მოსკოვის ოლქის ქალაქ დიმიტროვიდან 474-ე ცალკეული საავტომობილო ბატალიონის როსტოვის ოლქის ქალაქ მალეროვოში გადატყორცნა. გარდა ამისა, ჩეჩნეთის დაბა ბორზოიში ჩამოყალიბდა მე-8 ცალკეული სამთო მოტომსროლელი ბრიგადა, ხოლო ვლადიკავკაზში 58-ე არმიის ბაზაზე ფორმირდება ოპერატიული სამეთაურო პუნქტი, რომლის შემადგენლობაშიც შევა 7 მოტომსროლელი და ერთი სატანკო ბრიგადა.

აღნიშნულ სამხედრო კონტინგენტს რუსეთის შინაგანი ჯარების მებრძოლებიც გააძლიერებენ.

"ნეზავისიმაია გაზეტას" ცნობით, ჩრდილოეთ კავკასიაში შეიარაღებული ძალების ზრდა აუცილებელია საქართველოს მხრიდან მზარდ აგრესიაზე საპასუხოდ. გაძლიერებულ ძალებს ადგილობრივი ბოევიკების წინააღმდეგ საბრძოლველადაც გამოიყენებენ. თუმცა, მეცნიერ-კავკასიოლოგმა, ვლადიმერ პოპოვმა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ზრით, უკანასკნელ ხანებში კავკასიის მილიტარიზაცია სულაც არ იწვევს ბოევიკების რიცხვის შემცირებას.

"24 საათი" ესაუბრა ექსპერტს კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძეს. მას მიაჩნია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის ნაწილია: **"რუსეთის მიზანია მსოფლიო საზოგადოება დაარწმუნოს, რომ საქართველოსგან აგრესიაა მოსალოდნელი. ეს კი მას საშუალებას მისცემს საჭიროებისამებრ გამოიყენოს ძალა."**

მამუკა არეშიძე ფიქრობს, რომ რუსეთს ამ მიზნისთვის ჯერ არ მიუღწევია, შესაბამისად, კვლავაც მოსალოდნელია მსგავსი პროვოკაციული ნაბიჯები.

## ემიგრანტები საქართველოსთვის

საერთაშორისო ბიზნეს-სამეცნიერო ფორუმს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მართავს. ფორუმი თბილისში 29 ოქტომბერს დაიწყო. საერთაშორისო ბიზნეს-სამეცნიერო ფორუმი მიზნად ისახავს საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი თანამემამულე ბიზნესმენებისა და მეცნიერების საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში ჩართვასა და მათ ერთმანეთთან დაახლოებას. ფორუმში მონაწილეობას მსოფლიოს 13 ქვეყნის ქართული დიასპორის 33 წარმომადგენელი იღებს. წარმოდგენილია პროექტები მედიცინის, განათლებისა და მეცნიერების, ენერგეტიკს, სამრეწველო და ეკონომიკურ სფეროებში.

სანამ გამომსვლელები მოხსენებებს წაიკითხვდნენ, შეკრებილ საზოგადოებას ფორუმის შესახებ და მის მნიშვნელობაზე დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგოშიძე ესაუბრა.

პირველი მომხსენებელი გერმანიაში მოღვაწე ფიზიკოსი აკაკი რუსეცკი იყო. მისი პროექტის, "ფიზიკის ვირტუალური ინსტიტუტის" შინაარსი მთლიანად ეხმიანება იმ მთავარ პრობლემას, რომლის გადაჭრის მიზნითაც მინისტრის აპარატმა ფორუმის ჩატარება გადაწყვიტა. პროექტში რუსეცკიმ "ტვინების" დაბრუნების ერთგვარი გეგმა წარმოადგინა. მისი აზრით, ზემოაღნიშნულმა პროცესმა, სამეცნიერო კვლევების მოცულობისა და ინტენსივობის შემცირება, მეცნიერთა საზოგადოებრივი სტატუსის დაკნინება, სწავლის ხარისხის გაუარესება გამოიწვია. ამ პრობლემების გადაჭრას იგი უცხოეთში მოღვაწე მეცნიერების უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე პროცესებში ჩართვაში ხედავს. ეს კი, ინტერნეტის საშუალებით მოხერხდება. უცხოეთში მყოფი მეცნიერები აქაურ ლექტორებთან ერთად ლექციებს ჩაატარებენ. როგორც განათლების მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ამისათვის აუდიტორიები უკვე მზადაა.

*ნათია მაჭარაშვილი*

# ევროპელი ლიდერების გარემოცვაში

გუშინ ბრიუსელში პრეზიდენტმა სააკაშვილმა საგარეო ურთიერთობების და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ ბენიტა ფერერო-ვალდნერთან მოლაპარაკებები გამართა. მათი საუბრის ძირითადი თემა იყო მომავალში ევროკავშირთან საქართველოს ასოცირებული წევრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება. მხარეებმა ასევე ყურადღება შეაჩერეს ევროგაერთიანებასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებისა და ღია ცის პოლიტიკის საკითხებზე. ფერერო-ვალდნერმა და სააკაშვილმა განიხილეს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება. გარდა ამისა, ბრიუსელში მყოფმა სააკაშვილმა, ევროპელ ლიდერებთან ერთად, ევროპის სახალხო პარტიის სამიტში მიიღო მონაწილეობა. ყოველწლიურ სამიტზე ევროპის 39 ქვეყნის 74 პარტია იყო წარმოდგენილი, გუშინდელ სხდომას გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, პოლონეთის პრემიერ-მინისტრი, ბულგარეთის, რუმინეთისა და ლატვიის პირველი პირები ესწრებოდნენ. ევროპის სახალხო პარტიის მუშაობაში ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმაც მიიღო მონაწილეობა.

ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროპარლამენტის პრეზიდენტ ჯერზი ბუზეკთან გამართა მოლაპარაკებები. მხარეებმა ისაუბრეს საგარეო პოლიტიკის პრობლემატიკასა და საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებაზე. შეხვედრაზე განხილული საკითხების შესახებ კომენტარი გააკეთა ბენელუქსის ქვეყნებში საქართველოს ელჩმა სალომე სამადაშვილმა. **"ბატონმა ბუზეკმა ჩვენს ქვეყანას მხარდაჭერა გამოუცხადა, ევროპარლამენტი დაინტერესებულია იმით, რომ საქართველო იყოს წარმატებული ქვეყანა, პირველ რიგში - ევროკავშირთან ურთიერთობის თვალსაზრისით,"** - აღნიშნა სამადაშვილმა.

# პანკისში პანიკის საბაბი არ არის

დათო გამისონია

*საქართველოში ტერორისტების არსებობის შესახებ რუსეთის ბრალდებების საპასუხოდ "ქრისტიან-დემოკრატების" ორგანიზებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი პანკისის ხეობაში გუშინ ჩავიდა. პარლამენტარები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ექსპერტები და ჟურნალისტები ხეობის, ფაქტობრივად, ყველა დასახლებულ პუნქტში იმყოფებოდნენ. პანკისში გამგზავრების მთავარ მიზანს რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გაქარწყლება წარმოადგენდა. მართალია, მოსკოვს განცხადების გაკეთების შემდეგ არანაირი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, მაგრამ ქართულმა მხარემ საპასუხო აქცია პანკისში "ალ ქაიდას" მოძრაობის შესახებ არსებული, თუნდაც მინიმალური ეჭვების გასაბათილებლად გამართა.*

სოფლების დუისისა და ჯოყოლოს მცხოვრებლებთან შეხვედრის შემდეგ დიპკორპუსის ყველა წარმომადგენელი შეთანხმდა, რომ ხეობაში სიმშვიდეა. პანკისში, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდა იმ ტერორისტული ორგანიზაციის კვალი, რომელსაც შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამსახურიც კი ვერ პოულობს. **"ჩვენ ვნახეთ, რომ ხალხი ჩვეულებრივ ცხოვრობს და აქ არაფერი ხდება ისეთი, რამაც შეიძლება შეშფოთება გამოიწვიოს,"** - განაცხადა ირანის ელჩმა საქართველოში მოჯთაბა დამირჩილუმ. შვედეთის ელჩის მოადგილე ანდრეას ტუბისონის განცხადებით, ვითარება, რომელსაც ის ადგილზე გაეცნო, სრულიად არ ადასტურებს რუსეთის ბოლოდროინდელ განცხადებებს. **"რუსეთმა, განცხადებებთან ერთად, კონკრეტული მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ამგვარი განცხადებები ყოველგვარ დამაჯერებლობას კარგავს. ჩვენ ვნახეთ, რომ აქ არათუ დაძაბულობა, არამედ დაძაბულობის ნიშნებიც კი არ არის,"** - განმარტა ელჩის მოადგილემ. ტერორისტების კვალის შესამოწმებლად პანკისის ხეობაში ჩასულ ელჩებს იქ სხვა ტიპის სირთულეები დახვდათ. ლატვიის ელჩის მოადგილის თქმით, პანკისის ხეობაში სიმშვიდეა, თუმცა სოციალურ სფეროში არის პრობლემები.

მონიტორინგის ჯგუფის წევრები შეხვდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს. მათ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებლად გასაუბრებოდნენ ხევის უხუცესებს, სკოლების მასწავლებლებს და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, შეხვედრა გაიმართა ჩეჩნეთიდან ლტოლვილებთან (დღეისთვის პანკისში 800-მდე ლტოლვილი იმყოფება). "24 საათი" ესაუბრა ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრ ნიკა ლალიაშვილს. მისი თქმით, **"დავრწმუნდით იმაში, რომ აქ ტერორისტების მოსამზადებელი ბაზების არავითარი ნიშანწყალი არ არის. ადგილობრივი მოსახლეობა უარყოფს ნებისმიერი სახის შეიარაღებული დაჯგუფების არსებობას. შესაბამისად, რა თქმა უნდა, ნათელია, რომ ხეობას მთლიანად აკონტროლებს სახელისუფლებო სტრუქტურები, მაგრამ ეს იმას არ ნიშანვს, რომ ჩვენ უნდა მოვდუნდეთ, პირიქით - აუცილებელია ვითარების სერიოზული შეფასება."**

ლალიაშვილის თქმით, მომავალი წლის გაზაფხულზე, როდესაც უღელტეხილებზე თოვლი დნობას დაიწყებს, ხეობაში არსებული 140-მდე საცალფეხო ბილიკის გაკონტროლება ძალიან რთული იქნება. საპარლამენტო უმცირესობის წევრი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მომზადებული მცირერიცხოვანი ჯგუფების გააქტიურებას ვარაუდობს, მაგრამ იმედოვნებს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი რესურსი საკმარისი იქნება პრევენციული ზომების მისაღებად. "ქრისტიან-დემოკრატები" მოუწოდებენ სახელმწიფო სტრუქტურებს, ამ მიმართულებით მუშაობა გააძლიერონ. თუმცა, მათი აზრით, ეს საფრთხეების თავიდან აცილების მხოლოდ ერთი კომპონენტია. ამავდროულად, ლალიაშვილის თქმით, საგარეო ურთიერთობების მიმართულებითაც უნდა გააქტიურდეს მუშაობა. კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა გამოიყენოს ყველა არსებული ბერკეტი იმისთვის, რომ საქართველოს წინაშე შექმნილი საფრთხეებისა თუ გამოწვევების ირგვლივ საერთაშორისო აზრის ფოკუსირება შეძლოს.

საინიციატივო ჯგუფმა ამ კუთხით ნაბიჯი უკვე გადადგა. ლალიაშვილის განცხადებით, **"პანკისში იმყოფებოდა საქართველოში არსებული თითქმის ყველა დიპლომატიური წარმომადგენლობა. ხეობაში ამდენი ორგანიზაციის წარმომადგენელი, დოპლომატი, ჟურნალისტი არასდროს ჩასულა."** უახლოეს ხანებში კი დაგეგმილია შესაბამისი ანგარიშის მომზადება, რომელიც საქართველოს პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეგზავნებათ.

პანკისის ხეობაში გამართული შეხვედრების შემდეგ პარლამენტარები კმაყოფილნი იყვნენ, რადგან უცხოელი დიპლომატები დაარწმუნეს, რომ რუსეთის ფედერაციის მცდელობა - ესა თუ ის კლიშე დაუკავშიროს პანკისის ხეობას თუ დანარჩენ საქართველოს - არის დეზინფორმაცია. მონიტორინგის ჯგუფი მუშაობას გააგრძელებს და არა მხოლოდ პანკისის ხეობაში. თუკი კლიმატური პირობები საშუალებას მისცემს, "ქრისტიან-დემოკრატები" დიპლომატიური კორპუსის, ქართული და უცხოური მედიის წარმომადგენლებს სხვა ისეთი წერტილების ერთობლივად მონახულებას შესთავაზებენ, რომლებიც გარკვეული საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს. პირველ რიგში კი, დაგეგმილია თრუსოს ხეობაში გამგზავრება.

წლის ბოლომდე პარლამენტის "ნდობის ჯგუფის" კიდევ ერთი სხდომა ჩატარდება, სადაც უკვე გაზაფხულის გეგმებს განიხილავენ. "ნდობის ჯგუფის" ფორმატი ითვალისწინებს საიდუმლო ინფორმაციის გაზიარებას. ლალიაშვილის თქმით, **"ხშირად საუბრობენ - რატომ არ განიხილება ესა თუ ის საკითხი უშიშროების საბჭოზე, მაშინ როდესაც ცნობილია, რომ იქ ოპოზიცია მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით არის წარმოდგენილი. ამიტომ, თუკი ოპოზიცია სხდომას ესწრება, ეს იმას ნიშნავს, რომ საიდუმლო საკითხები არ განიხილება."** "ნდობის ჯგუფი" კი სრულიად საპირისპირო ფუნქციის მატარებელი ფორმატია. იქ მხოლოდ საიდუმლო თემებზე საუბრობენ, მაგრამ მის მაშაობაში ოპოზიციაც მონაწილეობს, მათ შორის გიორგი თარგამაძე. თუმცა, "ქრისტიან-დემოკრატები" ყოველივე ამას საკმარისად არ მიიჩნევენ და ძირეული რეფორმების გატარებაზე აკეთებენ აქცენტებს - კერძოდ, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული რეორგანიზებაზე ფიქრობენ. **"ჩვენ მოვამზადეთ ცვლილებების პაკეტი და ეს ინიციატივა არ არის ცარიელი სიტყვები. ვიმედოვნებთ, რომ უმრავლესობის მხრიდან იქნება ადეკვატური რეაგირება, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ რისკებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებობს,"** - აღნიშნა ლალიაშვილმა.

# საინფორმაციო ომის გაგრძელება თუ მზადება ახალი აგრესიისთვის

ნათია მსხილაძე

რუსულმა მედიამ მორიგი ანტიქართული პროპაგანდა დაიწყო. 13 ოქტომბერს "რია ნოვოსტიმ", ფედერალური უსაფრთხოების სამსახურზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს საქართველო ტერორისტებს, კონკრეტულად კი, "ალ-ქაიდას" ემისრებს ჩეჩნეთსა და დაღესტანში იარაღის გადატანაში ეხმარება.

რუსული დეზინფორმაცია ქართველმა ექსპერტებმა იმით ახსნეს, რომ კრემლი საქართველოსგან მუდმივი მტრის ხატის შექმნას ცდილობს და ამ გზით იმ პრობლემების ახსნას და გამართლებას აპირებს, რომელიც მას ჩრდილოეთ კავკასიაში შეექმნა. **"რუსეთს სურს, რომ საქართველო, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, უკანონო ქმედებებში მუდმივად ეჭვმიტანილი იყოს. ამ სქემაში ჯდება "ალ კაიდას" ემისრების დახმარებაში თბილისის დადანაშაულებაც და ბუნებრივია, ესეც პიარტექნოლოგიის ნაწილს წარმოადგენს,"** - აღნიშნა კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტმა მამუკა არეშიძემ.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტ არჩილ გეგეშიძის განმარტებით, კრემლის მიზანია, საქართველოს ტერორისტებთან თანამშრომლობაში მყოფი ქვეყნის იმიჯი შეუქმნას. **"თუ პანკისის ხეობაში მართლაც მშვიდი სიტუაციაა, მაშინ რუსეთის ბრალდებები, უბრალოდ, წარმოებული, მიმდინარე და არშეჩერებული საინფორმაციო ომის ნაწილია,"** -აღნიშნა გეგეშიძემ.

პოლიტოლოგ ანდრო ბარნოვის შეფასებით, ტერორისტებთან თანამშრომლობაში საქართველოს დადანაშაულება რუსეთის მიერ გამოგონებული ერთ-ერთი ვერსიაა, რომელსაც კრემლი, საჭიროების შემთხვევაში, საფუძვლად დაუდებს თავის აგრესიას.

ექსპერტ კახა გოგოლაშვილის პოზიციით კი, რუსეთს საქართველოს მაქსიმალური დისკრედიტაცია სურს. **"რუსეთმა საქართველოს მიმართ ასეთი აგრესიული დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ქვეყნის შიგნით უნდა გაამართლოს და მაქსიმალურად შეინარჩუნოს დაძაბულობის მუხტი. რაც შეეხება საერთაშორისო თანამეგობრობას, მსგავს სისულელეებს არც ოფიციალური ვაშინგტონი და არც ბრუსელი არ დაუჯერებს, მაგრამ ამით საერთაშორისო პრესას დააინტერესებს. მოსკოვს არ ადარდებს, თუ რას ფიქრობენ მასზე, როგორც დეზინფორმატორზე. მისთვის მთავარია, განაცხადოს - საქართველო ძირს მითხრის და ტერორისტულ საქმიანობას ეწევა. აქედან გამომდინარე, თავს უფლებას მისცემს, რომ ყველანაირი პროვოკაცია განარხორციელოს,"** - აღნიშნა კახა გოგოლაშვილმა.

სხვა ექსპერტების მსგავსად, რუსეთში საქართველოს ყოფილ ელჩ ზურაბ აბაშიძის შეფასებითაც, რუსეთის ეს ქმედება იმაზეა გათვლილი, რომ საქართველოს მუდმივად ჰქონდეს არასტაბილური, არაპროგნოზირებადი ქვეყნის იმიჯი, ქვეყნისა, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმს უჭერს მხარს. **"რუსეთის მხრიდან გაკეთებული განცხადებები საყურადღებოა. ჩვენი მხრიდან, შესაძლებელია საკითხის ეუთო-ში დაყენება, რათა განახლდეს საზღვრის მონიტორინგი, რომელიც თურქეთის გამო შეჩერდა,"** - აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

რუსეთი ჩეჩენი ბოევიკებისა და ტერორისტების მხარდაჭერაში საქართველოს 2000-2001 წლებშიც სდებდა ბრალს, რასაც პანკისის დაბომბვა და მსხვერპლი მოჰყვა. რაც შეეხება იმას, გათვლილია თუ არა მორიგი ბრალდება საომარი სიტუაციის დაწყებაზე - ქართველი ექსპერტები ამ ეტაპზე საომარ საფრთხეს ვერ ხედავენ. **"საინფორმაციო ომის წარმოების თვალსაზრისით, ეს საქართველოს დისკრეტიდაციას იწვევს. ექსტრემალური სიტუაციის შემთხვევაში კი, რუსეთს ხელ-ფეხი გახსნილი ექნება საქართველოს ამ ნაწილზე. ამ ეტაპზე საომარ მოქმედებას არ ვვარაუდობ, რადგან ახლა კლიმატური პირობები და რელიეფები ამას ხელს არ უწყობს. ამ ეტაპზე საინფორმაციო ომი და დისკრეტიდაცია ურჩევნია,"** - განაცხადა კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტმა მამუკა არეშიძემ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# გარდამტეხი გარიგება

პირველი გვერდიდან

მართალია, შეთანხმების ხელმოწერისას, აზერბაიჯანული და ცენტრალური აზიის რესურსების გარდა, "ნაბუკოსთვის" გაზის ერთ-ერთ წყაროდ ირანიც განიხილებოდა, თუმცა მაშინ ასეთი მსჯელობა მხოლოდ თეორიული ხასიათისა იყო - პოლიტიკური სირთულეები, უპირველეს ყოვლისა კი, ირანის ბირთვული პროგრამა, პროექტში თეირანის ჩართვას საეჭვოს ხდიდა.

თურქეთის ნაბიჯმა სიტუაცია ძირეულად შეცვალა. თავად თურქეთში კი ფიქრობენ, რომ ანკარა ამაზე აშშ-ს თანხმობით წავიდა. რუსულ გამოცემა "კომერსანტს" თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული ანალიზის ცენტრ "თურქსამის" პრეზიდენტმა სინან ოგანმა განუცხადა: **"არ მგონია, ერდოღანს ეს ნაბიჯები ვაშინგტონთან შეუთანხმებლად გადაედგა."** ექსპერტის აზრით, კოლოსალური მოგება, რასაც პროექტი ირანს მოუტანს, კიდევ ერთი სტიმული გახდება იმისთვის, რომ თეირანი ბირთვული პრობლემის მოგვარების დასავლურ წინადადებებს დათანხმდეს.

ჯერჯერობით კი ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებები საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობს.

ირანის საკითხის დარეგულირება მხოლოდ ერთ მოთამაშეს არ აძლევს ხელს - რუსეთს. დასავლურ მედიაში ბოლო დროს ხშირად ისმის ბარაკ ობამას ადმინისტრაციის კრიტიკა რუსეთთან ურთიერთობაში გამოჩენილი ზედმეტი გულუბრყვილობისთვის. ვაშინგტონი ცდილობს, "გადატვირთვისა" და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო ფარზე უარის საფასურად, მოსკოვი ირანის საკითხში თანამშრომლობაზე დაიყოლიოს. თუმცა, მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს მცდელობა ამაოა. ირანული ბირთვული საფრთხე კრემლს დღესდღეობით ხელს აძლევს, რადგან ამ პრობლემაზეა კონცენტრირებული შეერთებული შტატების მთავარი დიპლომატიური რესურსი და ეს ვაშინგტონს იძულებულს ხდის, მუდმივად ეძებოს კრემლთან თანამშრომლობის გზები, რასაკვირველია, სხვა პრობლემების ხარჯზე. მათ შორის, აშშ იძულებულია, დროებით გვერდზე გადადოს საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის შედეგების საკითხი და ეს პრობლემა მოსკოვის წინაშე მწვავედ არ დასვას.

თუ ირანის პრობლემა საომარ კონფრონტაციაში გადაიზარდა, ეს კრემლისთვის კიდევ უფრო მომგებიანია - ენერგომატარებლებზე ფასების გარდაუვალი ზრდა რუსეთის ენერგეტიკულ მონოპოლიას განამტკიცებს. მეტიც - ეს, გრძელვადიან პერსპექტივაში, მმართველი რეჟიმისთვის ქვეყნის შიგნით პოზიციების შესანარჩუნებლად პრაქტიკულად ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, დასავლელ ექსპერტებს არ სჯერათ, რომ რაც არ უნდა მოიხიბლონ მოსკოვში შეერთებულ შტატებთან "გადატვირთვის" პერსპექტივით, კრემლი როდესმე მხარს დაუჭერს ირანის წინააღმდეგ სანქციებს და საბოლოოდ იტყვის უარს ამ ქვეყნისთვის სამხედრო აღჭურვილობის, მათ შორის საზენიტო რაკეტების მიწოდებაზე.

ენერგეტიკულ პროექტებში ირანის ჩართვა და ბირთვული პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარება რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთი ვარიანტია. თუმცა, ამის შესაძლებლობა დღეს გარანტირებული ნამდვილად არ არის. ყველაფერი თეირანის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული, რომლის კონფრონტაციისკენ წახალისებასაც კრემლი ყველანაირად შეეცდება.

პროექტში ირანის ჩართვა რადიკალურად გააუმჯობესებდა "ნაბუკოს" ეკონომიკურ პერსპექტივებს. დღემდე ალტერნატიული გაზსადენი უფრო პოლიტიკურ პროექტად განიხილებოდა, რომელსაც ევროპის ენეგეტიკული უსაფრთხოებისთვის უნდა შეეწყო ხელი. ირანული გაზის ექსპორტი პროექტს ფინანსურად მომგებიანს გახდის, ცენტრალური აზიის გაზის გარეშეც. თურქეთ-ირანის გარიგებამ, შესაძლოა, "ნაბუკოს" მშენებლობა დააჩქაროს, რაც კიდევ უფრო საეჭვოს გახდის რუსული "სამხრეთ ნაკადის" პროექტის განხორციელებას, რომელიც ევროპაზე რუსული ენერგომონოპოლიის განმტკიცებას ემსახურება.

ამას წინათ რუსულმა "გაზპრომმა" თავისთვის წამგებიანი პირობებით მიიღო თურქმენეთიდან გაზის შესყიდვის განახლების შესახებ გადაწყვეტილება - რუსულ მხარეს სხვა ქვეყნებში თურქმენული გაზის გაყიდვის უფლება არა აქვს, შიდა ბაზარზე კი მისი რეალიზაცია ზარალის მომტანია. რუსი ექსპერტების აღიარებით, "გაზპრომი" ამ გარიგებაზე ერთადერთი მიზნით წავიდა - თურქმენეთის რესურსის ათვისებით ხელი შეეშალა "ნაბუკოს" პროექტში ამ ქვეყნის ჩართვისთვის. ეს მცდელობები აზრს დაკარგავს, თუ ირანული გაზი "ნაბუკოში" მოხვდება.

ამ შემთხევაში, როგორც ჩანს, "ნაბუკოს" გაზსადენის ორი განშტოება შეიქმნება: ერთი - ირანიდან, მეორე კი - აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით, რომელსაც ადრე თუ გვიან ცენტრალური აზიაც შეუერთდება.

ირანის საკითხის მოგვარება და ევროპაში რუსეთის ენერგეტიკული მონოპოლიის შეზღუდვა შეასუსტებს კრემლის პოლიტიკურ გავლენას ევროპის ქვეყნებსა და პოსტსაბჭოთა სივრცეზეც. ამ შემთხვევაში შეერთებულ შტატებს ხელ-ფეხი გაეხსნება იმისთვის, რომ უფრო აქტიურად ჩაერიოს ისეთი მოუგვარებელი პრობლემების მოწესრიგებაში, როგორიც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტია.

# სადამკვირვებლო მისია კატეგორიულია

## ქართველი მოქალაქეები უნდა გათავისუფლდნენ

თამარ ივანიძე

*ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ "საზღვრის გადაკვეთის" ბრალდებით საქართველოს მოქალაქეების დაკავების პრაქტიკა უკვე სისტემურ ხასიათს იძენს. მაშინ, როცა ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის მონაწილეობით ქართული, რუსული და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხარეები დუშეთის რაიონში დაკავებული 16 მოქალაქის გათავისუფლების საკითხს განიხილავდნენ, საქართველოს 5 მოქალაქე ქარელის რაიონში დააკავეს.*

ქარელის რაიონის ხუთი მკვიდრი, რომლებიც ოთხშაბათს, კონფლიქტის ზონაში ოკუპანტებმა დააკავეს, გუშინ საღამოს სახლებს დაუბრუნდნენ. ცნობისათვის - ქარელის რაიონის 5 მკვიდრის გატაცების შესახებ ინფორმაცია ოთხშაბათს გავრცელდა. ცხინვალის დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განცხადებით, თამაზ, გენადი, რობიზონ ხარაზიშვილები და ტარიელ და ფრიდონ ჯერანოვები ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის მცდელობისთვის დააკავეს. **"დაკავებულები უკანონოდ ცდილობდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოსვლას, სადაც თითქოს ისინი სამუშაოდ მიიწვიეს. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მათი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება,"** - ნათქვამი იყო ცხინვალის დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განცხადებაში.

ქარელში დაკავებულები უკვე სახლში არიან, თუმცა ჯერ კიდევ პატიმრობაში რჩება დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე დაკავებული საქართველოს 16 მოქალაქე, რომლებიც რუსმა მესაზღვრეებმა 26 ოქტომბერს დააკავეს და ახალგორის პროკურატურაში გადაიყვანეს. ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი მათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ადანაშაულებს. საქართველოს შსს-ს ინფორმაციით კი, საქართველოს მოქალაქეები რუსმა მესაზღვრეებმა დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე დააკავეს.

ცხინვალის რეჟიმს ქართულ მხარისთვის ოთხშაბათს, 19:00 საათამდე უნდა ეცნობებინა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა რუსი სამხედრობის მიერ 2 დღის წინ დაკავებული ქართველების შესახებ. თუმცა ამ თემაზე ოფიციალური კომენტარი ჯერჯერობით არ გავრცელებულა.

გუშინ ამ საკითხის შესახებ განმარტება გააკეთა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ. განცხადებაში მხარეებს შორის ოთხშაბათს გამართული შეხვედრისა და შეთანხმების დეტალებზეა საუბარი.

მისიის განცხადებით, 28 ოქტომბერს ქართულ, რუსულ და სამხრეთ ოსურ მხარეებს შორის გამართული შეხვედრა მიზნად ისახავდა ფაქტების დადგენას და იმ ტერიტორიის მონახულებას, სადაც კვირას რუსმა მესაზღვრეებმა 16 მოქალაქე დააკავეს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, შეხვედრის დროს, რომელშიც მისიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, ყველა მონაწილე დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ალბათობა, რომ 16 ადამიანიდან რამდენიმემ ადმინისტრაციული საზღვარი 30-50 მეტრის მანძილზე გადაეკვეთა, დიდია.

ასევე, მისიის ინფორმაციით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსგავს სიტუაციაში ქმედება სისხლის სამართლებრივ ხასიათს არ ატარებს.

როგორც სადამკვირვებლო მისია აღნიშნავს, შეხვედრაზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დუშეთის რაიონის ადგილობრივ პოლიციასა და რუს მესაზღვრეებს შორის უფრო აქტიური თანამშრომლობაა საჭირო. მისიის თქმით, შეხვედრაზე თანხმობა გამოითქვა იმის შესახებაც, რომ აუცილებელია სამხრეთ ოსურ და ქართულ სატყეო დეპარტამენტებს შორის ინფორმაციის გაცვლა, რათა მომავალში მსგავსი ინციდენტები აღარ მოხდეს.

სწორედ ამ მიზნების შესასრულებლად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია სპეციალური სისტემის შემუშავების აუცილებლობაზე საუბრობს.

**"სადამკვირვებლო მისიას მიაჩნია, რომ დაკავებულები რაც შეიძლება სწრაფად უნდა გათავისუფლდნენ და ეს ინციდენტი იმ სისტემის შესამუშავებლად უნდა იქნას გამოყენებული, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას სასაზღვრო ზონაში საქმიანობისთვის დაეხმარება,"** - ნათქვამია მისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ შეხვედრაზე მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმად სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას 28 ოქტომბრის 19:00 საათამდე უნდა ეცნობებინა, თუ რა ნაბიჯების გადადგმას აპირებდა დაკავებულ პირებთან მიმართებაში. შეხვედრაზე, მისიის ცნობით, რუსმა მესაზღვრეებმა ითხოვეს, რომ დათქმულ დრომდე ანუ 19:00 საათამდე არ მომხდარიყო მედიისთვის ინფორმაციის გაცემა. აქვე ნათქვამია ისიც, რომ შეხვედრიდან ცოტა ხანში მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორმა ცეზარ ჩოჩელმა, რომელიც, შსს-ს წარმომადგენელ შოთა უტიაშვილთან ერთად, ასევე მონაწილეობდა შეხვედრაში, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეების მიერ ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის ფაქტი არ დადასტურდა. ხოლო სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ შეხვედრის შემდეგ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს 16 მოქალაქის მიერ "სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის საგრძნობლად სიღრმეში შეღწევის" ფაქტი დადასტურდა.

სეპარატისტული ხელისუფლების ვერსია გუშინ უკვე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაიმეორა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელ ანდრეი ნესტერენკოს განცხადებით, გრემისხევიდან გატაცებული 16 ქართველი **"სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკანონო საქმიანობას ეწეოდა. რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს საქართველოს 16 მოქალაქე, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იშვიათი ჯიშის ხეებს უკანონოდ ჭრიდნენ და შემდეგ მათ საქართველოს ავეჯის ქარხანაში აბარებდნენ. რუსეთის უშიშროების სასაზღვრო სამსახურის მონაცემებით, ეს ჯგუფი აღჭურვილი იყო ტყის მასობრივი ჭრისთვის საჭირო ტექნიკით."** ნესტერენკომ დასძინა, რომ **"ის ადგილი, სადაც ქართველები დააკავეს, ადმინისტრაციული რუკების მიხედვით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, შესაბამისად, დაკავებულები სამხრეთ ოსეთის პროკურატურაში გადაიყვანეს. გუშინ 16 ქართველის დაკავების ადგილის კოორდინატები თანამგზავრის საშუალებით დადგინდა და ეს ნამდვილად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოხდა. ამასთან, ეს უკვე მეორე ჯგუფია ქართველებისა, რომლებიც საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვრისპირა სოფლებში უკანონო საქმიანობას ეწეოდნენ."**

### ცვლილებები დედაქალაქის მოწყობაში

გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ დედაქალაქის საკრებულოს წევრებს ქალაქის რაიონების ახალ ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის პროექტი წარუდგინა.

უგულავას განცხადებით, პროექტის მიზანი მოსახლეობისთვის მომსახურების გამარტივებაა იმისათვის, რომ თითოეულმა მოქალაქემ თავისივე უბანში მარტივად და დროულად მიიღოს ნებისმიერი სახის სოციალური, იურიდიული და სხვა მუნიციპალური მომსახურეობა.

ქალაქის მასშტაბით არსებულ 6 რაიონულ გამგეობაში 30 ასეთი ერთეული შეიქმნება. **ძველი თბილისის რაიონში** შეიქმნება სამი ერთეული: მთაწმინდა, სოლოლაკი, ორთაჭალა; ვერა, თამარ მეფე, ალმაშენებელი; ქვედა ჩუღურეთი, ავლაბარი.

**ვაკე საბურთალოს რაიონში** ექვსი ტერიტორიული ერთეული იქნება: ვაკე, ბაგები; ვაჟა-ფშაველას კვარტლები; ნუცუბიძის მიკრორაიონები; დიღომი, ვაშლიჯვარი; ვეძისი, ყაზბეგი, გოთუა, საბურთალოს ქუჩა; კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანი.

**ისანი-სამგორის რაიონში** ყველაზე მეტი - ცხრა ტერიტორიული ერთეული იარსებებს: კრწანისი, ფონიჭალა; ზემო ავლაბარი, მეტრომშენი; ნავთლუღი; ვაზისუბანი, მე-8 ლეგიონი; ვარკეთილი; მესამე მასივი; ორხევი, აეროპორტი; ლილო; ქვემო სამგორი.

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში** სამი ტერიტორიული ერთეული შეიქმნება: ზემო ჩუღურეთი; დიდუბე; დიღმის მასივი.

**გლდანი-ნაძალადევის რაიონში** 8 ტერიტორიული ერთეული: ძველი ნაძალადევი, ლოტკინი; ნაძალადევი; სანზონა; თემქა; ავჭალა, გლდანის ხევი; გლდანის ლუწი მიკრორაიონები; გლდანის კენტი მიკრორაიონები; მუხიანი.

დიდგორის რაიონში ერთი ტერიტორიული ერთეული - დიდგორი - იარსებებს.

"თითოეულ ტერიტორიულ ერთეულს გამგებლის წარმომადგენელი უხელმძღვანელებს, რომელიც კონკრეტულად იმ უბნის მაცხოვრებელი იქნება და უშუალოდ რაიონის გამგებელს დაექვემდებარება. გამგებლის წარმომადგენლები ქალაქის მთავრობის სხდომებს დაესწრებიან და საკუთარი უბნის პრობლემატურ საკითხებსა და მათი გადაჭრის გზებზე პირადად ისაუბრებენ.", - განაცხადა ქალაქის მერმა.

გიგი უგულავას მიერ წარდგენილ ცვლილებებს საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს. თუმცა, პროექტს მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა - ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, საკრებულოს წევრმა, პაატა ჯიბლაძემ პროტესტის ნიშნად საკრებულოს სხდომა დატოვა.

პაატა ჯიბლაძის განცხადებით, აღნიშნული პროექტი დამატებით ხარჯებს მოითხოვს და როდესაც ხელისუფლება "ქამრების შემოჭერაზე" საუბრობს, აღნიშნული პროექტი ამას ეწინააღმდეგება.

"ხელისუფლებას ეშინია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება, ამიტომ, გადაწყვიტა, რომ მაქსიმალური კონტროლი განახორციელოს ქალაქის ყველა უბანზე და იქ თავიანთი კოორდინატორები დანიშნოს," - აღნიშნა ჯიბლაძემ.

თბილისის მერმა, გიგი უგულავამ პაატა ჯიბლაძეს განუმარტა, რომ პროექტი დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს და თანხები თითოეულ ტერიტორიულ ერთეულზე გამგეობებიდან გადანაწილდება.

*საკუთარი ინფორმაცია*

### საჰაერო მიმოსვლა განახლდა

ისრაელსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა განახლდა. ამ ინფორმაციას სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი" ავრცელებს.

ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ცნობით, 28 ოქტომბერს თელავივში საქართველოსა და ისრაელის საავიაციო ხელისუფლებებს შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის საკითხი განიხილეს.

შეხვედრაზე მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ 2009/10 წლის ზამთრის სანავიგაციო სეზონზე ორივე ქვეყნის ავიაკომპანიები ფრენებს იმ განრიგის შესაბამისად განახორციელებენ, რაც მათ ქვეყნების საავიაციო ხელისუფლებებში ჰქონდათ წარდგენილი.

შეხვედრაზევე გადაწყდა, რომ ავიაკომპანია "ჯორჯიან ეარვეისს" ისრაელის მხარე 4 სიხშირით ფრენების განხორციელების უფლებას მისცემს.

"აღნიშნული ფორმით განრიგების დამტკიცება კიდევ უფრო გაზრდის კონკურენციას აღნიშნულ საჰაერო ხაზზე, რაც ვფიქრობთ, დადებითად აისახება ავიაბილეთების ფასებზე და შეთავაზებული მომსახურების ხარისხზე", - აცხადებენ ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციაში.

შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2010 წლის ზაფხულის სეზონის დაწყებამდე ისინი საქართველოსა და ისრაელს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ ახალ ლიბერალურ შეთანხმებას გააფორმებენ, სადაც არანაირი შეზღუდვა არ იქნება გათვალისწინებული და კომპანიები ფრენის განრიგს, სიხშირეებსა და საჰაერო ხომალდების ტიპებს დამოუკიდებლად განსაზღვრავენ.

---

მეუღლე დალი კუპრავა, შვილები სანდრო და ელენე ნავერიანები, რძალი თამარ ბაბუაძე, შვილიშვილი ანდრია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვიქტორ ნავერიანი**

**პანაშვიდი:** 29 და 30 ოქტომბერს,
**დაკრძალვა:** შაბათს, 31 ოქტომბერს, 2 საათზე.
**მისამართი:** წერეთლის გამზირი N77, მე-4 სადარბაზო, მე-2 სართული

## წერილები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

გაგრძელება, დასაწყისი №231
წერილი №3

### ფასიანი ქაღალდის ცნება

გრიგოლ ნიკოლეიშვილი

ტერმინი "ფასიანი ქაღალდები" (ინგლისურად Securities), რომლის განსაზღვრაზეც ზემოთ ვსაუბრობდით, ქართულ ენაში რუსულიდან შემოვიდა, იქ კი, სავარაუდოდ, გერმანულიდან. ასეთი სახელწოდება დაკავშირებულია იმასთან, რომ წინათ მათ ქაღალდზე ბეჭდავდნენ და სწორედ ეს ქაღალდი იყო ამ უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წინათ ფასიანი ქაღალდების უმრავლესობა იყო წარმდგენზე, ე.ი. მფლობელი იყო ანონიმური. უფროს თაობას უნდა ახსოვდეს საბჭოთა კავშირში გამოცემული სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, რომლებიც სწორედ ასეთი ტიპის იყო. ზოგიერთისათვის ასეთი ანონიმურობა შეიძლება მისაღებიც ყოფილიყო, მაგალითად, გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით. მაგრამ თუ მფლობელი ფასიან ქაღალდს დაკარგავდა, მას მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნებოდა, რადგან ამ ფასიანი ქაღალდის მოძებნა, ხოლო შემდეგ საკუთრების უფლების დამტკიცება რთული იქნებოდა. ამჟამად უკვე იშვიათად შეხვდებით ასეთი ფორმით გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს. დღეს ისინი არსებობენ და მიმოიქცევიან არამატერიალიზებული ფორმით და ყველა მათგანი არის სახელობითი. ეს ნიშნავს, რომ მფლობელი თავის უფლებებს რეესტრიდან ამონაწერის მეშვეობით ადასტურებს.

ფასიანი ქაღალდების განსაზღვრიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავარჩიოთ ფასიანი ქაღალდების სამი ძირითადი სახეობა:

1) სასესხო ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები და ვალდებულებები (Bill -

თამასუქი, მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება, Bond, Note - ობლიგაცია, საშუალო და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება);

2) წილობრივი (საკუთრივი) ფასიანი ქაღალდები, აქციები (Stock, აშშ-ს გარეთ

შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე შჰარე);

3) ფასიანი ქაღალდები, რომლებიც იწარმოება ზემოაღნიშნული ფასიანი

ქაღალდებისგან, ე.წ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (Derrivatives), ფიუჩერსები (Future), ოფციონები (Options), აგრეთვე ე.წ. მეორადი ფასიანი ქაღალდები, ვარანტები (Warrants), და სხვა.

წილობრივი ფასიანი ქაღალდები, როგორც წესი, გამოიცემა განუსაზღვრელი ვადით, ხოლო სასესხო ფასიანი ქაღალდები და წარმოებული ფასიანი ქაღალდები, გარკვეული განსაზღვრული ვადით.

განასხვავებენ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, რომლებსაც უშვებს სახელმწიფო, და კორპორაციულ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც გამოშვებულია საწარმოების მიერ. ყველა ტიპის აქცია კორპორაციულ ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში) ვხვდებით მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებს, რომელსაც ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა ორგანო უშვებს.

შემდგომში ჩვენ უფრო დაწვრილებით გავჩერდებით სხვადასხვა ტიპის ფასიან ქაღალდებზე, ახლა კი მოვიყვანოთ სამი მაგალითი, რომელიც დაგვეხმარება, უფრო კარგად გავიგოთ ფასიანი ქაღალდის არსი.

მაგალითი 1. ფასიანი ქაღალდების განსაზღვრიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილი ფასიან ქაღალდად ჩაითვალოს?

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილი არის ამ საზოგადოების წესდებიდან (იურიდიული აქტიდან) გამომდინარე უფლება, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს საწარმოს მოგებაში, გადაწყვეტილების მიღებაში და ა.შ., მაგრამ რადგანაც არ ხდება ამ წილის მიმოქცევა, მით უმეტეს საჯარო, ის არ შეიძლება განხილული იქნას როგორც ფასიანი ქაღალდი.

მაგალითი 2. შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ფასიან ქაღალდად ფიუჩერსული კონტრაქტი ოქროზე?

ფიუჩერსული კონტრაქტი ოქროზე არ შეიძლება ჩაითვალოს ფასიან ქაღალდად, რადგან მის ბაზისში არ არის სასესხო ან საინვესტიციო ხელშეკრულებიდან, ან მსგავსი იურიდიული აქტიდან გამომდინარე უფლებები, თუმცა თვით ამ ფიუჩერსული კონტრაქტის მიმოქცევა შეიძლება ხდებოდეს საჯაროდ, ხოლო მისი ყიდვა განვიხილოთ, როგორც ინვესტიცია ძვირფას ლითონებში.

მაგალითი 3. შეიძლება თუ არა ფასიან ქაღალდად ჩაითვალოს თამასუქი?

შეიძლება ითქვას, რომ ყველა სასესხო ფასიანი ქაღალდი თამასუქისაგან წარმოიშვა. საგულისხმოა, რომ ინგლისურად მოკლევადიან სასესხო ვალდებულებას და თამასუქს ერთი და იგივე სახელწოდება აქვს. თამასუქი მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტია. მფლობელს შეუძლია, ის სხვას გადასცეს, მაგრამ საჯარო შეთავაზება არ ხდება. თამასუქის გამცემი აძლევს მას კონკურენტულ პირს. ამიტომ თამასუქი არ ითვლება ფასიან ქაღალდად, მათ შორის ქართული კანონმდებლობითაც.

*იხილეთ ყოველ პარასკევს*

# „სახელმწიფო საწარმო ეკონომიკური პანაცეა არ არის"

## ინტერვიუ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ სოლომონ პავლიაშვილთან

**- ბატონო სოლომონ, როგორც ცნობილია, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გამოვლენილია, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 1400 საწარმოდან, 2008 წლის მონაცემებით, მხოლოდ 317 იყო მომგებიანი, ხოლო 163-მა საწარმომ საანგარიშო წელი ზარალით დაასრულა, რაც მძიმე მდგომარეობის მაჩვენებელია. რა კომენტარს გააკეთებდით ზემოთ აღნიშნულზე?**

- ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების მართვა კარდინალურ სრულყოფას მოითხოვს. მთავარი პრობლემაა არა მარტო ასეთი მართვის დაბალი შედეგიანობა, არამედ მისი გაუმჯობესების უკიდურესად ნელი ტემპი. ამ სფეროში იკვეთება სამი ეტაპი: პირველ ეტაპზე - 1998 წლამდე ყურადღების ცენტრში იყო პრივატიზაციის განხორციელება, ხოლო სახელმწიფოს წილების მართვა ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო. მეორე ეტაპი - მოიცავს 1998-2001 წლების პერიოდს, როდესაც სახელმწიფოს წილების მართვის უფლება გადაეცა დარგობრივ სამინისტროებს, რაც ყოვლად გაუმართლებელი იყო, რადგან საბჭოთა პერიოდის სამინისტროების დაბრუნებისკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და რაიმე სერიოზული შედეგები საწარმოთა მომგებიანობის ამაღლების თვალსაზრისით ვერ იქნა მიღებული. ყოველივე ამან გააძლიერა სამინისტროების უწყებრივი ინტერესები, და ნაცვლად იმისა, რომ სამინისტროებს დარგში პოლიტიკის გატარების ფუნქცია განეხორციელებინათ, მათ უშუალოდ საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში ჩარევა დაიწყეს. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში მინისტრები შპს-ების და სააქციო საზოგადოების დირექტორებს თათბირებზე იბარებდნენ. ფაქტობრივად, სამინისტროებმა დაკარგეს მათი მთავარი ფუნქცია - პოლიტიკის გატარების ფუნქცია. მომდევნო, მესამე ეტაპზე - პრეზიდენტის 2002 წლის N40 ბრძანებულების "სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და მართვის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საფუძველზე მათ მართვას ქონების მართვის სამინისტრო ახორციელებდა. ამ პერიოდში მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა:

1. პირველად მოხდა საინფორმაციო ბაზის დაზუსტება და პერმანენტული განახლება;

2. ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;

3. საინფორმაციო ბაზის სიღრმისეული ანალიზი და კონკრეტული

წინადადებების შემუშავება ცალკეულ საწარმოებთან მიმართებაში;

4. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა.

დასამალი არ არის, რომ საზოგადოებამაც მხოლოდ ამ პერიოდში გაიგო, რომ სახელმწიფო იყო მესაკუთრე 1800-მდე საწარმოსი და ამ საწარმოში დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უშუალოდ ხელისუფლების მიერ ინიშნებოდნენ. ე.ი სახელმწიფო გამოდიოდა ბაზარზე, როგორც ამ კომპანიების მესაკუთრე და კომერციული საქმიანობის განმხორციელებელი.

შემდგომში აუცილებელი გახდა თვითონ ქონების მართვის სამინისტროს ტრანსფორმაციაც, ვინაიდან სამინისტრო, როგორც სტრუქტურა, საწარმოთა მართვისათვის მოუქნელი და მიუღებელი იყო. ამიტომაც, მართვის გაუმჯობესების მიზნით, თვითონ სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რეორგანიზაცია. რის შემდეგაც პრივატიზაციის განხორციელების ფუნქცია გადაეცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ხოლო სახელმწიფო საწარმოთა სამართავად შეიქმნა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "საწარმოთა მართვის სააგენტო", რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

**- როგორი თავისებურებებით ხასიათდებოდა სახელმწიფოს საწარმოთა მართვა და რაზე კეთდებოდა აქცენტები თქვენი მუშაობის პერიოდში, როცა გეკავათ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის თანამდებობა.**

- უწყებრივი სამინისტროებიდან სახელმწიფო საწარმოების მართვის ფუნქციის დაბრუნება ქონების მართვის სამინისტროსთვის ძალზე წინააღმდეგობრივი პროცესი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქონების მართვის სამინისტროს, კანონით, უშუალოდ ევალებოდა სახელმწიფო ქონების მართვა, ფლობა და განკარგვა. ამის შესახებ მე თავის დროზეც არაერთხელ მითქვამს.

უწყებრივი ინტერესები იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ საკითხს, ორი-სამი მინისტრის გარდა, არც ერთი სამინისტრო მხარს არ უჭერდა. საწარმოთა მართვის თვალსაზრისით სამინისტროები უშუალოდ ერეოდნენ ამ საწარმოების სამეურნეო საქმიანობაში, ნიშნავდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და დირექტორებს, რომელთაც ხშირად არავითარი ინიციატივა და არავითარი ინტერესი არ გააჩნდათ ამ საწარმოების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. ისინი თავს ამ საწარმოების ბატონ-პატრონად თვლიდნენ და მათი თანამდებობა აღქმული იყო, როგორც მხოლოდ "თბილი ადგილი"... და მიუხედავად იმისა, რომ საწარმო იყო წამგებიანი და მათი მუშაობის შედეგიანობაზე პასუხისმგებლები უშუალოდ აღნიშნული პიროვნებები იყვნენ, მაინც ჰქონდათ მაღალი ხელფასები და სხვადასხვა არალეგალური შემოსავლები. ყოველივე აღნიშნული ხელს უშლიდა გაჯანსაღების პროცესების დაწყებას, საწარმოთა რესტრუქტურიზაციას, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას, გაკოტრების მექანიზმების ამუშავებას, ინვესტიციების მოზიდვას და სხვა. ეს განპირობებული იყო არსებული ქაოსით, კლანური მმართველობით და იმდროინდელი ხელისუფლების უსუსურობით. ჩემი აზრით, ეს პრობლემა გარკვეულწილად დღესაც არსებობს.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ სახელმწიფო საწარმოთა მართვის განხორციელებას ხშირად ხელს სახელმწიფოს მიერ დაქირავებული დირექტორები და სხვა ხელმძღვანელები უშლიდნენ...**

- ამ საკითხებზე პირდაპირ და ღიად ადრეც ვსაუბრობდი. ხშირად საწარმოთა დავალიანების წარმოშობის მიზეზი საწარმოთა სუსტი მენეჯმენტი, ქაოსი და ხელისუფლების უსუსურობა იყო. სახელმწიფო საწარმოში დაქირავებული დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეების აზრი ხშირად აღიქმებოდა, როგორც შრომითი კოლექტივების აზრი, სინამდვილეში კი ის გამომდინარეობდა ამ ხელმძღვანელების უშუალო ინტერესებიდან და არავითარი სახელმწიფოებრივი ხედვა აქ არ იყო. ხდებოდა ამ კოლექტივების გამოყენება პირადი მიზნებისთვისაც, რასაც ზოგ შემთხვევაში პოლიტიკური ხასიათიც ჰქონდა. არც ის არის დასამალი, რომ ამ დაქირავებულ დირექტორებს, ხელმძღვანელებს უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე, ვიდრე ზოგიერთ მინისტრს, ვიდრე თუნდაც პირადად მე.

ხშირ შემთხვევაში, მცირე ჯგუფების აზრი, მათი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, აღიქმებოდა როგორც საზოგადოებრივი აზრი, რომელიც საბოლოოდ ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

დასამალი არ არის, რომ დღეს სახელმწიფოს პოლიტიკური ნება ამ მხრივ ძალზე ძლიერია. რომელი სახელმწიფო საწარმოს დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გაბედავს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ წასვლას, საწარმოთა გაჯანსაღებისა და განვითარებისათვის ხელის შეშლას; რესტრუქტურიზაციის განხორციელებაზე, გაკოტრების მექანიზმების ამუშავებაზე, პრივატიზაციის დაჩქარებაზე გავლენის მოხდენას. უფრო მეტსაც გეტყვით: საერთოდ გართულებული იყო სახელმწიფო საწარმოს დირექტორების და დაქირავებული მენეჯერების განთავისუფლების, შეცვლის პროცედურა. ხშირად ეს პროცესები თვეობით გადადიოდა სასამართლო დავებში, ვინაიდან ამ პიროვნებებს არსებული პოზიციების დათმობა არ სურდათ. მათ ამ საწარმოების შემდგომი ფუნქციონირება საკუთარი თავის გარეშე ვერ წარმოედგინათ.

**- როგორ შეადარებთ დღევანდელ და ადრინდელ პერიოდს სახელმწიფო საწარმოთა მართვის თვალსაზრისით?**

- 2002 წლისთვის საქართველოში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით ფუნქციონირებდა დაახლოებით 1 700-მდე საწარმო, მათ შორის 388 დაფუძნებული იყო უშუალოდ ყოფილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ, ხოლო 1400-მდე საწარმო - ამავე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ. საწარმოთა დაახლოებით 80% დაფუძნებული იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების, ხოლო დანარჩენი 20% - სააქციო საზოგადოებების სახით.

ამჟამინდელი მდგომარეობა თითქმის იდენტურია ანუ 1400 საწარმოდან მომგებიანია მხოლოდ 317, 163 - ზარალიანი. ამ მიმართულებით მკვეთრი გაუმჯობესება არ იგრძნობა და ზოგ შემთხვევაში შეიძლება გაუარესებულიც არის.

**- მაინც რაში ხედავთ გამოსავალს და რა უნდა გაკეთდეს, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა გაუმჯობესდეს? უნდა განხორციელდეს მათი პრივატიზება თუ არსებობს სხვა გზა აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად?**

- ქონების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნა ანუ რესტრუქტურიზაცია საშინაო და საგარეო ბაზრებზე მათი კონკურენტუნარიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. თუ საწარმო პრივატიზაციისთვის არ არის განკუთვნილი, მაშინ რესტრუქტურიზაცია შუალედურ ეტაპად ხორციელდება, რომელიც პრივატიზაციას წინ უსწრებს. სამწუხაროდ, საქართველოში პრივატიზაცია ხშირად რესტრუქტურიზაციამდე ხორციელდებოდა, რადგან საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნისთვის, გაჯანსაღებისთვის საჭირო ინვესტიციები არ იყო. ამიტომ ამ პროცესს თან ახლდა მასობრივი უმუშევრობა, წარმოების მკვეთრი დაცემა, რამაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გაახანგრძლივა და გაართულა. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირ შემთხვევაში რესტრუქტურიზაცია არასწორად იყო გაცნობიერებული და მასში, ფაქტობრივად, საწარმოს წვრილ ერთეულებად დანაწევრებას გულისხმობდნენ, რომლებსაც კოლექტივის წევრები ან მათი ხელმძღვანელები ეპატრონებოდნენ. ასეთი დანაწევრება იწვევდა საწარმოო აპარატის დაშლას, მის გაყიდვას ჯართის სახით, რაც არაერთხელ დაფიქსირდა ცალკეულ დარგებში, მათ შორის: მსუბუქ და კვების მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და ა.შ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოებში სახელმწიფოს წარმომადგენლის ინსტიტუტის მუშაობის სრულყოფას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ არის სამეურნეო მუშაკი. იგი საწარმოში სახელმწიფოს პოლიტიკის გამტარებელია. ამიტომ დაუშვებელია მისი უშუალოდ აღმასრულებელი დირექციის ფუნქციებში ჩარევა ან პასიურობა და დირექციის ზეგავლენის ქვეშ მოქცევა.

აუცილებელია საწარმოთა ბიზნესგეგმების შემუშავება და განხორციელება, მათ მიერ მარკეტინგული, ტექნოლოგიური, კონკურენტული, საგარეო-ეკონომიკური, ფინანსური სტრატეგიის რეალიზაცია, ანტიკრიზისული მართვის დაუფლება, რადგან სხვანაირად წარმატების მიღწევა გლობალიზაციის და რისკების გამრავლების პირობებში შეუძლებელია.

უნდა დავაჩქაროთ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის, ლიკვიდაციის და შემდგომში პრივატიზების პროცესები. წამგებიანი საწარმოების პრივატიზება შესაძლებელია განხორციელდეს გაკოტრების შემდეგ აქტივების სახით ან პირდაპირ მოვახდინოთ მათი პრივატიზება სიმბოლურ ფასად, შემდგომი ინსვესტიციების განხორციელებისა და პროფილის შენარჩუნების მიზნით, თუ ეს პროფილი ქვეყნისთვის აუცილებელია.

სახელმწიფო რაც შეიძლება მალე უნდა განთავისუფლდეს აღნიშნული საწარმოებისგან, ვინაიდან სახელმწიფო საწარმოების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან წარმოუდგენელია - ეს საწარმოები ჩვეულებრივი კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან. განსაკუთრებულ შემთხვევაში ისეთი საწარმოები უნდა დავიტოვოთ, რომელთაც ამა თუ იმ ფორმით სოციალური დანიშნულება გააჩნიათ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეული, აუცილებელი შემთხვევები უნდა იყოს. სახელმწიფომ, როგორც მესაკუთრემ, როგორც პარტნიორმა, არ შეიძლება შეინახოს წამგებიანი საწარმოები და იქ დაქირავებულ მენეჯერებსა და ხელმძღვანელებს მაღალი ხელფასები უხადოს.

სახელმწიფო საწარმო - ეს არ არის ის რგოლი, რომელიც შეიძლება იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დასაყრდენი. ეს ვერ იქნება ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადამჭრელი მთავარი ინსტრუმენტი. ანუ სახელმწიფო საწარმო ეკონომიკური პანაცეა არ არის.

# შემოსავალი და მოგება - 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სისუსტე

თინა შავაძე

სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება ქვეყნის მოსახლეობის წინაშე განხილვის სტადიაშია. მთავრობის ინიციატივით წარმოდგენილი კანონპროექტი "საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" მიზნად ისახავს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის დამტკიცებას. ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ კეთილშობილური მისიის შესრულების მთავარ წინაპირობად პარლამენტის დეპუტატები წარმოდგენილი დოკუმენტის ხარვეზის გარეშე დამტკიცებას მიიჩნევენ. საპარლამენტო განხილვების დროს ბიუჯეტის პროექტზე აუცილებელია არსებობდეს კონტროლის პალატისა და ეროვნული ბანკის დადებითი დასკვნა. კონტროლის პალატის რეკომენდაციებში ნათქვამია: "საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად შევიდა, აერთიანებს და სისტემატიზაციას უკეთებს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის მოწყობის განმსაზღვრელ და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს. ჩვენი აზრით, საბიუჯეტო კოდექსის წარმოდგენილი პროექტი, თანმდევ კანონპროექტებთან ერთად, მოითხოვს დეტალურ განხილვას შესაბამის საექსპერტო დასკვნებთან ერთად, რომელიც, როგორც ამავე პროექტის განმარტებითი ბარათიდან ჩანს, საერთოდ არ არსებობს". ამასთან, შენიშვნებში ხაზგასმულია, რომ პირველ რიგში ასეთი საექსპერტო დასკვნები სასურველია, თუ მიღებული იქნება ისეთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, როგორიც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკია.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევრობანკი) უკვე გამოაქვეყნეს წინასწარი ანგარიში მიმდინარე წლის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და მომავალი წლის პერსპექტივების შესახებ. ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ქვეყნის ეკონომიკა 5 პროცენტით შეიკვეცა. თუმცა მომავალ წელს მოსალოდნელია, მთლიანი შიდა პროდუქტი (ქვეყანაში წარმოებული საქონელი და მომსახურება) 2 პროცენტით გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება გონივრულ ფისკალურ პოლიტიკას წარმართავს. ამ მიმართულებით გაწეული რეკომენდაციები ძირითადად ამ ეტაპზე არსებული ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრას ითვალისწინებს. დასახელებულ ფაქტორებს შორის არის: უცხოური კერძო კაპიტალის განახლებული შემოდინება; ბანკების დაკრედიტების საქმიანობის განახლება (რაც ამჟამად პრობლემური სესხების დიდი მოცულობების გამო იზღუდება); გადასახადების აკრეფის გამკაცრება; არაეფექტური პროგრამების დაფინანსების შეჩერება და სხვა.

გაითვალისწინა თუ არა საქართველოს მთავრობამ ზემოთ აღნიშნული ფაქტორები მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის შექმნის დროს, ამის შესახებ შესაძლებელია პარლამენტში წარმოდგენილი დოკუმენტებით ვიმსჯელოთ. დოკუმენტის "საერთო ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და პროგნოზი" პირველი თავი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას მიმოიხილავს და ნათქვამია, რომ "2009 წლის იანვარ-ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 8.5 პროცენტით შემცირდა და ნომინალურ გამოხატულებაში 8.1 მლრდ ლარს გაუტოლდა. თავდაპირველი პროგნოზის (მსოფლიო ფინანსური კრიზისის და აგვისტოს მოვლენებამდე) მიხედვით 2009 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 10.0 პროცენტით, ნომინალური ზრდა 19.9 პროცენტით, ხოლო მშპ-ს ნომინალური მნიშვნელობა კი 23.7 მლრდ ლარით იყო განსაზღვრული. იანვარ-ივნისის შედეგების გათვალისწინებით და მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებული ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, 2009 წელს რეალური მშპ, სავარაუდოდ, 4.0 პროცენტით შემცირდება და ნომინალურ გამოხატულებაში 18.3 მლრდ ლარს გაუტოლდება. პროგნოზული შეფასებებით, 2010 წლისათვის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2.0 პროცენტით გაიზრდება და ნომინალურ გამოხატულებაში 19.0 მლრდ ლარს გადააჭარბებს.

მიმდინარე წელს ეკონომიკა შეიკვეცა. მომავალ წელს, სავარაუდოდ, ეკონომიკის ფრაგმენტულ ზრდას უნდა ველოდოთ. ასეთ პირობებში, შეძლებს თუ არა ხელისუფლება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის სტიმულირებას, აღნიშნულ პროექტში ნათლად არ ჩანს.

მიმდინარე წელს ახალი საგადასახადო განაკვეთები შემცირდა, რამაც საგადასახადო შემოსავლებზე გავლენა მოახდინა - შემოსავლების კლება დაფიქსირდა. ბუნებრივია, ეს არის ფისკალური პოლიტიკის სუსტი მხარე და მას შეცვლა სჭირდება. საინტერესოა, გადასახადების განაკვეთების შემცირება რატომ არ აისახა ფასების კლებაზე? დღემდე, წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე ფასები სწრაფად იზრდება, რაც რეალურ მთლიან შიდა პროდუქტზე უარყოფითად აისახება.

წარმოდგენილ პროექტში საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი მომავალ წელს ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების 23.6 პროცენტს წაიღებს. აშკარაა, რომ კერძო სექტორს, უხეშად რომ ვთქვათ, რეინვესტირებისთვის მიღებული შემოსავლებიდან უმნიშვნელო კაპიტალი დარჩება. დოკუმენტში ნათქვამია: "2010 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 231.0 მლნ ლარით. მისი ფარდობითი მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 27.5 პროცენტს შეადგენს. ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 504.0 მლნ ლარით, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 23.6 პროცენტს შეადგენს. საქართველოს 2010 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული 2010 წლისთვის ეკონომიკური განვითარების საპროგნოზო მაჩვენებლები, კერძოდ, ეკონომიკური ზრდა (2.0%), ფასები (მშპ-ს დეფლატორის ცვლილება 2.0%), საგადასახადო პოლიტიკა (საგადასახადო ბაზისა და განაკვეთების ცვლილება), ადმინისტრირების დონის გაუმჯობესება და სხვა ფაქტორები.

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 4 865.4 მლნ ლარს შეადგენს. 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი 4 235.0 მლნ ლარით განისაზღვრა და მთლიანი შიდა პროდუქტის 22.0 პროცენტს შეადგენს. გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები ცალკეული გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 142.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 5.9 პროცენტია და 2009 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 4.0 პროცენტით იზრდება. ამ გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ 2010 წელს საშემოსავლო გადასახადი პროცენტის სახით მიღებულ შემოსავლებზე 5%-მდე შემცირდება.

მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 491.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 2.6 პროცენტია და 2009 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 1.4 პროცენტით მცირდება. დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 065.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 10.7 პროცენტს შეადგენს და 2009 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 3.1 პროცენტით მცირდება. აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 468.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 2.4 პროცენტს შეადგენს და 2009 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 2.0 პროცენტით აღემატება. საბაჟო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 38.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 0.2 პროცენტს შეადგენს და 2009 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 8.6 პროცენტით იზრდება. სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 31.0 მლნ ლარით.

წარმოდგენილი ციფრებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მთავრობა გადასახადების ბიუჯეტში მობილიზებას შემცირებული საგადასახადო განაკვეთების იმედით აპირებს. მაგრამ რა აზრის აქვს საშემოსავლოს ან მოგების გადასახადის შემცირებას იმ საინვესტიციო გარემოში, სადაც კერძო სექტორს მოგება და შემოსავლები ისედაც შემცირებული აქვს?

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# "საქართველოს ბანკის ფონდი" ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს პატრონაჟს გაუწევს

ნინო ნარჩემაშვილი

"საქართველოს ბანკი" ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარდასაჭერად 75 ათასი აშშ დოლარის მოცულობის დაფინანსებას გამოყოფს. ამ ღონისძიების შესახებ "საქართველოს ბანკმა" გუშინ ოფიციალურად განაცხადა. შესაბამისად, გაფორმდა შეთანხმება "საქართველოს ბანკის ფონდს", "კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდსა" (CPAF) და საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის, რომლის თანახმად თანხა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მოვლასა და მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას მოხმარდება. შეთანხმების ფარგლებში, "საქართველოს ბანკის ფონდი" პარკში სხვადასხვა გარემოს დაცვით ღონისძიებასაც გამართავს.

"საქართველოს ბანკის ფონდი", რომელიც აქამდე "საქართველოს ბანკის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდის" სახელწოდებით მუშაობდა, საქართველოში პირველი ფონდი გახლავთ, რომელიც ბანკის მიერ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით შეიქმნა და სადაც "საქართველოს ბანკმა" თავად გააკეთა პირველი შენატანი 1 მილიონი ლარის ოდენობით. არსებობის ერთი წლის მანძილზე, დახმარების ფონდმა არაერთი აქცია და პროექტი განახორციელა. მათ შორის, ჰუმანიტარული დახმარება გაუწია დაზარალებულ მოსახლეობას, დააფინანსა მათთვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტები. დახმარების ფონდმა რუსეთთან კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონში, სოფლებში - ერგნეთსა და დიცში სრულად გაარემონტა და აღჭურვა ორი საჯარო სკოლა. ასევე, აღადგინა გორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საჯარო სკოლის არსებული ოთხი შენობიდან სამი, რის შედეგადაც სასწავლო პროცესს ათას ასი მოსწავლე დაუბრუნდა. "საქართველოს ბანკის ფონდი" 2009 წლის შემოდგომიდან აფართოებს მისი საქმიანობის არეალს და სხვადასხვა სფეროს დახმარებას გეგმავს. განახლებული სახით, ფონდი პირველ პროექტს გარემოს დაცვის სფეროში განახორციელებს.

"საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე ნიკა ენუქიძის თქმით, **"საქართველოს ბანკმა" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა გარემოს დაცვის სფეროს დასახმარებლად და თანამშრომლობას იწყებს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან. სწორედ ამ თანამშრომლობის დაწყების აღსანიშნავად მოეწერა ხელი მემორანდუმს, რომლის საფუძველზეც "საქართველოს ბანკი" პატრონაჟს და ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს პარკს მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. "საქართველოს ბანკის ფონდის" ეგიდით თანამშრომლობა მიმართული იქნება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შემდგომი განვითარების და მოვლისკენ. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს გარემოს დაცვის კუთხით "საქართველოს ბანკმა" რამდენიმე პროექტი განახორციელა - საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის დროს ტყეებში გაჩენილი ცეცხლოვანი კერების ჩასაქრობად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოთხი კვადროციკლი გადასცა. ასევე, დაიწყო მწვანე ანაბრის აქცია, რომელიც დღესაც გრძელდება და ძალიან წარმატებულია. მის ფარგლებში "საქართველოს ბანკმა" გადამწვარი ტყის მასივების აღდგენის მიზნით 45 ათასი ნერგი დარგო."**

რაც შეეხება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, ის 1995 წელს შეიქმნა, ოფიციალურად კი 2001 წელს გაიხსნა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირველი ეროვნული პარკია კავკასიაში. ფართობის მიხედვით იგი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაცული ტერიტორიაა. 2007 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ევროპის დაცული ტერიტორიების ქსელის - PAN Park-ის წევრი გახდა, რაც დაცული ტერიტორიის უმაღლეს დონეზე დაცვისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების გარანტია.

ეროვნული პარკში გაერთიანდა ტერიტორიები, რომლებიც საქართველოს რამდენიმე ისტორიული კუთხის განაპირა ნაწილებია. პარკი მდებარეობს თორის, იმერეთის და სამცხის ტერიტორიაზე. მისი საერთო ფართობი დაახლოებით 61235 ჰექტარია.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია იშვიათი, ენდემური და საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ფლორის სახეობები, საქართველოს "წითელ ნუსხაში" შესული მსხვილი ძუძუმწოვრები და ფრინველების იშვიათი სახეობები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს საუკეთესო ტურისტული ინფრასტრუქტურა გააჩნია. მის სხვადასხვა უბნებზე - მარელისში, აწყურში, ლიკანსა და ქვაბისხევში დამთვალიერებლებს პარკში მდებარე კომფორტული თავშესაფრები უმასპინძლებს.

"კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდის" (CPAF) მისია კი გარემოს დაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობაა. ორგანიზაციის ფოკუსია კავკასიის ეკორეგიონში, განსაკუთრებით რეგიონის სამ ძირითად ქვეყანაში - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მყარი კონსერვაცია, გარემოს უნიკალური მრავალფეროვნებისა და სახეობების განვითარება და დაცვა. ფონდი დაცული ტერიტორიების მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას ახორციელებს.


გაერთიანებული ტელეკომი

# „გაერთიანებული ტელეკომის" უსადენო ტელეფონის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

**„გაერთიანებული ტელეკომი" 2009 წლის ნოემბრიდან უსადენო ტელეფონზე მომსახურების ახალ პირობებს სთავაზობს მომხმარებლებს. ქსელში ჩართულ აბონენტებს სამი სხვადასხვა პაკეტიდან შეეძლებათ არჩევანის გაკეთება:**

**პირველი პაკეტი - სააბონენტო გადასახადი 5 ლარი:** 200 წუთიანი ლიმიტი შიდა ქსელში სასაუბროდ, ლიმიტს ზევით წუთში 1 თეთრი; მობილურ ოპერატორებთან კავშირი - 25 თეთრი/წუთი; სხვა ფიქსირებულ ქსელში სასაუბროდ - 6 თეთრი/წუთი.

**მეორე პაკეტი - სააბონენტო 7 ლარი:** უფასო შიდა ქსელი (გაერთიანებული ტელეკომის ნებისმიერ აბონენტთან); მობილურ ოპერატორებთან კავშირი - 20 თეთრი/წუთი; სხვა ფიქსირებულ ქსელში სასაუბროდ - 6 თეთრი/წუთი.

**მესამე პაკეტი - სააბონენტო 15 ლარი:** უფასო შიდა ქსელი (გაერთიანებული ტელეკომის ნებისმიერ აბონენტთან); მობილურ ოპერატორებთან კავშირი - 15 თეთრი/წუთი; სხვა ფიქსირებულ ქსელში სასაუბროდ - 4 თეთრი/წუთი.

**აბონენტებს პაკეტის არჩევა შეეძლებათ, როგორც ავტომატურ რეჟიმში 100-100 დარეკვით, ისე „გაერთიანებულ ტელეკომის" სერვის ცენტრში მისვლით.** თუ აბონენტი არ გამოიყენებს არჩევანის უფლებას, მას გაუაქტიურდება 7 ლარიანი სააბონენტო პირობები. იურიდიულ პირებზე ამოქმედდება 15 ლარიანი პაკეტის პირობები.

**სააბონენტო პაკეტის შეცვლა აბონენტს ნებისმიერ დროს შეეძლება** და ეს პროცესი უფასოა. პაკეტის შესაცვლელად აბონენტმა უნდა დარეკოს 100-100ზე და ავტომატურ რეჟიმში ან ოპერატორის დახმარებით დაარეგისტრიროს სასურველი პაკეტი. ახალი პირობები აბონენტს მომდევნო თვის 1 რიცხვში ავტომატურად ჩაერთვება. გააქტიურებული პაკეტის გადამოწმება შესაძლებელია ნომერზე 100-103.

## ე.წ. უდოს კომისიის სხდომა 31 ოქტომბერს გაიმართება

პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების, ე.წ. უდოს კომისიის სხდომა 31 ოქტომბერს გაიმართება. როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი აცხადებს, კომისიის სხდომა 30 ოქტომბრისთვის იყო დანიშნული, თუმცა იმის გამო, რომ ამ დღეს უმრავლესობასთან მთავრობის შეხვედრა იგეგმება, გადაიდო.

როგორც კომისიის წევრები გია არსენიშვილი და არასამთავრობო სექტორიდან ნინო მესტუმრიშვილი აცხადებენ, ჯერ არ აქვთ ინფორმაცია, რამდენი საქმე იქნება განხილული. ცნობილია, რომ კომისია 5 ოქტომბრამდე შესულ განაცხადებს განიხილავს.

ე.წ. უდოს ახალი კომისია უკვე მეორედ იკრიბება. პირველ სხდომაზე კომისიამ 72 პატიმრის საქმე განიხილა, ვადაზე ადრე გათავისუფლების შუამდგომლობა 18-ს მისცა და სასამართლომ ყველა მათგანი პატიმრობიდან გაათავისუფლა.

კომისია 9-კაციანია. მათგან 6 სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, ორი პარლამენტის (უმრავლესობა, უმცირესობა) და ერთი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელია. კომისიის თავმჯდომარე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე ლევან ზარანდიაა.

*ინტერპრესნიუსი*

## ცოტნე გამსახურდია თავს დამნაშავედ არ ცნობს

ცოტნე გამსახურდიას, რომელიც მეზობლის დაჭრაშია ეჭვმიტანილი, ბრალი ჯერ არ აქვს წარდგენილი.

როგორც ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი ქეთი ბექაური აცხადებს, ეჭვმიტანილის სტატუსით გამსახურდია კვლავ დროებითი მოთავსების N2 იზოლატორში იმყოფება. მისივე თქმით, გამომძიებელი ამ დრომდე არ დაკავშირებია და არ იცის, რას აპირებენ ბრალის წაყენების საკითხზე.

ადვოკატის ინფორმაციით, გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და მისი დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნა დაუშვებელია.

"კლინიკიდან ამოვიღეთ ცოტნე გამსახურდიას ავადმყოფობის ისტორია, რომლის მიხედვითაც, პატიმარს აქვს ქალა-ტვინის ტრავმა, ტვინის შერყევა და მძიმე მდგომარეობაში იმყოფება," - აცხადებს ადვოკატი. მისი თქმით, დანაშაულის იარაღი ამოღებული არ არის და საქმეში არც სხვა მამხილებელი მტკიცებულებები მოიპოვება.

ადვოკატის მტკიცებით, გამსახურდიასთვის ბრალის წაყენების საფუძველი არ არსებობს. გამსახურდია დანაშაულს არ აღიარებს. მისი თქმით, 27 ოქტომბერს საღამოს, როდესაც "კოლხურ კოშკში" ბრუნდებოდა, უკნიდან უცნობმა პირმა მკვრივი, ბლაგვი საგანი ჩაარტყა, რის შემდეგაც გონება დაკარგა და არაფერი ახსოვს.

*ინტერპრესნიუსი*

## პრობაციონერები ოკუპაციის მუზეუმში

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე, გიორგი ჩახნაშვილმა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობციის ეროვნული სამსახურის უფროსმა, თემურ იობიძემ, ოცამდე არასრულწლოვან პრობაციონერთან ერთად, ოკუპაციის მუზეუმი დაათვალიერეს.

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში აცხადებენ, არასრულწლოვანი პრობაციონერები მუზეუმში დამოუკიდებელი საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაცია-ანექსიისა და ანტისაოკუპაციო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ამსახველ დოკუმენტურ ფოტომასალას, გამოჩენილ მოღვაწეთა ნივთებს, "წითელი ტერორის" დროს დახვრეტილ და გადასახლებულთა სიებს, ქართული ეკლესიისა და სასულიერო მოღვაწეთა დევნის მასალებსა და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს გაეცნენ, რამაც არასრულწლოვანი პრობაციონერების დიდი ინტერესი გამოიწვია. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროების ურთიერთთანამშრომლობით, პრობაციონერებისთვის არაერთი აქცია მოეწყო და მომავალშიც მოეწყობა. კულტურულ ღონისძიებებში პირობით მსჯავრდებულების აქტიური მონაწილეობა ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ სწრაფ რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას.

*ინტერპრესნიუსი*

# პატიმართა სწავლების სამი მიმართულება

*1 დეკემბრამდე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებმა, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ სტრატეგია, თუ რა მექანიზმებითაა შესაძლებელი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა უმაღლესი განათლება. პენიტენციურ სისტემაში უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიაზე საუბარი პატიმართა წლევანდელი მიღწევების შემდეგ დაიწყო - 2009 წელს ექვსმა მსჯავრდებულმა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება შეძლო. ქულების მიხედვით, ერთ-ერთმა პატიმარმა 70-პროცენტიანი დაფინანსება მიიღო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე პრესტიჟულ - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სხვათა შორის, ეროვნულ გამოცდებში გამარჯვებული ყველა არასრულწლოვანი პატიმარი პრეზიდენტმა შეიწყალა.*



პენიტენციურ სისტემაში დაწყებული რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საშუალო განათლების სისტემის დანერგვა იყო. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ირწმუნება, განათლების რეფორმის პირველი ეტაპი უკვე დასრულდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ როგორც ჩვეულებრივ საჯარო სკოლებში, არასრულწლოვანი პატიმრებიც ატესტატებს იღებენ და მათ განათლების სამინისტროში აკრედიტებული პედაგოგები ასწავლიან. ამასთან, სასჯელაღსრულების დაწესებულებების სკოლები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით - კომპიუტერებით, აუდიო და ვიდეოაპარატურით, სასკოლო ლიტერატურითა და ბიბლიოთეკით.

**"სასჯელაღსრულების სისტემა განათლების რეფორმის მეორე ეტაპზე გადავიდა, რაც მსჯავრდებულებისთვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას გულისხმობს. ამ იდეას მხარს უჭერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებიც, მაგრამ იდეის განხორციელებისთვის მხარდაჭერის გარდა, საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა, რაზეც საკანონმდებლო ორგანომ უნდა იზრუნოს. თუმცა, პირველ ეტაპზე მოსაფიქრებელია მექანიზმი, როგორ შეძლონ მსჯავრდებულებმა საპატიმრო პირობებში უმაღლესი განათლების მიღება,"** - აღნიშნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, რომელსაც იმედი აქვს, რომ ამ პროცეში პარლამენტი აქტიურად ჩაერთვება და საკანონმდებლო ბაზა დაჩქარებული ტემპით მომზადდება.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ციხეში უმაღლესი სწავლების დანერგვის მიზნით შეიქმნება მუშა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებით. ეს ჯგუფი 1 დეკემბრამდე შეიმუშავებს სტრატეგიას, თუ რა მექანიზმებითაა შესაძლებელი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსურველმა მსჯავრდებულებმა უმაღლესი განათლება მიიღონ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში განიხილება სწავლების ფორმის სამი მიმართულება - პირველი სასწავლო პროცესის გადავადება, რადგან დღევანდელი კანონმდებლობით, სტუდენტს, რომელიც საპატიმროში ხვდება, ავტომატურად უწყდება სასწავლო პროცესი. რეფორმის ფარგლებში კი უნდა შემუშავდეს ახალი სისტემა, რომელიც მსჯავრდებულისთვის სასწავლო პროცესის ხანგრძლივი დროით გადავადებას ითვალისწინებს, ანუ მსჯავრდებულს საშუალება ექნება, 10 წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს თავი აღიდგინოს უმაღლეს სასწავლებელში და სწავლა გააგრძელოს.

სწავლების ფორმის მეორე მიმართულება დისტანციური სწავლებაა. უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად განისაზღვრება ის ფაკულტეტები, სადაც სწავლა შესაძლებელი იქნება დისტანციური მეთოდით. ანუ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრილ სტუდენტს, რომელსაც არ უნდა სასწავლო წლის გაცდენა, შესაძლებლობა მიეცემა, უმაღლესი განათლების მიღება ამ ფორმით გააგრძელოს.

რაც შეეხება სწავლების ფორმის მესამე მიმართულებას, ეს არის თავისუფალი მსმენელი - ამ კატეგორიის სტუდენტი-მსჯავრდებულები ლექციებს ონ-ლაინ რეჟიმში მოისმენენ და უმაღლესი სასწავლებლისგან თავისუფალი მსმენელის დამადასტურებელ სერტიფიკატს მიიღებენ.

**"მსოფლიო სტატისტიკით, მსჯავრდებულთათვის განათლების მიცემა დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მექანიზმია. ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ ეს პროცესი XIX საუკუნის ბოლოს, ძირითადად, არასრულწლოვან მსჯავრდებულებში დაიწყო. სწორედ დასავლური პრაქტიკის გათვალისწინებით, ქართველ პატიმართა განათლება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდა. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ ჯგუფმა რაც შეიძლება სწრაფად შეიმუშაოს პატიმართა უმაღლესი განათლების სტრატეგია, რომელსაც პარლამენტში განიხილავენ და საბოლოოდ ამ პროექტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა მოხდეს,"** - ასეთია დიმიტრი შაშკინის პოზიცია.

# საია-ს თავმჭდომარე დიმიტრი შაშკინს მიმართავს

*"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას" კოლექტიური განცხადებით მიმართეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულებმა. ასოციაციის თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა პატიმართა წერილები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინს გადაუგზავნა. გარდა ამისა, თამარ ხიდაშელი მინისტრს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მონიტორინგის ჩატარების ნებართვასაც თხოვს.*

პატიმართა მიერ არასამთავრობო ორგანიზაციისადმი გაგზავნილ განცხადებას ხელს აწერენ დაწესებულების 23-ე, 25-ე, 26-ე საკნებში მყოფი 62 მსჯავრდებული, რომლებიც დაწესებულებაში არსებული გაუსაძლის მდგომარეობის გამო დახმარებას ითხოვენ. მსჯავრდებულთა პრეტენზიები ეხება: საცხოვრებელ პირობებს (გადატვირთულობა, ანტისანიტარია, განათებისა და ვენტილაციის პრობლემა), ჯანმრთელობის მდგომარეობას (ექიმთან კონსულტაციებისა და მედიკამენტების სიმცირე), ადმინისტრაციის მხრიდან უხეშ დამოკიდებულებას.

როგორც "ახალგაზრდა იურისტთა" თავმჯდომარე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში აცხადებს, **"ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულები გაუსაძლისი პირობების გამო ჩივიან. მიმდინარე წლის 9 თებერვალს ჩვენს მიერ თქვენთვის გადმოგზავნილი იქნა ანალოგიური შინაარსის საჩივარი. მსგავსი ფაქტები რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს და სამინისტრომ ყველა საშუალებით უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულთათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზება და მინიმალური სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნა,"** - ნათქვამია თამარ ხიდაშელის წერილში, რომელშიც "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე გამოთქვამს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არც ერთ დაინტერესებულ პირს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესვლისა და იქ არსებული მდგომარეობის შესწავლის უფლება არ აქვს.

**"ამას ემატება ისიც, რომ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ვერ ამოქმედდება. ყოველივე ეს პენიტენციალურ დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციულ ვაკუუმს ქმნის.**

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვცეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში შესვლის ნებართვა იქ არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით,"** - ასეთია თამარ ხიდაშლის მიერ მინისტრ შაშკინისადმი გაგზავნილი მოთხოვნის შინაარსი.

# ობამა თავდაცვის პოლიტიკის კანონპროექტს ამტკიცებს



მარიკა იაშვილი

ამერიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს თავდაცვის შესახებ, რომელიც შეიარაღებასთან დაკავშირებულ რამდენიმე ძვირადღირებულ პროექტს აუქმებს და თანხებს ომისკენ მიმართავს. კანონი აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ ცვლილებებს ადამიანის უფლებათა სფეროში - კონკრეტულად კი, ამიერიდან ადამიანზე სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განხორციელებული თავდასხმა ფედერალურ დანაშაულად იქნება მიჩნეული.

ობამა მიიჩნევს, რომ 680 მილიარდდოლარიანი კანონპროექტით დასრულდება უსარგებლო სამხედრო დანახარჯები, რომლებსაც პრეზიდენტი "ამერიკელი ხალხისა და შეიარაღებული ძალების შეურაცხყოფას" უწოდებს.

თუმცა ობამას ყველა ფინანსური ბრძოლა არ მოუგია. პრეზიდენტის განცხადებით, მან თავისი სახელი მიაწერა დოკუმენტს, რომელსაც ჯერ კიდევ გააჩნია ნაკლოვანებები. კანონპროექტს წარმატება გარანტირებული რომ ჰქონოდა და "რესპუბლიკელების" მასობრივი წინააღმდეგობისთვის გაეძლო, "დემოკრატებმა" მასზე მუშაობას დიდი დრო და ენერგია შეალიეს.

ობამამ უსარგებლოდ მიიჩნია რეაქტიული თვითმფრინავების F-22-ის წარმოების პროგრამა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში ჩაეყარა და რომელიც, მოწინააღმდეგეების მტკიცებით, ერაყსა და ავღანეთში აჯანყებულთა გამოსვლების ჩასახშობად ნაკლებად შესაფერისია.

ობამასა და თავდაცვის მინისტრ რობერტ გეითსის აზრით, ის კანონები, რომლებსაც ისინი უსარგებლოდ მიიჩნევენ, თუმცა კანონმდებელთა ერთი ნაწილი უჭერს მხარს, ან არაეფექტიანია, ან მოძველებული, რაც, არ არის გამორიცხული, ზოგიერთი კანონმდებლისთვის სამუშაო ადგილის დატოვებისა და მშობლიურ რაიონებში დაბრუნების მიზეზი გახდეს.

**"როდესაც მე და რობერტ გეითსმა ამ პროექტზე უარის თქმა გადავწყვიტეთ, ბევრს ეგონა, რომ ეს შეუძლებელი იყო და არაფერი გამოგვივიდოდა, დავმარცხდებოდით, მაგრამ ჩვენ მათ დავუმტკიცეთ, რომ ცდებოდნენ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ.

პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონპროექტი ითვალისწინებს ფლოტის ვერტმფრენების პროგრამის ჩანაცვლებასაც, რომელმაც მუშაობა 6 წლის წინათ დაიწყო და დღეისათვის მისი ხარჯი დაგეგმილზე 13 მილიარდი აშშ დოლარით მეტია.

თუმცა მიუხედავად ამისა, კანონმდებლები მაინც ცდილობენ, განახორციელონ რამდენიმე პროექტი, რომლებსაც პრეზიდენტი აშკარად ეწინააღმდეგება. ამის გამო თეთრი სახლი და მისი ახალი კანონპროექტი ვეტოს საშიშროების წინაშეც კი აღმოჩნდა. თუმცა ამერიკელ კანონმდებლებს ასეთი უფლება დღემდე არასდროს გამოუყენებიათ.

**"წინ ჯერ კიდევ ბევრი ორთაბრძოლა გველოდება, რომლებშიც უნდა გავიმარჯვოთ. ვაშინგტონში კულტურის შეცვლა დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს,"** - აღნიშნავს პრეზიდენტი. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების სიის გაზრდას დიდი ხანია ცდილობდნენ ადამიანის უფლებათა და ჰომოსექსუალთა დამცველები. თუმცა "კონსერვატორები" პროექტს ეწინააღმდეგებიან და აცხადებენ, რომ მან შესაძლოა არასასურველი და მოულოდნელი უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს.

რაც შეეხება საომარ ფრონტს, კანონპროექტი შესაძლებელს ხდის ობამას ინიციატივის განხორციელებას, რომელიც ერაყისა და ავღანეთის ომისთვის 130 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

შორსმიმავალი კანონი ობამას ადმინისტრაციას უკრძალავს გუანტანამოს პატიმრების ტრანსფერს იმ დრომდე, სანამ კონგრესისთვის შეტყობინების გაგზავნიდან 45 დღე არ გავა. გუანტანამოს პატიმრების ამერიკის ტერიტორიაზე გათავისუფლება ამ დრომდე შეუძლებელი იყო.

# ისრაელს პალესტინელების უწყლოდ დატოვებაში ადანაშაულებენ

მარიკა იაშვილი

ისრაელი პალესტინელებს სუფთა და უსაფრთხო წყლის მინიმალური რაოდენობით მიღების საშუალებასაც კი არ აძლევს. ასეთ განცხადებას ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია "ემნისტი ინტერნეიშენალი" ავრცელებს.

უფლებათა დამცველების მტკიცებით, მდინარე იორდანეს ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე ებრაელები პალესტინელებს წყლის მოპოვების საშუალებას არ აძლევენ, ხოლო ღაზას სექტორში ისედაც არასაიმედო წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემა ბლოკადის გამო კრიზისის პირას არის მისული. ისრაელი ამტკიცებს, რომ ორგანიზაციის ანგარიშში ბევრი უზუსტობაა და პალესტინელები მათგან იმაზე მეტ წყალს იღებენ, ვიდრე ოსლოს 1993 წლის მშვიდობიანი შეთანხმებით არის გათვალისწინებული.

ანგარიშში "მღვრიე წყალი: პალესტინელებს წყლის მიღების კანონიერი უფლება ჩამოერთვათ," "ემნისტი ინტერნეიშენალი" ისრაელსა და პალესტინას შორის წყლის გადანაწილების საკითხში არსებულ უთანასწორობას 112 გვერდზე აღწერს.

მაგალითისთვის, ისრაელში ერთ სულ მოსახლეზე დღის განმავლობაში გათვალისწინებული წყლის რაოდენობა 300 ლიტრია, ხოლო პალესტინურ ტერიტორიებზე - 70 ლიტრი. ამავდროულად, ბევრი პალესტინელისთვის ეს მცირე რაოდენობაც კი მიუწვდომელია: არის ადგილები, სადაც ადამიანები დღის განმავლობაში მხოლოდ 20 ლიტრ წყალს მოიხმარენ, რაც ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში რეკომენდებული მინიმუმია.

მოხსენების თანახმად, იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ებრაელი მოსახლეობა წყლით თავის ბაღებს რწყავს და აუზებს ავსებს, მაშინ როდესაც პალესტინელები დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის აზრით, ისრაელმა მთლიანად მიითვისა მდინარე იორდანეს პალესტინური ნაწილი და ამავდროულად წლის მიწისქვეშა მარაგის 80 პროცენტსაც იყენებს. პალესტინელები დასავლეთ სანაპიროზე ვალდებულნი არიან, არტეზიული ჭების გასათხრელად ნებართვა ებრაელებისგან მიიღონ, რაც "ხანდახან შეუძლებელია." ცისტერნებს, რომლებიც წვიმის წყლის შესაგროვებლად არის განკუთვნილი, ხშირად ისრაელის არმია ანადგურებს.

"ემნისტი ინტერნეიშენალის" დასკვნაში ისიც არის აღნიშნული, რომ პალესტინის ხელისუფლება წყლის მათთვის ხელმისაწვდომ რესურსებს არაეფექტურად მართავს. ერთ-ერთ აუდიტორულ ანგარიშში არსებული ვითარება მოხსენიებულია, როგორც "სრული ქაოსი."

ღაზას სექტორში ისრაელის მიერ ახალი წლის პერიოდში განხორციელებულმა ოპერაციამ პალესტინის წყალგაყვანილობის სისტემას 6 მილიონი დოლარის ოდენობის ზარალი მიაყენა. ღაზას ებრაულ-ეგვიპტურმა ბლოკადამ კი სექტორში არსებული "ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა" და ტერიტორიაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის შეტანა შეუძლებელი გახადა.

**"წყალი - ეს ელემენტარული მოთხოვნილება და უფლებაა, მაგრამ ბევრი პალესტინელისთვის თუნდაც დაბალი ხარისხის წლის სასიცოცხლოდ აუცილებლი რაოდენობით მოპოვება წარმოუდგენელ ფუფუნებად იქცა,"** - აცხადებს ანგარიშის ავტორი დონატელა როვერა. "ისრაელმა უნდა შეწყვიტოს თავისი დისკრიმინაციული პოლიტიკა და დაუყოვნებლივ უნდა მოხსნას ყველა შეზღუდვა, რომელიც პალესტინელების მეირ წყლის მოპოვებაზე დააწესა," - აღნიშნავს ის.

თავის მხრივ, ისრაელის მთავრობის პრესმდივანი მარკ რეგევი აცხადებს: "ის აზრი, რომ ჩვენ ვინმეს წყალს ვართმევთ, უბრალოდ, წარმოუდგენელია." მისი თქმით, 1967 წლის შემდეგ ისრაელში წყლის საშუალო მოხმარება მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ახალი, უფრო ეკონომიური ტექნოლოგიების გამოყენების შედეგია. რეგევს არც იმის თქმა დავიწყებია, რომ ამავე პერიოდში პალესტინის ტერიტორიაზე წყლის საშუალო მოხმარების მაჩვენებელი გაიზარდა და ამავე დროს, საგულისხმოა, რომ ბუნებრივი რესურსების თითქმის მესამედი ფუჭად იღვრება. გარდა ამისა, მან პირობა დადო, რომ ებრაელი სამხედროების უკანონო საქციელი, მაგალითად - წყლის ცისტერნების განადგურება, აუცილებლად იქნება გამოძიებული. რეგევის განცხადებით, სიმართლეს არც ის მტკიცება შეესაბამება, რომლის მიხედვითაც, ისრაელი პალესტინელებს არტეზიული ჭების გაჭრის უფლებას არ აძლევს. მისი მტკიცებით, ბოლო პერიოდში ისრაელის ხელისუფლებამ 82 ასეთი ნებართვა გასცა, თუმცა პალესტინელებმა მხოლოდ 26 გამოიყენეს.

"ემნისტი ინტერნეიშენალი" მიიჩნევს, რომ მშვიდობიანი შეთანხმებები, რომლებიც 1993 წელს ქალაქ ოსლოში გაფორმდა, წყლის რესურსების გადანაწილების საკითხში უსამართლო იყო. თუმცა ამ განცხადების პასუხად რეგევი აცხადებს, რომ ისრაელი პალესტინელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტ წყალს აძლევს. ამას გარდა, ისრაელის ხელისუფლების მტკიცებით, პალესტინელებმა მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გამოყოფილი მრავალმილიარდიანი დახმარება დანიშნულებისამებრ ვერ გამოიყენეს და წყლის განაწილების ინფრასტრუქტურა არ მოაწესრიგეს.

# ძებნილი მაფიის მეთაური უკრაინელებთან კონფლიქტის გამო დააკავეს

*ნეაპოლის მაფიის ერთ-ერთი მეთაური, დამნაშავეთა დაჯგუფება "კამორას" წევრი, რაფაელე სტოლდერი იტალიელმა სამართალდამცველებმა ორ უკრაინელ ემიგრანტთან მომხდარი ინციდენტისას დააკავეს.*

იტალიური გაზეთი "ლუნიონე სარდა" წერს, რომ კონფლიქტი მაფიის წარმომადგენელსა და უკრაინის მოქალაქეებს შორის ნეაპოლის ცენტრში მოხდა. პოლიცია ვარაუდობს, რომ სტოლდერს უკრაინელი წყვილის გაძარცვა სურდა. ტურისტებმა მაფიის წევრს წინააღმდეგობა გაუწიეს და საქმე იქამდე მივიდა, რომ ორმხრივი სროლის შედეგად სტოლდერიც დაიჭრა და უკრაინელი ქალბატონიც. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა სტოლდერის დაკავება შეძლეს.

უკრაინელების მიერ დაჭრილი იტალიური მაფიის ერთ-ერთი ბოსი ნეაპოლის ერთ-ერთ საავადმყოფოში, სამართალდამცველების მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობს. იმავე სამედიცინო დაწესებულებაში გადის მკურნალობის კურსს უკრაინელი ქალბატონიც, რომელიც ფეხში სტოლდერმა დაჭრა.

მომხდართან დაკავშირებით იტალიელმა სამართალდამცველებმა გამოძიება დაიწყეს. თუ მაფიის წევრს ბრალდება დაუმტკიცდა, რამდენჯერმე ნასამართლევ სტოლდერს გისოსებს მიღმა კიდევ მოუწევს ყოფნა.

იტალიური "კოზა-ნოსტრას" წევრი რაფაელე სტოლდერი 1992 წელს ყველაზე საშიშ დამნაშავეთა სიაში მოხვდა. იგი იმავე წელს დააკავეს და განსაკუთრებით მძიმე რეჟიმის კოლონიაში მოიხადა სასჯელი. სტოლდერი 2007 წელს გათავისუფლდა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში იტალიის პოლიციამ, მაფიური კლანების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, არაერთი მასობრივი რეიდი ჩაატარა. "კოზა-ნოსტრას" ბევრი წარმომადგენელი დააკავეს, რამდენიმე დაჯგუფების ქონების კონფისკაციაც მოხდა. თუმცა, სტოლდერის დაკავება სამართალდამცველებმა ფართომაშტაბინი სპეცოპერაციების დროს ვერც ერთხელ მოახერხეს.

სამაგიეროდ, პოლიციამ 2009 წლის 5 მაისს, რომში დააპატიმრა იტალიური მაფიის "ნათლიმამა" ჯუზეპე სარნო. 2009 წლის 28 იანვარს ესპანეთში დააკავეს ასევე მაფიის წევრი ანტონიო კაიაცო. 2008 წლის 27 ივლისს - ადრიანო გრაციანო. გარდა ამისა, მიმდინარე წლის 20 მაისს, იტალიის პოლიციამ, ნეაპოლში ჩატარებული ფართომასშტაბიანი ოპერაციის ფარგლებში, დამნაშავეთა დაჯგუფება "კამორას" 68 წევრი დააკავა.

"კამორა" - ნეაპოლის მაფიოზური ორგანიზაცია მე-18 საუკუნიდან არსებობს. იგი რამდენიმე კლანისგან შედგება. იტალიელი სამართალდამცველები ამ მაფიოზური ორგანიზაციის წევრების წინააღმდეგ მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც მაფიამ სამრეწველო ნარჩენების არალეგალური ბიზნესის წარმოება დაიწყო.

როგორც გაირკვა, 2007 წლის მიწურულს, არალეგალური ბიზნესის ყოვლწლიურმა შემოსავალმა 90 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც ქვეყნის შიდა პროდუქტის 7 პროცენტია.

## "ჰამასი" ღაზას სექტორში არჩევნების ჩატარებას არ დაუშვებს

მოძრაობა ჰამასმა, რომელიც ღაზას სექტორს აკონტროლებს, განაცხადა, რომ არ დაუშვებს 2010 წლის იანვარში ღაზას სექტორის ტერიტორიაზე პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების ჩატარებას, რომელიც ოფიციალურად უკვე დანიშნა პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელმა მაჰმუდ აბასმა. "ჰამასს" ამის მიზეზად ის არგუმენტები მოჰყავს, რომ არჩევნების ჩატარება მათთან არ ყოფილა შეთანხმებული (?) და მაჰმუდ აბასს კი, რომელმაც არჩევნები დანიშნა, უკვე ამოწურული აქვს უფლებამოსილების ვადა. "ჰამასმა" მოსახლეობას მოუწოდა, არ მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაემუქრა შინაგან საქმეთა სამინისტროში "საქმის გარჩევით" ან "სხვა მეთოდებით".

"ჰამასმა" ღაზას სექტორზე კონტროლი 2007 წელს დაამყარა, როდესაც ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნის მცდელობა საბოლოოდ ჩაიშალა. მას შემდეგ დაძაბულია ურთიერთობა "ჰამასსა" და "ფატხს" შორის, რომელიც დომინირებს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და რომლის წარმომადგენელიც არის მაჰმუდ აბასი. ამ უკანასკნელს მართლაც ამოეწურა უფლებამოსილების ვადა - სწორედ იმიტომ, რომ ორ პალესტინურ პოლიტიკურ ძალას შორის გაუგებრობების გამო არჩევნების დროულად დანიშვნა ვერ მოხერხდა. თუმცა პარლამენტს სწორედ იანვარში გასდის ვადა და მასთან ერთად პრეზიდენტის არჩევნებიც დაინიშნა. ამ ცოტა ხნის წინ "ფატხის" და "ჰამასის" შერიგება ეგვიპტის შუამავლობითაც ვერ მოხერხდა.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პალესტინელებში "ჰამასის" მხარდაჭერა ბოლო დროს მკვეთრად შემცირდა. ალბათ სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც არ უნდა "ჰამასს" არჩევნების ჩატარება, ყოველ შემთხვევაში - ახლა. სხვანაირად გაუგებარია, რატომ არ უნდა სურდეთ მათ არჩევნების ჩატარება იმ ზონაში, რომელსაც თვითონ აკონტროლებენ.

## ფეშევარის აფეთქებისას დაღუპულთა რიცხვი იზრდება

პაკისტანის ქალაქ ფეშევარში გუშინწინ მომხდარი აფეთქების მსხვერპლთა რიცხვმა უკვე ას კაცს გადააჭარბა, დაჭრილების რაოდენობა კი 200-ს აღწევს. აფეთქება ხალხმრავალ ადგილზე, ბაზართან მოხდა, დაიწვა რამდენიმე შენობა, ერთ-ერთი ჩამოინგრა კიდეც, დახოცილი ადამიანები შენობის ნანგრევებშიც აღმოაჩინეს. ამჟამად 105 დაღუპულიდან 71 ადამიანის ვინაობაა დადგენილი. მათგან 13 ბავშვია და 27 - ქალი. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი სერიოზული აფეთქებების გახშირებამ მოსახლეობა შეიძლება, "თალიბანის" საწინააღმდეგოდ განაწყოს. ამისი ნიშნები ხალხის გამოკითხვის შედეგებით უკვე დაფიქსირდა. მარტო ოქტომბერში სხვადასხვა ქალაქებში მომხდარი ტერაქტების დროს 300 კაცზე მეტი დაიღუპა. აღარავის სჯერა მოძრაობა "თალიბანის" წარმომადგენლებისა, რომლებიც უარყოფენ ამ ბოლო ტერაქტში თავიანთ მონაწილეობას. წინა ტერაქტებს "თალიბანი" "ამაყად" იღებდა საკუთარ თავზე.

## გაერო აშშ-ს კუბის სანქციების გაუქმებისკენ მოუწოდებს

გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ თავისი გადაწყვეტილებით ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა, გააუქმოს სავაჭრო ემბარგო კუბის წინააღმდეგ. ემბარგო დაგმო და მის გაუქმებას მხარი დაუჭირა 187-მა ქვეყანამ, სამი სახელმწიფო წინააღმდეგი წავიდა, ერთმა კი თავი შეიკავა. გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და ბოლო 18 წლის განმავლობაში ყოველწლიურად იღებენ. სავაჭრო ემბარგოს გარდა, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ასევე შეიცავს მოწოდებას კუბის მიმართ სხვა სანქციების გაუქმების შესახებაც, რომლებიც 1962 წელს კარიბის კრიზისის შემდეგ შემოიღეს.

2009 წლის აპრილში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა განკარგულებას კუბის მიმართ სანქციების შერბილების შესახებ. ამ ახალი განკარგულების თანახმად, ამერიკელებმა მიიღეს უფლება, კუბაში ახლო ნათესავების მოსანახულებლად წელიწადში ერთხელ ჩავიდნენ (ადრე სამ წელიწადში ერთხელ შეეძლოთ ჩასვლა), გამარტივდა კუბაზე ფულის გადარიცხვის რეჟიმიც. თუმცა სანქციების ყველაზე სერიოზული შემადგენელი ნაწილი - სავაჭრო ემბარგო - ძალაში დარჩა.

*მოამზადა ივა შილაკაძემ*

# ზაქაევს ჩეჩნეთში დაბრუნება კადიროვთან არ განუხილავს



ჩეჩენი სეპარატისტების წარმომადგენელმა ახმად ზაკაევმა, რომელიც ამჟამად ლონდონში ცხოვრობს, უარყო ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვის განცხადება იმის შესახებ, რომ ზაკაევმა ქვეყანაში დაბრუნებაზე უარი უცხოეთის სპეცსამსახურების შიშით განაცხადა. ზაკაევი იმეორებს იმავეს, რაც ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დაწყების მომენტიდან მას არაერთხელ განუცხადებია - მზად არის მიიღოს მონაწილეობა რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის გადაწყვეტაში. ზაკაევმა აღნიშნა, რომ ჩეჩნეთში დაბრუნების საკითხი კადიროვთან საერთოდ არ განუხილავს.

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა სამშაბათს გროზნოში "ედინაია როსიას" ყრილობაზე გამოსვლის დროს ახმად ზაკაევი დაადანაშაულა, რომ მას რესპუბლიკაში დაბრუნება არ სურს და ქვეყანაში დაბრუნების შესახებ ხელისუფლების შეთავაზებას საკუთარი პოპულარობისთვის იყენებს.

**"მე მიჭირს იმ ადამიანის განცხადებაზე კომენტარის გაკეთება, რომელსაც რაღაც ხმები ჩაესმის. ამჯერად ვერ ვხვდები, საიდან მოესმა მას ეს ხმა და რა უთხრა მან,"** - განაცხადა "ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში ჩეჩენი სეპარატისტების წარმომადგენელმა.

მისი სიტყვებით, რამზან კადიროვის წარმომადგენლებთან შეხვედრა არ ნიშნავდა იმას, რომ სახლში დაბრუნებას და "ჩეჩნეთის მმართველი რეჟიმის გუნდში" ჩარიცხვას აპირებდა. "თუ ორი კვირის წინათ რამზანი ჩვენს ურთიერთობებს "დადებით პროცესს" უწოდებდა, რა მოხდა გუშინ, ჩემთვის უცნობია."

ჩეჩნეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში ნათქვამია, რომ ზაკაევმა სამშობლოში დაბრუნების შესახებ კადიროვის წინადადება მიიღო და ჩეჩნეთის პარლამენტის დეპუტატ მაგომედ ხამბიევის საშუალებით კადიროვის ადმინისტრაციას გადასცა თხოვნა, რომ "ვინმე გაეგზავნათ ლონდონში, ვისთან ერთადაც იგი სახლში დაბრუნებას შეძლებდა". სამშაბათს კადიროვმა განაცხადა, რომ "სახლში დაბრუნების იმიტაცია მას [ზაკაევს] საკუთარი პიარკამპანიისთვის სჭირდებოდა". ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ზაკაევს უწოდა "ქამელეონი და ყბედი, რომელსაც სამშობლო არაფრად უღირს." და დაამატა, რომ "აღარავინ აპირებს, რომ მას სამშობლოში დაბრუნება სთხოვოს".

ჯერ კიდევ ივლისის დასაწყისში ჩეჩნეთის ლიდერი აცხადებდა, რომ ზაკაევი "იჩქერიის მხრიდან ერთადერთი ადამიანია", რომლის ჩეჩნეთში დაბრუნებაც სურს. ჩეჩენ სეპარატისტთა წარმომადგენელზე მოსკოვს საერთაშორისო ძებნა აქვს გამოცხადებული და მან პოლიტიკური თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში მიიღო, რომელმაც მის ექსტრადიციაზე რუსეთს უარი განუცხადა. "არ ვიცი, როგორ მიაჩნიათ კომპეტენტურ ორგანოებს, თუმცა მე ვფიქრობ, რომ მას მძიმე დანაშაულები არ ჩაუდენია," - ირწმუნებოდა მაშინ კადიროვი.

ახმედ ზაკაევი ვარაუდობს, რომ მის მიერ შეთავაზებულმა ღონისძიებებმა ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის დარეგულირების შესახებ, კრემლი ვერ დააინტერესა.

მისი სიტყვებით, კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით შეიძლება. "თუმცა ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში რუსეთისთვის კვლავ ძალისმიერი პოლიტიკაა პრიორიტეტი, რაც, პირველ რიგში, თავად რუსეთს შემოუბრუნდება უკან," - მიიჩნევს ზაკაევი.

ჩეჩნეთის სეპარატისტების წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი, რომ ფედერალების მიერ გაუკონტროლებელი ადგილობრივი ძალები, ფაქტობრივად, არ არსებობენ.

**"ესტემიროვას, აუშევის მკვლელობების კადიროვთან დაკავშირება შეუძლებელია,** - დარწმუნებულია ზაკაევი, - **კადიროვმა და ევკუროვმა იციან, რა არის დასაშვები იუპიტერისთვის და რა ხარისთვის. ისეთი რეზონანსული მკვლელობები, როგორებიც დღეს ჩრდილოეთ კავკასიაში ხდება, მათგან არ მოდის და მათი ორგანიზებული არ არის."**

როგორც ზაკაევი მიიჩნევს, ბოლო დროს ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობა გაუარესდა. ივლისში მან განაცხადა, რომ ცნობს ახალი ჩეჩნური ხელისუფლების ლეგიტიმურობას და მზად არის მათთან სათანამშრომლოდ.

**"კარგი დასაწყისი, რასაც რესპუბლიკაში აქვს ადგილი, უდავოდ, რამზან კადიროვის პირადი თვისების დამსახურებაა. ამის დაუნახაობა და გაუთვალისწინებლობა არასწორი იქნებოდა,"** - განაცხადა მაშინ ჩეჩენი სეპარატისტების წარმომადგენელმა. ახლა ზაკაევი დარწმუნებულია, რომ მისი და მისი მომხრეების საქმიანობა არ არის დამოკიდებული ჩეჩნეთისა და რუსეთის ხელისუფლების პოზიციაზე.

**"ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს პოლიტიკურ ინიციატივას, რომელიც რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას გულისხმობს,"** - განაცხადა ზაკაევმა, - **თუ რამზანი დღეს ამ პროცესიდან გადის, მაშინ იქნება ვინმე სხვა. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს და ეს გადაწყდება კიდეც - რამზანის გარეშე ან მასთან ერთად."**

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# ირანის გაურკვეველი პასუხი

პირველი გვერდიდან

ამჟამად თითქოს პასუხი ნათქვამია და კვლავ არაოფიციალურ, მედიის დონეზე გახდა ცნობილი, თუ კონკრეტულად რას მოითხოვს ირანი.

ქვეყნის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ქვეყნიდან ურანის მარაგის 75 პროცენტის ერთდროულად გატანაზე. მათი აზრით, ეს საფრთხის ქვეშ დააყენებს ირანის ისლამური რესპუბლიკის უსაფრთხოებას. ისინი თანახმა არიან, რუსეთში ურანი რამდენიმე პარტიად ჩაიტანონ და საბოლოო პროდუქტი ასევე ნელნელა - პარალელურ რეჟიმში მიიღონ უკან. ექსპერტების აზრით, სიტუაციის ასეთი შემობრუნება დასავლეთის უკმაყოფილებას გამოიწვევს, რომლებიც ისედაც მიიჩნევენ, რომ ირანი სამშვიდობო ატომურ პროგრამას ბირთვული იარაღის წარმოების შესანიღბად იყენებს. გუშინ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ქალაქ მაშხადში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ "შექმნილია პირობები ბირთვულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისთვის" და "მიესალმება ამ საკითხებზე მოლაპარაკებებს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან". თუმცა არ დაუზუსტებია, შემოთავაზებულ პირობებს მიიღებს თუ მათ გადახედვას მოითხოვს. ცხადია, ირანის პრეზიდენტმა ისევ გაიმეორა, რომ ირანი არავითარ შემთხვევაში არ იტყვის უარს "სუვერენულ ბირთვულ პროგრამაზე".



ბირთვული სააგენტოს ინსპექტორები ვენის აეროპორტში.

გუშინვე ევროპაში დაბრუნდნენ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები, რომლებიც ირანმა თავის ობიექტებზე დაუშვა. ცხადია, ინსპექტორებს უპირველესად ქალაქ კუმთან ურანის გამამდიდრებელი მშენებარე ქარხანა აინტერესებდათ. გუშინვე მათ ვიზიტს "პოზიტიური" უწოდეს, ოღონდ დეტალებზე არ უსაუბრიათ და ეს ყველაფერი ოფიციალურ მოხსენებაში ნოემბრის შუა რიცხვებში უნდა გამოქვეყნდეს.

დღეს ან ხვალ ნათელი გახდება, ირანი ბირთვულ საკითხებში დასავლეთთან თანამშრომლობაზე მართლა მიდის თუ ისევ ქვეშიდან გამოძრომას ცდილობს.

# რევიუ

## სცენაზეა ქართული ჯაზი

ია ვეკუა



შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ჯაზფესტივალზე ყველაზე რთული მისია ჯაზის ქართველ შემსრულებლებს დაეკისრათ. მათ ფესტივალის ის ხარისხი უნდა შეენარჩუნებინათ, რაც წინა ორი კონცერტის მონაწილეებმა საკუთარი ხელოვნებით შემოიტანეს და გაამყარეს. მისია შესრულებულია, თუმცა შედარებით მცირე მასშტაბით - ამჯერად ფესტივალმა დიდი საკოცერტო დარბაზის ივენთ ჰოლში გადაინაცვლა.

სწორედ დინი ვირსალაძის ბენდი და Georgian Jazz Trio აღმოჩნდა ქართული ჯაზის ის ორი რგოლი, რომლებსაც კომპანია “ისტერნ პრომოუშენმა” საერთაშორისო ფესტივალის ვიზა მიაკუთვნა და არც თუ უსაფუძვლოდ - ქართული ხარისხი მსმენელისთვის ისევე მისაღები აღმოჩნდა, როგორც ამავე ფესტივალის გაცილებით ხმაურიანი სახელების მქონე მუსიკოსებისა. ამავე დღეს მოვუსმინეთ ორ მოწვეულ მუსიკოსსაც - რობერტო პუჯონის დინი ვირსალაძის ბენდის შემადგენლობაში და რაინ სულტანოვს Georgian Jazz Trio-სთან ერთად.

რობერტო პუჯონი საქართველოში პირველად გახლავთ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თანამედროვე ქართულ ჯაზს კარგად იცნობს, რადგან დინი ვირსალაძის ბენდთან თანამშრომლობა თავად ისურვა. “რობერტო პუჯონისთან თანამშრომლობა, თუმცა სოლო პროექტით, ადრეც იგეგმებოდა, მაგრამ როდესაც “ისტერნ პრომოუშენისგან” ფესტივალში მონაწილეობის წინადადება მივიღეთ, შევთავაზე ჩვენთან ერთად რობერტო პუჯონიც მოეწვიათ. კონცერტამდე ცოტა ხნით ადრე მან საკუთარი ნაწარმოების ნოტები გამოგვიგზავნა, რომელიც დამუშავებული დავახვედრეთ”, - გვითხრა დინი ვირსალაძემ.

დინი ვისრალაძის ბენდმა (გიტარა - დავით მასტერანოვი, დრამი - გურამ ტეცოშვილი, პერკუსია - დავით ჯაფარიძე) და რობერტო პუჯონიმ ფესტივალის მსმენელს ძირითადად ამერიკელი კომპოზიტორების ჯაზური სტანდარტები შესთავაზა, რაც ერთგვარი გამანეიტრალებელი საშუალება აღმოჩნდა Medeski, Martin & Wood-ის ავანგარდული და გიჟური მუსიკის შემდეგ. რა შეიძლება ითქვას ბენდის მოწვეულ მუსიკოს დავით ჯაფარიძეზე - არაფერი გარდა იმისა, რომ ის სრულიად ფანტასტიკურია, რაც თავისი დიდებული სოლო ნომრებით კიდევ ერთხელ დაადასტურა!

რაც შეეხება Georgian Jazz Trio-ს (მუდამ მომღიმარი და ბრწყინვალე დრამერი გიორგი სალაღიშვილის, დიდებული პიანისტის დავით მაზანაშვილისა და ასევე არაჩვეულებრივი ბასისტის ნოდარ ექვთიმიშვილის შემადგენლობით), თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის არა მხოლოდ თანამედროვე ქართული ჯაზის ერთ-ერთი ლიდერია, არამედ გაცილებით მეტ წოდებას იმსახურებს. ტრიოს მოსმენის საშუალება წლევანდელი ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალის მსმენელსაც ჰქონდა და ფესტივალის სხვა დიდებული შემსრულებლების ფონზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგივე მოხდა თბილისშიც, ამჯერად აზერბაიჯანელ საქსოფონისტ რაინ სულტანოვთან ერთად.

კონცერტის დაწყებამდე მასთან მცირე ინტერვიუ ჩავწერეთ.

**- ალბათ დაესწარით ფესტივალის წინა კონცერტებსაც. როგორია ფესტივალთან დაკავშირებით თქვენი ზოგადი შთაბეჭდილება?**

- თქვენს ქვეყანას ნამდვილად შეუძლია იამაყოს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის მასპინძელია, მით უმეტეს, რომ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯაზფესტივალი უკვე მესამე წელია ბათუმშიც ტარდება. ასეთი მასშტაბური ფესტივალის ორგანიზება ნამდვილად არ არის იოლი, თავად ბაქოში ორი საერთაშორისო ჯაზფესტივალი ჩავატარე და კარგად ვიცი, რამხელა ძალისხმევასთანაა დაკავშირებული მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავების ასეთ პატარა ქვეყანაში ჩამოყვანა. ჯაზი - ეს არის მუსიკის დღესასწაული, რაც ადამიანებს აუცილებლად სჭირდებათ, მე კი მოხარული ვარ, რომ წელს ამ დღესასწაულის მონაწილე ვარ.

**- ქართულ სცენაზე Georgian Jazz Trio-სთან ერთად გამოხვალთ. რამდენად კარგად იცნობთ ამ ტრიოს შემოქმედებას?**

- ჩვენ ერთმანეთი 2005 წელს ჩემს მიერ ორგანიზებული ბაქოს საერთაშორისო ჯაზფესტივალზე გავიცანით. მათთან ერთად მაშინაც დავუკარი, ძალიან მომეწონა, ამიტომ ისინი მომდევნო ფესტივალზეც მივიწიე, რომლის სტუმრები ასევე გახლდნენ ელ ჯერო, ჰერბი ჰენკოკი და სხვა ვარსკვლავები. ტრიოს მუსიკოსები დაახლოებით ორი კვირის წინ დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს მათთან ერთად დამეკრა, რამაც ძალიან გამახარა და სიამოვნებით დავთანხმდი. მათთან ერთად თბილისის ჯაზფესტივალზე გამოსვლა ჩემთვის დიდი პატივია.

**- აზერბაიჯანული ჯაზის სკოლა ცნობილია. საინტერესოა, როგორ ვითარდება იგი ახლა?**

- სამწუხაროდ, არის უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორი, რაც აზერბაიჯანში ჯაზის განვითარებას აფერხებს. მე ორი ფესტივალი ჩავატარე, თუმცა მეტი ველარ შევძელი და ვამჯობინე საშემსრულებლო კარიერისთვის მიმეხედა. ახლა ფესტივალის ჩატარების მცდელობა აქვს აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს, რაც ნიშნავს რომ მას სახელმწიფო მნიშვნელობა ენიჭება, რაც არ მიმაჩნია სწორად. ჯაზი თავისუფალი ხელოვნებაა და მას თავისუფალმა, ამ საქმის კარგად მცოდნე ადამიანებმა უნდა მიხედონ. მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია საფესტივალო რეპერტუარი ისე შეარჩიოს, რომ ის მოყვარულთათვისაც საინტერესო და მისაღები იყოს, ახალგაზრდები დაინტერესდნენ. ამჯამად ბაქოში არის რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა შემსრულებელი, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიან. ვწუხვარ, რომ ბაქომ დაკარგა ჯაზის ერთ-ერთი დედაქალაქის სტატუსი. მაგრამ ჯაზი ცოცხალი ხელოვნებაა და ის განვითარებას ყველგან იპოვნის, როგორც ეს ამჟამად საქართველოში ხდება.

P.S. ვინც გუშინდელ კონცერტზე მხოლოდ იმის გამო არ მოვიდა, რომ სცენაზე მსოფლიო ვარსკვლავების ნაცვლად ქართველი შემსრულებლები იდგნენ, ნამდვილად ბევრი დაკარგა...

# კავკასიური ფენტეზი ესპანელების მონაწილეობით

## პენელოპე კრუსი და ჰავიერ ბარდემი საქართველოში რამდენიმე თვეში ჩამოვლენ

ია ვეკუა



ახლა პენელოპე კრუსი ფეხმძიმობის მეშვიდე თვეშია და ალბათ ყველაზე ნაკლებად ის აინტერესებს, რამდენიმე თვის შემდეგ სად და რა ვითარებაში მოუწევს მუშაობა, ამიტომ მის ნაცვლად მოდით, ამაზე ჩვენ ვიფიქროთ. მას შემდეგ რაც სინიორიტა კრუსი მშვიდობიანად მოილოგინებს და ბარდემების გვარის გამგრძელებელს გააჩენს, საქართველოსკენ გამოემგზავრება. აქ მას სამუშაო ელის - ცნობილი ესპანელი კინოპროდიუსერი ანდრეს ვისენტე გომესი ჩვენს ქვეყანაში ახალი კინოპროექტის განხორციელებას გეგმავს.

ფილმს, რომლის სამუშაო სახელწოდება "ბურდალაკია", ჯერჯერობით რეჟისორი არ ჰყავს, თუმცა პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ პენელოპე კრუსის პარტნიორი ფილმში მისი ამჟამინდელი ცხოვრების თანამგზავრი და მისი შვილის მომავალი მამიკო, ჰავიერ ბარდემი იქნება. ამის შესახებ პრაქტიკულად დადასტურებულ ინფორმაციას იძლევა პროექტის ერთ-ერთი სულის ჩადგმელი ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი, რომელიც ამბობს, რომ ბარდემი ანდრეს ვისენტე გომესის ახლო მეგობარია, ამიტომ მისი დათანხმება ფილმში მონაწილეობაზე მხოლოდ დროის საკითხია.

პროექტის იდეა ჯერ კიდევ პოლოლიკაშვილის ესპანეთში ელჩობისას გაჩნდა. სწორედ იგი გახლდათ გომესის პირველი მასპინძელი საქართველოში, რომელმაც რამდენიმე გადასაღები ნატურა შეათვალიერა და არჩევანი მცხეთაზე, საქართველოს მთიან რეგიონსა და ზღვისპირეთზე შეაჩერა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ანდრეს ვისენტე გომესი პედრო ალმოდოვარის "მატადორის" პროდიუსერი გახლდათ, ახლა კი ალმოდოვარის მსახიობებთან აპირებს მუშაობას.

სავარაუდოდ "ბურდალაკი" ფენტეზის ჟანრის, მთლიანად გამოგონილ ისტორიაზე დაფუძნებული ნამუშევარია, თუმცა მასში მაინც იქნება ხაზგასმული, რომ მოვლენები შუა საუკუნეების კავკასიაში ვითარდება, პენელოპე კრუსის გმირი კი ამორძალის ტიპის ქალია. იქიდან გამომდინარე რომ "ბურდალაკში" თავად ბურდალაკების გარდა ალბათ სხვა ზღაპრულ პერსონაჟებსაც ვიხილავთ (თუნდაც ქართველ ოჩოკოჩს ან ტყაშმაფას), გრიმიორებს დიდი მუშაობა მოუწევთ. ეს კი ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს, რომ ფილმის ბიუჯეტი სოლიდური იქნება.

ცხადია საინტერესოა, მიზეზი, რის გამოც უცხოელი კინემატოგრაფისტები საქართველოში მუშაობაზე თანხმდებიან. საქმე აქ მხოლოდ მრავალფეროვან ლანდშაფტსა და იაფ მუშახელში არაა, მათთვის გაცილებით მომხიბლავი აქ არსებული სამუშაო პირობებია. რამდენიმე წლის წინ კინოსტუდია "ქართული ფილმის" ტექნიკური ბაზა კინოს განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფირის გასამჟღავნებელი, დაზიანებულის აღსადგენი, სამონტაჟო, გასახმოვანებელი და სხვა აპარატურით შეივსო. ამრიგად უცხოელი კინომწარმოებლებისთვის აქ მუშაობა გაცილებით მოსახერხებელი გახდა.

რაც შეეხება პენელოპე კრუსისა და ჰავიერ ბარდემის თითქმის ოჯახურ წყვილს (მათ ურთიერთობა ჯერ ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ), ისინი ერთად ვუდი ალენის "ვიკი, კრისტინა, ბარსელონას" გადაღების შემდეგ არიან. თუმცა მსახიობებმა ერთმანეთი გაცილებით ადრე, 1992 წელს ბიგას ლუნას Jam n, jam n-ში შეხვდნენ, სადაც საკმაოდ თამამ სცენებში მიიღეს მონაწილეობა. მათი მეორე ერთობლივი ნამუშევარია პედრო ალმოდოვარის 1997 წლის "მთრთოლვარე სხეული", თუმცა ამ ფილმში მსახიობები ერთმანეთს არც ერთ სცენაში არ ხვდებიან. შეიძლება ითქვას, რომ ესპანური კინო მათით ამაყობს, რადგან ორივე მსახიობმა ქვეყნის გარეთ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა, თანაც ესპანელ მსახიობთაგან მხოლოდ მათ აქვთ ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო. ჰავიერ ბარდემმა "ოსკარი" 2008 წელს ძმები კოენების ფილმში "მოხუცებისთვის აქ ადგილი არ არის" ცივსისხლიანი მკვლელის როლის შესრულებისთვის მიიღო, ხოლო პენელოპე კრუსმა ერთი წლის შემდეგ "ვიკი, კრიტინა, ბარსელონაში" ცხელსისხლიანი გიჟმაჟის როლისთვის.

# ომი და ქორწილი ეკრანზე

თამარ კიკნაველიძე



გუშინ "კინოს სახლში" შედგა დახურული ჩვენება ფილმისა "ომი და ქორწილი", რომელიც ზაზა კოლელიშვილმა გადაიღო. მისი ნამუშევარი რეალურ ამბავზეა აგებული და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს უკავშირდება. ამის შესახებ ჯერ კიდევ ფილმის გადაღებისას მომზადებული რეპორტაჟებიდან, თუ სტატიებიდან შევიტყვეთ. თუმცა, მაშინ არავინ იცოდა, როგორი გამოვიდოდა სურათი, რომელიც შემოქმედებითი ჯგუფის ენთუზიაზმზე შეიქმნა.

შემოქმედებითი ჯგუფი ვახსენე და აქვე, შემადგენლობასაც გეტყვით: მინდია ერაძე (ოპერატორი), მალხაზ კუხაშვილი (დამდგმელი მხატვარი), პაატა ბერიკაშვილი (სცენარისტი), ნანა ჭავჭანიძე, ნათია გოგოჭური (დიალოგების ავტორები), თენგო თხილავა (პროდიუსერი). რც შეეხებათ შემსრულებლებს, ფილმში, როგორც შევიტყვეთ, სულ 92 მონაწილეა დაკავებული, მათ შორის, მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები: აკაკი ხიდაშელი, გივი ჩუგუაშვილი, ლადო მექვაბიშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, გია მუჯირი, დუტა სხირტლაძე, ვახო კანდელაკი და სხვები, მეფე-დედოფალს კი როლანდ ოქროპირიძე და ელენე კოლელიშვილი ანსახიერებენ.

ზაზა კოლელიშვილს უნდოდა, რომ ფილმი ეკრანებზე აგვისტოს მოვლენებიდან ერთი წლის თავზე გამოსულიყო, მაგრამ უსახსრობის გამო მისი ჩვენება ახლაღა მოხერხდა. ამაში რეჟისორი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, პირადად მინისტრ ნიკოლოზ რურუას ემადლიერება.

"ეს ფილმი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მეექვსე შვილივითაა და თუ მკითხვათ რაზეა ის, გიპასუხებთ, რომ არაფერზე და ყველაფერზე, იმაზე, რომ ომი ცუდი და დამღუპველია ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელისთვის, ქართველი იქნება ის, თუ არა... მთავარი კი ის არის, რომ ფილმში მონაწილე მსახიობებიდან ჰონორარი არც ერთს არ მიუღია", - გვითხრა რეჟისორმა და მუხლისჩოქებით გადაუხადა მადლობა ყველას, ვინც მას მხარი დაუჭირა და თანადგომა გამოუცხადა. ამ დროს რეჟისორს ცრემლების შეკავება ისევე გაუჭირდა, როგორც მაყურებელს, რომელსაც ფილმმა მომხდარი თავიდან გაახსენა და განაცდევინა.

კითხვაზე, რითი განსხვავდება ის აგვისტოს თემაზე შექმნილი ნამუშევრებისგან, ზაზა კოლელიშვილმა გვიპასუხა, რომ ტკივილით და მართალიც აღმოჩნდა. შემოქმედებითმა ჯგუფმა 35 დღე იმუშავა და ამ დროში ჩაატია სათქმელი, რომელიც ჟურნალ "მედიატორში" გამოქვეყნებული ლელა შაშიაშვილის სტატიიდან, სახელწოდებით "ძევერელებმა გაგანია ომში იქორწინეს", დაიბადა. აქ ავტორი წერდა იმის შესახებ, თუ როგორ იქორწინა წყვილმა გაგანია ომში სოფელ ძევერში, რომელიც გორის მახლობლად მდებარეობს. ეს ისტორია რეჟისორისთვის, შეიძლება ითქვას, რომ შთაგონების წყაროდ იქცა.

ფილმის ხარისხი, მისი მწირი დაფინანსებიდან გამომდინარე, შთამბეჭდავი არ არის. რეჟისორი პერსონაჟთა განცდების გადმოსაცემად აქცენტს მსახიობების საშემსრულებლო ხელოვნებაზე აკეთებს და ხშირად მიმართავს ახლო კადრებს, რომლებშიც მათი ტკივილი და სევდა იკითხება. ფილმში განვითარებული სიუჟეტის გარდა, მაყურებელზე ემოციურად მოქმედებს მუსიკალური გაფორმება, რომელიც გიგი დედალამაზიშვილის ჯგუფს "მგზავრები" ეკუთვნის.

რას ვნახავთ ფილმში? იმას, რაც უკვე ვნახეთ, ძალიან ბევრმა შორიდან, რაღაც ნაწილმა კი - ახლოდან და საკუთარი, ან უახლოესი ადამიანების სიცოცხლის ფასად. მართალია, ზაზა კოლელიშვილის ნამუშევარში წყვილის გადარჩენის იმედი არსებობს, მაგრამ კადრების უმრავლესობა ასახავს სიკვდილს, ძირითადად, უდანაშაულოთა. მათ შორის, უმრავლესობა ქართველია. აქ ნაჩვენებია, თუ როგორ ეცილებიან ერთმანეთს ქართველების საკუთრებაში ოსები, რუსები და კაზაკები. მათ შორის, მაინც გამოკვეთილია რუსების მხარე, რუსი გენერლის სახით, რომელსაც აკაკი ხიდაშელის გმირი - ზაური კლავს. აკაკი ხიდაშელი ვახსენე და უნდა ითქვას, რომ მთავარი ხაზი სწორედ მის პერსონაჟზე გადის, ანუ ოსისა და ქართველის, გივი ჩუგუაშვილის შეხვედრაზე. ისინი თანაკლასელები იყვნენ, მაგრამ ომში ეს უკანასკნელი ტყვედ უვარდება მტერს, რომლის ხატებაც ყველაზე მძაფრად რუსთან ასოცირდება, სწორედ რუსი აიძულებს ოსს გაიმეტოს ქართველი, რომელთან ერთადაც გაიზარდა... ზემოთჩამოთვლილთაგან განსახვავებით, აქ ჩეჩენი დადებითი გმირია. თუმცა, ტრაგიკულად მთავრდება უცხოელი ჟურნალისტის, რომელსაც მომღერალი ტონი ო`ნილი განასახიერებს, მოგზაურობა საქართველოში.

დახურული ჩვენების შემდეგ, შემოქმედებითი ჯგუფის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პრემიერაზე, რომელიც, დაახლოებით, ერთ თვეში გაიმართება, ზაზა კოლელიშვილის ნამუშევარი მაყურებლის წინაშე უფრო დამუშავებული და სრულყოფილი სახით წარსდგება.

# ამბები გადასაღები მოედნებიდან

## იგეგმება ჯორჯ ლუკასისა და ფრენსის ფორდ კოპოლას შესაძლო დუეტი



კირა ნაიტლი ხომ იცით? სწორედ ის, ორიოდე დღის წინ თბილისიდან რომ წავიდა. აქ კი თავისი ბოიფრენდის მოსანახულებლად თუ შესამოწმებლად, რამე ცუდ საქმეებში ხომ არ გაეხვაო, გახლდათ ჩამოსული. შეგახსენებთ, რომ იგი სათავგადასავლო ჟანრის "კარიბის ზღვის მეკობრეების" ერთ-ერთი ვარსკვლავია. თუმცა ჩვენი ამბავი ამ ფილმზეა და არა კირაზე. გაირკვა, რომ ფილმის მეოთხე ნაწილის გადაღების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ჭორი უფრო ყოფილა, ვიდრე სინამდვილე.

ამის შესახებ პრესას დევი ჯონსის როლის შემსრულებელმა, ბრიტანელმა მსახიობმა ბილ ნაიმ გაუმხილა, რომელმაც ჟურნალისტებს უბრალოდ მოუჭრა: "ვიცი, რომ ფილმის მეოთხე ნაწილის გადაღებასთან დაკავშირებით საზოგადოებას ოფიციალურად განუცხადეს, მაგრამ ცოტა ხნის წინ მაუწყეს, რომ ფილმს ნამდვილად აღარ გადაიღებენ". ნაის თქმით, ტრილოგიის პროდიუსერმა, ჯერი ბრუკჰაიმერმა მასთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ თუ მაყურებლის მოთხოვნა იქნება, ადრე თუ გვიან იგი აუცილებლად დაუბრუნდება ამ წარმატებულ ისტორიას. "საოცარი იქნება, თუ მაყურებელი მეკობრეების გაგრძელებას არ მოითხოვს, რადგან ეს ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი კინოთავგადასავალია. მე კი სიამოვნებით მივიღებ მასში მონაწილეობას", - აღნიშნა ბილ ნაიმ.

ადრე იმის შესახებაც საუბრობდნენ, რომ მეოთხე "მეკობრეების" გამოსვლის შემდეგ აუცილებლად გადაიღებდნენ კიდევ ორ ნაწილს, რომელთათვისაც კაპიტან ჯეკ ბეღურას როლის ახალი შემსრულებლის მოძებნა მოუწევდათ, რადგან როგორც ჯონი დეპმა განაცხადა, ჯეკის როლის შესრულებას მეტი აღარ აპირებდა. ცნობილია ისიც, რომ ფილმს, რომელიც წესით 2011 წელს უნდა გამოვიდეს და რომელსაც გორ ვერბინსკის ნაცვლად თითქოს რობ მარშალი იღებს, "კარიბის ზღვის მეკობრეები: უცნაურ ტალღებზე" ჰქვია. მოკლედ, ბილ ნაიმ ამ ამბავში დიდი დაბნეულობა შემოიტანა...

შემდეგი პროექტის შეახებ ინფორმაცია კი კიდევ უფრო დაგაბნევთ, ხოლო თუ "ვარსკვლავური ომების" თაყვანისმცემელი ბრძანდებით, შეიძლება აღგაშფოთოთ კიდეც. თურმე ჯორჯ ლუკასს ჯედაების შესახებ ახალი ტრილოგიის გადაღება გადაუწყვეტავს. ამჯერად ფილმი სტერეოკოპული სამგანზომილებიანი გამოსახულების იქნება (ეს იდეა ლუკასს ჯეიმს კამერონის "ავატარის" კადრების ხილვის შემდეგ გასჩენია). ლუკასი ტრილოგიის მხოლოდ პროდიუსერი იქნება, სარეჟისორო სკამს კი სხვას დაუთმობს. ყველაზე საინტერესო სწორედ "სხვისი" ფაქტორია. როგორც უცხოური პრესა წერს, ამჯერად ორი კანდიდატურა განიხილება: სტივენ სპილბერგისა და ფრენსის ფორდ კოპოლასი. სპილბერგი კიდევ გასაგებია - ლუკასის ბავშვობის ძმაკაცი და ფანტასტიკურ-სათავგადასავლო ჟანრში დახელოვნებული კაცია, მაგრამ კოპოლას კანდიდატურა მართლაც იწვევს ირონიისა და გაოცების მიზეზს... შეგახსენებთ, რომ უკვე არსებობს "ვარსკვლავური ომების" ექვსი სერია (სამი ძველი და სამიც ახალი). ამ ფრანჩიზის მიხედვით გადაღებული სამგანზომილებიანი ანიმაცია "ვარსკვლავური ომები: კლონები ომი" კი შარშან გამოვიდა.

2009 წლის ნამდვილი კინოსენსაცია "მეცხრე რაიონის" რეჟისორი ნილ ბლომკამპი ახალ პროექტზე იწყებს მუშაობას. უკვე ცნობილია, რომ ფილმის სიუჟეტი სხვა რაიონში, მეტიც სულ სხვა პლანეტაზე განვითარდება. "ეს იქნება "მეცხრე რაიონისგან" სრულიად განსხვავებული ფილმი, რომელიც რამდენიმე ჟანრს გააერთიანებს", - ასეთი იყო ბლომკამპის კომენტარი. ფილმს Media Rights Capital აფინანსებს, რომელმაც ბლომკამპს არა მხოლოდ სრული შემოქმედებითი თავისუფლება მიანიჭა, არამედ იმაზე მეტ დაფინანსებასაც ჰპირდება, ვიდრე "მეცხრე რაიონის" გადაღებისას ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ ბლომკამპის კინოდებიუტისთვის სულ რაღაც 30 მილიონი დოლარი დაიხარჯა, რაც მსგავსი მასშტაბისა და ჟანრის ფილმისთვის პრაქტიკულად კაპიკებია. მიუხედავად ამისა, ფილმმა ნამდვილი ფუროორი მოახდინა და ჟანრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნამუშევრადაც აღიარეს. "მეცხრე რაიონმა" დიდება მოუტანა სამხრეთ აფრიკელ ბლომკამპსაც, რომელიც ბოლო დრომდე ცნობილი ვიდეოთამაშის "ჰალოს" მომავალ რეჟისორადაც მიიჩნეოდა. თუმცა მას შემდეგ, რაც კომპანია Microsoft-მა პროექტი გაყინა, ბლომკამპმა სხვა სცენარის გადაღებას მიჰყო ხელი.

აქცენტი

# სიცრუესა და სიმართლეს შორის

პირველი გვერდიდან

## დიდი შოუ კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტისგან

ორი კვირის წინ ნინა წკრიალაშვილის ფრაზაზე, "ქართველების, ჩვენი საზოგადოების სირცხვილია მე რომ პოპულარული მომღერალი ვარ", რომელიც ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში განაცხადა, ჩემსავით ბევრს გაეღიმა ალბათ. ცხადია, სერიოზულად არავის მიუღია. ეს ფრაზა მხოლოდ ერთი კვირის თავზე მომაგონდა, როცა ჩემსავე თავს ჩავეკითხე - ვინ იყვნენ ამ ყალბი "რივერდანსის" ორგანიზატორები? ვინ მონათლა თავის დროზე და მთელი PRკამპანიის დროს ერთი საშუალო დონის პროექტი - "Magic of the dance" "რივერდანსად", ანდა მის განშტოებად? რატომ ვერ შეაფასეს ხარისხი და რატომ ვერ დაადეს ხარისხის ადეკვატური ღირებულება ბილეთს? თუ შეცდნენ, როგორ შეცდნენ, თუ მოგვატყუეს, როგორ გაბედეს? ჰოდა ნინაც მაშინ გამახსენდა. თუმცა ქალბატონ წკრიალაშვილს რას ვერჩი. ის მართლაც პოპულარულია, ალბათ, და ამას გარდა, მას მეტისმეტად მოკრძალებული თანამდებობა აქვს - საქართველოს კულტურის სამინისტროს ერთი დიდი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილეა მხოლოდ.

ამ დეპარტამენტს კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტი ჰქვია. ასეთი დეპარტამენტი სამინისტროში არ არსებობდა, სანამ დავით ოქიტაშვილი, განათლებით ლითონმცოდნე, პროფესიით მეყალიბე, არ გახდებოდა დროებით უმუშევარი, დასასაქმებელი, ანუ სანამ მერიის კულტურის სამსახურიდან კულტურის სამინისტროში არ გადმოინაცვლებდა. და მოხდა ის, რაც ზოგადად საქართველოში ხშირად ხდება, - ადამიანს მოარგეს თანამდებობაც და საქმეც.

დავით ოქიტაშვილი კულტურის სამინისტროს სახელით უხსნის ვარსკვლავებს ქართველ მსახიობებს, მანამდე მან სერიოზული წვლილი შეიტანა ქართული შოუ ბიზნესის და ესტრადის ფორმირებაში! დიახ! შესაბამისად გემოვნების ფორმირებაშიც! მისი ორგანიზებით გამართულა არაერთი კონცერტი და არაერთი რუსი მომღერლის გასტროლი თბილისში. მოკლედ, როგორც აღვნიშნე, გემოვნებაში შეტანილი წვლილი მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი თანამდებობა ფაქტია იმისა, რომ ეს მნიშვნელობა ქვეყანაში გაანალიზებული და აღიარებულია. როგორც არ უნდა ეცადონ სამინისტროს სხვა წარმომადგენლები ამ ღონისძიებებისგან დისტანცირებას, ანდა ამ დეპარტამენტის მისიისადმი ფარული ირონიის გამომჟღავნებას, ფაქტი ჯიუტია: სამინისტროში ოქიტაშვილს და მის თანაშემწეებს აქვთ დეპარტამენტი საკუთარი ბიუჯეტით (ეს ქვებიუჯეტი სამინისტროს და სახელმწიფოს ბიუჯეტიცაა ამავდროულად) და მათი ყოველი სვლა და ღონისძიება სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სვლას ნიშნავს. მათ შორის "რივერდანსის" ამბავიც...

ქართულად ამ პროექტს დაარქვეს "რივერდანსი საქართველოში". რაც არ უნდა მიეწერათ ინგლისურად, ეს უკვე მაყურებლის შეცდომაში შეყვანის აშკარა მცდელობაა. ამას გარდა, გაზაფხულზე ჩატარებულ საანონსო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გვითხრეს, რომ დავით ოქიტაშვილს და მის სამსახურს საქართველოში "რივერდანსი" ჩამოყავდათ. ამ ქვეყანაში პოლიტიკური მეხსიერება მართლაც ძალიან დაქვეითებულია, მაგრამ ჟურნალისტების მეხსიერებას ჯერ კიდევ არაუშავს. ამავე მეხსიერებით ძალიან კარგად გვახსოვს ამ პროექტის სატელევიზიო რეკლამა, რომელიც ნამდვილი "რივერდანსის" ცეკვის ეფექტური ვიდეოკადრებით გახლდათ აგებული. საინტერესოა, ნუთუ დავით ოქიტაშვილმა, რომელმაც მაყურებელს და პრესას დებილები გვიწოდა, ანდა მისი დეპარტამენტის თანამშრომლებმა თავად ვერ შეამჩნიეს ეს ფაქტი? არ უნახავთ რეკლამა? საკმარისია მხოლოდ ეს სარეკლამო ვიდეო იმისთვის, რათა ვთქვათ, რომ უბრალოდ მოგვატყუეს. თუ აქ ჩამოტანილი პროექტი მართლაც, როგორც მოგვიანებით თქვეს, "რივერდანსის" ერთი-ორი ყოფილი ყოფილი მსახიობების შოუა, ასეთი ძვირფასი რამ გახლდათ და ისინი მართლაც ვარსკვლავები არიან, მათ პროექტზე სულ ცოტა ამ ტექსტუალურ-ვიზუალური მასალაც იარსებებდა და მისი გამოყენებაც შეიძლებოდა. სხვა თუ არაფერი, "რივერდანსი" მოიცავს 70-იდან 100 მოცეკვავემდე. ამ შოუში კი მხოლოდ 12 ადამიანი "დარბის", ისიც მძიმედ. კარგადაც რომ დარბოდნენ, ბილეთი 200 ლარი ღირდა. ალბათ სადღაც რაღაც არსებობს, თუმცა ნამდვილი "რივერდანსის" მოცეკვავე და რაღა დაგიმალოთ პირადად ჩემი ბავშვობის მეგობარი ნათია რთველიაშვილი მწერს, რომ თბილისში წარმოდგენილი პროექტი "ვიღაცის შეთითხნილი და "რივერდანსად" გასაღებული" რამ გახლდათ.





ხატია ჯიჯეიშვილის ფოტოები

*"Magic of the dance" - შოუ თბილისში*

ნათია რთველიაშვილი საქართველოში, სავარაუდოდ, ნამდვილი ვარსკვლავი იქნებოდა, თანამედროვე ბალეტის დასი ანდა თეატრი რომ არსებობდეს. ქორეოგრაფიული სასწავლებლის წარმატებით დასრულების შემდეგ აშშ-ში რომ არ გაეგრძელებინა სწავლა და დღეს "რივერდანსის" მოცეკვავე რომ არ იყოს, მისი სახელი ნებისმიერს ეცოდინებოდა, რადგანაც მისი ფიზიკური მონაცემების, ტექნიკის, ენერგეტიკისა და ნიჭის მსგავსი მოცეკვავე ბევრი არ გაუზრდია თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს. და აი, რას მწერს ნათია: "სამი წელია უკვე ნამდვილ (იცინის) "რივერდანსში" ვცეკვავ. ამჟამად ჩვენს დასს ორი გასტროლი აქვს, აშშ-ში და ევროპაში. შოუ, რომელიც თბილისში იხილეთ, შეთითხნილია და მას არანაირი კავშირი არ აქვს ჩვენთან. ეტყობა, ორგანიზატორებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ ქართველი პუბლიკა ჩაყლაპავდა ამ ამბავს. ძალიან აღშფოთებული ვარ ამ ისტორიით. თავიდანვე როგორც კი შევიტყე, რომ "რივერდანსის" კონცერტს რეკლამას უკეთებდნენ თბილისში, მივხვდი, რომ აფიორა იყო და ახლობლებიც კი გავაფრთხილე, რომ არ წასულიყვნენ ამ ტყუილზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ "რივერდანსი" მხოლოდ ირლანდიურ ფოლკლორს არ ასრულებს. რეპერტუარში გვაქვს ესპანური ფლამენკო, ნეოკლასიკური ბალეტები, რუსული ფოლკლორი და ამერიკული სტეპი და რაც მთავარია, ცოცხალი მუსიკა - ორკესტრის თანხლებით. არც ერთი ქვეყანა არ ყოფილა, სადაც ოვაციებით არ დასრულებულა ჩვენი კონცერტები. სამწუხაროდ, ქართველი მაყურებელი დარჩა მოტყუებული... ამჟანად მისისიპის შტატში ვართ, ყოველ კვირას ახალ ქალაქში გვაქვს კონცერტები. იმ ჯგუფის შესახებ კი, რომელიც თბილისში იყო, მე არ მსმენია, მაგრამ ირლანდიელ მოცეკვავეებს ვკითხე და ზოგმა იცოდა მის შესახებ, თუმცა ცოტა რამ. მაგრამ ამ შოუს არანაირი კავშირიში არ აქვს და არც ჰქონია "რივერდანსთან". ხარისხითა და რანგითაც ბევრად ჩამოუვარდება. "რივერდანსი" ხომ ცეკვის სტილი არ არის, ეს სულ ცოტა 70 მოცეკვავის შოუს სახელია და ამ სახელის გამოყენების არანაირი უფლება არავის არ აქვს..."

ვფიქრობ, ნათია რთველიაშვილის კომენტარის შემდეგ ამ თემის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს, ყველაფერი ისედაც უკვე ნათქვამია და შესაბამისად, ძალიან ნათელიც.

## როცა "მატრიოშკებს" ჩოხოსანი შვილები ჰყავთ და ყველაფერი ძალიან, ძალიან კარგად არის

მოდით, აღარ მოვყვები იმას, თუ რაოდენ დიდი ფსონი დაიდო ქართულ საბალეტო დასზე. უჩემოდაც კარგად იცის მკითხველმა და ჩემის დახმარებითაც. და რადგანაც ვიცით, ისიც გასაგები იქნება თქვენთვის, ჩემი ყურადღება რატომ არის ამ კვირაში ახალ საბალეტო პრემიერაზე გამახვილებული. "ციმბირიდან მოსკოვამდე" - ასე ჰქვია ახალ სპექტაკლს, რომელზეც დასი რამდენიმე თვე სერიოზულად მუშაობდა. დადგმა ძალიან "მონუმენტურია", ამ სიტყვის ყველაზე პირადპირი და მარტივი გაგებით. დიდი დეკორაცია, ახალი კოსტუმები, ორკესტრის მიერ დამუშავებულ-დაძლეული მისთვის ახალი მუსიკალური ნაწარმოები...

მაგრამ, მკითხველსა და მაყურებელს ამ დადგმაში მხოლოდ სათაური როდი მოეხამუშება. ციმბირიცა და მოსკოვიც გადაგვიტანია ქართველებს, მაგრამ, როცა თეატრსა და ქვეყანას თითო "მონუმენტური" საბალეტო დადგმა საკმაოზე მეტი ფული უჯდება, ბიუჯეტი, რომლის ნახევარიც არ აქვს თუნდაც ამავე თეატრის მეორე - საოპერო დასს (რასაც კულუარებში მწვავედ აკრიტიკებდა ზაზა აზმაიფარაშვილი, სანამ მოხსნიდნენ), იმად ღირს, რომ ამ დასის წარმოდგენებს თვალი მაინც შევავლოთ.

"ციმბირიდან მოსკოვამდე" პირველად კოპენჰაგენში 1876 წელს დაიდგა და უკვე 100 წელიწადზე მეტია, არსად განხორციელებულა. დადგმა თავის დროზე რუსეთზე შეყვარებულმა და რუსეთით გაოგნებულმა, რუსეთის სამეფო წრეებთან დაახლოებულმა ავგუსტ ბურნონვილმა განახორციელა. ისედაც სახასიათო ცეკვების ოსტატმა, 70 წლის ასაკში ერთობ დიდი ზღაპარი უძღვნა რუსეთს, სხვა ვერაფერი და ალბათ ასაკიდან გამომდინარეც ცარიელი პანტომიმა, მიმიკებისა და ჟესტების ენაზე ააგო. ამ დადგმას თანამედროვე ადამიანი ბალეტს ნამდვილად ვერ დაარქმევს. პროექტის ისტორია, რომელსაც ოპერისა და ბალეტის თეატრის საიტზე წაიკითხავთ (www.opera.ge), ცოტა რთულია და გაუგებარი (მაგალითად რთულია გაერკვეთ მუსიკის და ლიბრეტოს ავტორებში), მაგრამ ვრცელია: როდის და სად იმოგზაურა ბურნონვილმა, დაწვრილებით წერია და რაოდენ საოცარი ქვეყანა იყო მის დროს რუსეთი... მაგრამ ამას საიტზეც ნახავთ, თუ დაინტერესდებით. ახლა შევეცდები, აგიხსნათ, თბილისის სცენაზე რა ხდება, რა ხდება დღეს, 2009 წლის მიწურულს და არა მე-19 საუკუნის შუა ხანებში და ისიც ციმბირში:

პირველი მოქმედება - ციმბირი. კარგად გემრიელად შეფუთული ქალები - მატრიოშკებს რომ გვანან, ისეთები. ბედნიერი სახეებით ცეკვავენ რუსული ფოლკლორული ცეკვებით უხვად გაჯერებულ სცენებს. მათ პატარებს ჩოხები აცვიათ, ანუ ქართველი შვილები ჰყავთ. უნდა ვივარაუდოთ, ქართველი მამები ციმბირში გავლით იყვნენ? ალბათ! პატარა ქართველებს, რომლებიც ხან ოსურს და ხანაც კინტოურს ცეკვავენ, ბოხოხები ახურავთ. მართლაც რომ არაჩვეულებრივად ცეკვავენ. ოსურსა და ხევსურულს "ჩასტუშკები" ცვლის. მოკლედ, ყველაფერი არაჩვეულებრივად არის - დიდი, რუსული და იმპერიალისტური ბედნიერება...

მეორე მოქმედება უკვე რუსეთის სამეფო კარზე მიმდინარეობს. აქ "გრებეშოკიანი" ქალები დაფრიალებენ. იშვიათად თუ წაიცეკვებენ. შედიან და გადიან, შედიან და გადიან... ამ სპექტაკლში ძალიან შემეცოდნენ სოლისტები, რომლებიც რუდუნებით ასრულებდნენ უმარტივეს და უინტერესო ქორეოგრაფიულ-პანტომიმურ ოპუსებს.

არ მინდა მკითხველმა იფიქროს, დადგმას მხოლოდ იმიტომ ვაკრიტიკებ, რომ ის ძალიან რუსულია. რომ თავის დროზე რუსებს აჩუქეს და მიეფერნენ და რომ დღეს ამ დადგმის განახლება დაახლოებით იგივეს ნიშნავს. არა, არა და არა. საქმე ის არის, რომ ეს ბალეტი შეიძლება მე-19 საუკუნის 60-იან წლებში იყო საინტერესო, მაგრამ ამ ტიპის პანტომიმური ბალეტი ნამდვილად ჩაბარდა წარსულს. ასეთი ქორეოგრაფიული ბალასტის დადგმის "ფუფუნება", ვფიქრობ, დღეს არ გვაქვს. თანაც მასში მონაწილეობით ბალეტის მსახიობი ვერ გაიზრდება.

მოკლედ, მისი განახლებისთვის არგუმენტის მოძიება თითქმის შეუძლებელია. ამას ემატება ისიც, რომ კარლ ქრისტიან მოილერის მუსიკა აბსოლუტურად მდარეა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქმე გვაქვს მინკუსის "დონ კიხოტის" ძალიან ცუდ პლაგიატთან, რასაც ემატება რუსული ფოლკლორული სიმღერების მელოდიები და თემები. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სცენოგრაფიაში, მსუბუქად რომ ვთქვათ, მეტისმეტად ცუდი ფერთა შეხამებაა, დეკორაციათა სიმძიმე რთულად აღსაქმელს ხდის ყოველივეს.

პრემიერას თბილისში "მსოფლიო პრემიერის" სტატუსიც ჰქონდა, გასაგებია რატომ - ამ დადგმას სხვაგან არ დადგამენ, არავინ შეგვეცილება, თუმცა შეიძლება მისი განხორციელება სადმე ციმბირში სცადონ. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება ვიქონიოთ, არის ის, რომ მოსკოვსა და პეტერბურგში ჩვენს დასს სპექტაკლით "ციმბირიდან მოსკოვამდე" სიამოვნებით მიიღებენ...

# ჩემი მეგობარი ნუგზარი



ზაზა ფაჩუაშვილი

ჩემი მეგობარი ნუგზარა ძველი ბიჭი იყო. ზედმიწევნით ერკვეოდა ფუნდამენტური ქურდული ტრადიციების ნიუანსებში და განუხრელად იცავდა მათ. მაგრამ ერთი უძვირფასესი თვისება ჰქონდა, რომელიც თეთრი ყვავივით გამოარჩევდა შავი სამყაროს სხვა წევრებისა და წევრობის კანდიდატებისაგან - პიროვნება იყო და როგორც ნამდვილ პიროვნებებს შეეფერება, ფანატიკოსი არასოდეს ყოფილა, ყოველთვის დამოუკიდებლად აზროვნებდა და გადაწყვეტილებებშიც აბსოლუტურად თავისუფალი იყო.

შავ სამყაროში მისი დამკვიდრება თავზეხელაღებულობით დაიწყო, მაგრამ ამის შესახებ მერვე კლასში ყოფნისას არაფერი ვიცოდით. მაშინ პირველად შევხვდი ჩვენი კლასელის დაბადების დღეზე. არც ცეკვავდა, არც ხუმრობდა, მხოლოდ სვამდა და თავის ძმაკაცს, ჩვენს კლასში ახლადგადმოყვანილ ბიჭს, მასავით მომპარავს, სიცილით ესაუბრებოდა. იგრძნობოდა, რომ ძლიერი პიროვნება იყო, თანაც ჩვენი გოგოებისკენ სათომაროდ არ მიიწევდა და ყოველ სიტყვას მოზომილად წარმოთქვამდა. კეთილგანწყობის ნიშნად გართობას მეც შევეშვი და სმაში ავყევი. ქურდებისა და კაი ბიჭების სადღეგრძელო იმდენად ბუნებრივად შესვა, რომ სხვებივით არ გავუღიზიანებივარ. აშკარა იყო, მას გულწრფელად მიაჩნდა, რომ ამ ქვეყნად ყველაზე სამართლიანი ხალხი სწორედ ის ადამიანები იყვნენ და ამიტომაც ადღეგრძელებდა (არა მოდის გამო, ან სხვის დასანახად, როგორც ეს იმ დროს ხშირად ხდებოდა).

თავზეხელაღებულობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩვენი გაცნობის პერიოდში, როცა ის მეცხრე კლასში იყო და სკოლაში უკვე ერთ გაკვეთილზეც აღარ მიდიოდა, მეტროს ვაგონებს ძარცვავდა. საბჭოთა პერიოდში ასეთი წარმოუდგენელი დანაშაული, ალბათ, გაძარცვული ადამიანების გარდა, არავის გაგიგიათ. მოგვიანებით კი, თავად ნუგზარა ამ ამბებს ასე მიყვებოდა: **"ბ-ჯო! თავანი თუ გვქონდა ჩასაბარებელი და "ნაკოლი" არსად იყო, ხო, და ფულს ვერ ვშოულობდით, მეტროებში შევვარდებოდით, ხომე, "ნაგლად", ბ-ჯო, იარაღით და ხალხს თითებიდან, კისრებიდან ოქროულობას ვაგლიჯავდით. გადარეულებივით ვიყავით. ხო იცი, ჩოუბარებლობას სიკვდილი ჯობია. რაფერ გადავრჩით, მაინც, ახლა მიკვირს."**

მას შემდეგ კარგა ხანს აღარ შევხვედრივარ. სკოლა დავამთავრე, საბჭოთა ჯარში ვიმსახურე, ახალ მიკროშიც გადავედი საცხოვრებლად და შევხვდი. თავზეხელაღებულობისა აღარაფერი ეტყობოდა, კოსტუმში გამოწყობილი სერიოზული კაცი იყო. თურმე, ერთი კორპუსის იქით ცხოვრობდა და ჩემგან განსხვავებით უბანში უკვე სახელიც დაემკვიდრებინა. ეს დამკვიდრებაც კინოფილმის სიუჟეტს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ისტორიას. მაგრამ ჯერ ერთ პატარა ეპიზოდს გავიხსენებ მისი ცხოვრებიდან, რამაც მეც გამაკვირვა. ყოველთვის მეგონა, რომ ნუგზარა "კანონიერი ქურდი" გახდებოდა, მაგრამ როცა ჭიათურის მილიციაში დაუკავებიათ და არჩევანიც შეუთავაზებიათ - ციხე ან ჯარიო, ნუგზარას ჯარი აურჩევია და, როგორც თვითონ მითხრა, სრულიად შეგნებულად გაუშვია ხელიდან ქურდად გახდომის რეალური შანსი, თანაც სამუდამოდ (მოგეხსენებათ, შავი გაგებით, "პაგონების" შემდეგ "ქურდობა" შეუძლებელი იყო). რატომ გააკეთა ეს? - აზროვნებდა და ხედავდა, რომ შავი სამყაროს სამართლიანობაზე მისი ბავშვური წარმოდგენა, რბილად რომ ვთქვათ, მოჩვენებითი ყოფილა.

ნუგზარა: **"ბ-ჯო! ე, პატიოსანი ქურდობა აღარ არის, გესმის! ახლა, ვიღაცეები კი არიან, მარა, ძირითადად ყველა ძაღლობასთან არის შეკრული; საქმოსნობენ, ბარიგობენ... მოკლედ ბოზობენ და რო კითხო, კაი ბიჭი ვაარო.**

**ქურდი იყო, ბ-ჯო, ჭიათურელი გრიშა. არაფერი არ გააჩნდა. მის სახლში რო შესულიყავი, ხო? - ერთი საწოლი, მაგიდა, სკამი და შკაფი ედგა, მეტი არაფერი. ჩემზე ძაან დიდი იყო და ძაანაც ვუყვარდი. მაგისთანა კაი კაცს მეორეს ვერ ნახავდი. ქურდი ხო იყო, კოჭლი ხო იყო, მარა საქმეზე დადიოდა. სხვებივით კი არ ბატონობდა "შესტიორკებზე". მაგარი სამართლიანი იყო, არავის დაჩაგრავდა და არც სხვას დააჩაგვრინებდა ვინმეს. გაჭირვებულ კაცს იქით ეხმარებოდა. მოკლედ მართლა ქურდი იყო, რა, და სუ ციხეში იჯდა. ქურდობა ეს არი, ძმაო, აპაა?! ბოლოს ციმბირში იხდიდა სასჯელს. მაშინ დეიწყეს ქურდების გაფუჭება და ვინც ქურდობაზე უარს არ იტყოდა და სამუშაოზე არ გევიდოდა, ბრიდავდნენ, თურმე. ამდენ ქურდებში მარტო გრიშა და ორი ქურდი არ გასულან სამუშაოთ. ეს გრიშა ვერ მოუტეხიათ ვერაფრით (რას გატეხავდნენ, ახლა, მაგას), ჰოდა, გამოუყვანიათ იმ ყინვაში, მიუსხიათ წყალი და... არ გოუყინიათ, ე, მოხუცი კაცი?! რავა ატყობ?!"**

ჯარში წასვლით ნუგზარამ ფაქტობრივად დაიწყო შავი სამყაროდან გამოსვლა, თუმცა მისი რანგის სპეციალისტისთვის ეს არ უნდა ყოფილიყო ადვილი საქმე.

ასე იყო თუ ისე, როცა ნუგზარა ახალ ბინაში გადასულა, სადაც მარტო ცხოვრობდა, შეუკრებია ეზოს კაცები, სახლში დაუპატიჟებია, კარგი სუფრაც გაუშლია და მოფერებია, ახალი მეზობელი ვარ, თქვენი ჭირიმე და მინდა, ვიცნობდეთ და პატივს ვცემდეთ ერთმანეთსო.

ერთ ადგილობრივ მოძველბიჭო ელემენტს, როგორც ჩანს, ნუგზარაში კონკურენტი დაუნახავს და "ვერხის" დაკავებაც მოუნდომებია. ეჩრება, თურმე, ყველა სიტყვაში მასპინძელს, საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას ცდილობს და ბოლოს, სიტყვით რომ ვერაფერს გამხდარა, ხელი გაურტყამს ახალი მეზობლისთვის. ცხადია, თავად ნუგზარას სიტყვების გახსენება სჯობს, მაგრამ წაკითხული ვერაფერი შვილია მის ემოციურ, აქცენტებითა და კოლორიტული კილოთი სავსე გადმოცემასთან შედარებით. ნუგზარა ყოველთვის მართალი იყო თავის სიტყვასთან და სწორედ ამიტომ გამოდიოდა მისი მსჯელობა დამაჯერებელი, თხრობა კი მომნუსხავი.

ნუგზარა: **"ბ-ჯო, "მეტალკავა", "მეტალკავა", არ მომასვენა, მოკლედ, რა. ვეუბნები, რატო, ძმაო, მასე რატო ლაპარაკობ, სუფრასთან ვართ, ვიქეიფოთ, მინდა პატივი გცე და ... არ ამარტყა ხელი, ბ-ჯო, იმ ნაბოზარმა? ესე იგი, "ძაღლის" მეტი ხელი მე არ მომხვედრია და, რო ამასხა სისხლმა თავში, ხო, გადევედი ჭკუიდან. ვეცი პურის საჭრელ დანას და პირდაპირ სახეში დავარტყი. უნდა მომეკლა, მარა, ბედი რო აქვთ ნაბოზრებს... დანა თვალის ქვეშ რო ძვალია იმას მოხვდა და, ქე არ გადატყდა? ვეცი ახლა ბროლის ვაზას და რო უნდა გოუპო თავი და ... ზოგი იმას გადეეფარა წაქცეულს, ზოგი მე მომვარდა ყვირილით, მოკვდა უკვე, აღარ უნდა მეტიო და გავანებე თავი. გაათრიეს, როგორც იქნა. საღამოს გევიგე, რო, გადარჩენილა.**

**ვიფიქრე, ამოვა, ან ბოდიშს სხვისი პირით შემომითვლის-თქვა და რას ვხედავ ...**

**არ დამაყენა ქურდები თავზე? ახლა მეცინება და... მაშინ კარები რო გავაღე, ვხედავ ორი ბიჭია, უკან ის ნაბოზარი უდგათ. რაშია საქმე, ვკითხე. ამ კაცის საქმეზე ვართ მოსულიო. კეთილი, კეთილი, მობრძანდით-თქვა, შევიპატიჟე. ის გარეთ დაალოდეს. შემოვიდნენ, ჩვენ ესა და ეს ვართო, პროფესიით ქურდებიო, საქმის გარკვევა გვინდაო. კეთილი, ძმებო-თქვა, გამიხარდა, რო ქაჯები არ მოუყვანია და მეც ვუთხარი, ვინ ვიყავი, ამის და ამის "ბრატი" ვარ-თქვა და აწიეს ხელები, შენ გენაცვალეთო, რა მოხდა, რაში იყო საქმეო. მოვუყევი ყველაფერი. მოსაკლავი ყოფილა, ძმაოო, მითხრეს, მარა კაი ბიჭის ახლობელია და რაც მიიღო, ის აკმარეო. კეთილი, ძმებო, თქვენი ხათრით იცოცხლოს-თქვა. მერე პატივი ვეცი იმ ხალხს, სახლი დავალოციე და წავიდნენ. ის ნაბოზარი ატუზული ელოდებოდათ. რო გევიდენ, "დავაი" აქედანო, უთხრეს და გასაგები იყო ყველაფერი. იმის მერე თვალით აღარ მენახვება."**

ამგვარად ნუგზარას კაცობის ამბავი მთელმა მიკრორაიონმა გაიგო, მაგრამ მას ეს უპირატესობა სულაც არ გამოუყენებია. პირიქით, სპორტულ მოედანზე ჩადიოდა, ფეხბურთს თამაშობდა და სხვა ახალგაზრდებიდან არ გამოირჩეოდა. თუმცა, სიტუაციასაც გააჩნდა. თუ ვინმე იჩაგრებოდა და სხვები, როგორც ყოველთვის, დუმილს ამჯობინებდნენ, ნუგზარა პრობლემების შიშით განზე არ რჩებოდა და დაჩაგრულს ესარჩლებოდა. ჰქონდა კიდეც საამისო სიტყვა და, თუ საჭირო გახდებოდა, ფიზიკური ძალაც. ხელს რომ მოგიჭერდა მაჯაზე და ერთ-ორ სიტყვასაც გეტყოდა, მიხვდებოდი, რომ სერიოზულ კაცთან გქონდა საქმე.

ერთხელ, თურმე, უბნის ბართან რაღაც ჩოჩქოლი მომხდარა. ვიღაცა "მაგარი" ტიპი უბედურ მევალეს აჩმორებდა და სახეში ულაწუნებდა. აქაც ნუგზარას მოვუსმინოთ.

ნუგზარა: **"ბ-ჯო, მივდივარ და ვხედავ ბართან ბიჭები არიან შეკრებილები, რაღაცა ხმაურია. მივედი, ერთი მთვრალი ახვარი დამდგარა და მობუზულ კაცს ურტყამს სახეში, "თხლაშ" ერთი, "თხლაშ" მეორე; დემეწვა გული, ბ-ჯო. ვტაცე ხელი და ვეუბნები: მომისმინე, ბიჭო, არ ვიცი ამან რა დააშავა, მარა, თუ მოსაკლავია, მოკალი; თუ არა და, ერთი დარტყმაც საკმარისია, რას ჩაგრავ კაცს, რო ჩაგრავ, შე ახვარო-თქვა. ერთი შემომხედა და ბოდიში, ძმაო, ბოდიშიო, გატრიალდა. დამდგარან, ბ-ჯო, ამდენი გამოშტერებული კაცი და უყურებენ სეირს, მაგათი სეირის მაყურებელი"...**

არა, ნუგზარას გინება არ უყვარდა. მეც კი გადამაჩვია, იმდენი შენიშვნა მომცა. თუ ძალიან გაბრაზებული იყო, შეიძლებოდა მსუბუქად ეთქვა რამე და მორჩა. ვერ იტანდა, როცა ბიჭები, თუნდაც ძალიან ახლობლები, ერთმანეთთან გინებით იყვნენ შეხუმრებულები.

ბოლოს ნუგზარამ მთლიანად დაანება თავი "პრისტუპნიკობას". მისი შემოსავალი კი ის იყო, რომ მეტროსთან ერთ-ორ მაღაზიას მფარველობდა ხელშეუხებლობის სრული გარანტიით. თუმცა, მისი სიმართლისმოყვარული ხასიათიდან გამომდინარე, მშვიდი ცხოვრება არ ჰქონია. ერთხელ მე და ჩემი პატარა ძმა ოქროყანაში დაგვპატიჟა, ჩვენი ბიჭები არიან ასულები და წევიდეთ, პატარა ვიქეიფოთო. იქ ერთი-ორი ადგილობრივი მაგარი ბიჭიც დაგვხვდა და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შელაპარაკება მოხდა. ვითარების გამწვავებისგან ყველა თავს იკავებდა, მაგრამ, ახალგაზრდობით გათამამებულმა ჩემმა პატარა ძმამ იქაურთაგან ყველაზე აქტიური გვერდზე გაიყვანა და ცაცია ისე ამოჰკრა, რომ, როგორც იტყვიან, მართლა "ბოზი კურდღელივით გააგორა". ატყდა, მაგრამ რა ატყდა, გადაირივნენ იქაურები. ზოგი სოფელში გაიქცა, მოგვიცადეთ, ახლავე მოვალთო. იმ საერთო ჩოჩქოლში ნუგზარამ ხელი მოხვია ჩემ ძმას, ჩხუბს გაარიდა და გზაზე გაიყვანა. უცებ ტაქსიც გაგვიჩერა, ფული გადაგვიხადა და სახლში გამოგვიშვა, თქვენ აუცილებლად წადით, ბიჭებო, ამ საქმეს მე მივხედავო. ის ღამე თეთრად გავათენეთ. დილის 10 საათზე, როგორც იქნა, ნუგზარაც მოვიდა. შემოვიდა თუ არა სახლში, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიცილი დაიწყო (ასე იცოდა, ხოლმე), მოვაყომარე საქმეო.

ნუგზარა: **"ბ-ჯო, მთელი სოფელი ჩამოყარეს. გადარეულებივით იყვენ. კიდე კაი, თქვენ გამოგიშვით, თუარა, იქ რო დეენახეთ, ხო, რაღა გააჩერებდა იმათ. დილამდე ვიბაზრეთ, მოკლედ რა, და ძლივს დავამშვიდე სიტუაცია. მერე რო დაწყნარდენ, ისეთი ხალხი ვუხსენე, რო ... შეგარიგეთ, რა, დაუსწრებლად. ისე, შენ, რავარი მაგარი ყოფილხარ, მალადეეც,"** - მოეფერა ჩემს პატარა ძმას ნუგზარა. ასეთი იყო, ჩვენი გულისთვის სიკვდილზე დარჩა და ერთი საყვედურიც არ წამოსცდენია. კიდევაც უყვარდა ხოლმე თქმა, ძმობაში მე სულ ფეხზე ვაარო (ისე, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ის ყოჩი მართლა საცემი იყო).

ამ შემთხვევაში ნუგზარა ირონიული სულაც არ ყოფილა. ის მართლაც დიდად აფასებდა ვაჟკაცობას და ფიზიკურ ძლიერებას. თავად სიგარეტს არ ეწეოდა, ქეიფობდა მხოლოდ ახლობლებში, ყოველ დილას დარბოდა და გამეტებით უბრახუნებდა ლოჯში ჩამოკიდებულ უშველებელ ტომარას, რომელიც ქვიშით იყო სავსე. ისეთი მაზოლები ჰქონდა, ბრიუს ლის შეშურდებოდა. ასე ამბობდა: **"ვარიანტი არ არი, ესე იგი, ამას რო გავცხებ კაცს, ფეხზე რო დადგეს ისი."**

გაგიკვირდებოდა კაცს, სიტყვა ისე უჭრის, მუშტებს რას იზერავსო, მაგრამ თავად ნუგზარა ასე ხსნიდა: **"რუსეთში, ბ-ჯო, გაგება კი არ არი. მუშტი თუ არ გიჭრის, ხო, რო მოგცხებენ ჭაჭებში, იძახე, მერე, კაი ბიჭი ვაარო".**

რუსეთი რა შუაშია? - "პრესტუპნიკობის" პერიოდში რუსეთშიც მოღვაწეობდა და იცოდა იქაურების "ბეზპრედელობის" ამბავი. ერთხელ რესტორანში მოსვლიათ ჩხუბი. ნუგზარა იმ დროს გარეთ ყოფილა. რომ მიბრუნებულა, დაუნახავს, რომ რუსების მთელ ჯგროს ორი ქართველი ალყაში მოუქცევია და ღრენა-ღრენით უახლოვდება.

ნუგზარა: **"დასევიან, ბ-ჯო, ე რუსები ბიჭებს, მოუგდიათ "კრუგში" და იწევენ. ისინი შეშინებულები იყურებიან. რა მექნა, შევვარდი წრეში, ევიღე მაგიდიდან ჩანგალი და ერთს მარცხნივ ჩავცხე კისერში, მეორეს - მარჯვნივ მხარში და ასე, ზოგს ზურგში, ზოგს ბეჭში, გავარღვიე ალყა. მოვტრიალდი, მიყურებენ გაშეშებულები ეს ორი ქართველი. "პლეტი" ბიჭო, რას გამოშტერებულხართ მად-მეთქი და გავარდენ. მე კარებში ერთი კიდევ მოვტრიალდი, "ნი პადხადი"-თქვა ვიღრიალე და მიჭირავს, ახლა, ეს ჩანგალი და ნელ-ნელა ვშორდები, რო გევიქცე, მარა ამასობაში ეს ბოზები ფანჯრებიდან გადმომხტარან და ახლა მე მომაქციეს ალყაში. გავარდი ერთ მხარეს, გაიწიენ გამატარეს, მარა ჩიხი ყოფილა და მივეყუდე კედელს. მიყურეს, მიყურეს და რო ვერ მომეკარენ, მოზიდეს ნაგვის ვედროები, რკინები, რაღაცეები და დამიწყეს სროლა. მერე აღარაფერი აღარ მახსოვს. საავადმყოფოში გევიღვიძე, თავი მქონდა გარიგვინებული."**

ცოცხალ-მკვდარი ნუგზარა იმ ქართველებს შებინდებისას უპოვიათ. როგორც ჩანს, რუსებს მკვდარი ეგონათ და მიატოვეს. მერე გაუგია ნუგზარას, რომ ჩხუბი ერთი ქართველის ბრალი ყოფილა. დაულევია და დაუწყია უადგილო "ბლატაობა". ნუგზარას კინაღამ მოუკლავს, "ტრაკი თუ არა გაქ, რაღას "ბლატაობ" შე პროჭიაშვილოო". ხმა რო ამეეღო, ნაღდად შემომაკვდებოდა ის შობელძაღლიო, ამბობდა სასწაულებრივად გადარჩენილი ნუგზარა.

მეორედ ველარ გადარჩა, მაგრამ ეს იმ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იყო - 33 წლის ასაკში, 1998 წელს, როცა რუსეთში მეორედ იძულებით წავიდა. რამ წაიყვანა? - თავად არ უთქვამს, მაგრამ მე ვფიქრობ, სიყვარულმა. ერთი ლამაზი გოგო შეუყვარდა უბანში. უმალ მიხვდებოდით, ვინ. ის რომ ქუჩაში გამოდიოდა, ახლო-მახლო ბიჭის ჭაჭანება არ იყო. ყვავილებითაც აკითხავდა სახლში, მაგრამ ერთხელ, დაბადების დღეზე რომ მისულა, სუფრასთან იმ გოგოს ქმარი დახვედრია.

ნუგზარა: **"იჯდა, ბიჭო, ვიღაცა სირი ... დედამისმა - გაიცანი, ეს თეას ქმარიაო. ერთი სადღეგრძელო დავლიე და ცივად გამოვტრიალდი. დედამისი გამომყვა, ვითომ ძაან გული შეტკიოდა, რა ვქნა, შვილო, დაიგვიანე და გავათხოვეთო, ახლა საქმეს ნუღა აგვირევო. არა, მე უთხარი, ქალო, რას აგირევ, გყავდეთ და იყავით მაგასთან-თქვა. გოგო შემეცოდა, მე რო არ წამეყვანა, მიტო გაათხოვეს ნაუცფათევად."**

იმ ქალის შეშფოთება ძალიანაც საფუძვლიანი იყო. ნუგზარას მართლაც შეეძლო ქალის წართმევა, მაგრამ ოჯახის, როგორც ასეთის უპატივცემლობას არასოდეს იკადრებდა. ასეთი რომ არ ყოფილიყო, დღეს ცოცხალი იქნებოდა. ერთი სიტყვით ამ ამბიდან მალევე ნუზარამ გვითხრა, რომ ისევ რუსეთში აპირებდა წასვლას. მანამდე კი ეკლესიაში წაყვანა მთხოვა და ჩემს მოძღვარს აღსარება ჩააბარა. მერე წავიდა. უფაში ყოფილა. თავისი ძმის სახლში ყოველდღე რეკავდა, დედას მიხედეთო. თავის ბინაში ძველი "პადდელნიკების" მიერ მოპარულ ხატს ინახავდა, რომელიც ნუგზარას პატივისცემის ამბავში "დაუპადაგრევეს", როცა თავად აღარ "პრესტუპნიკობდა". დაურეკავს, ხატი ზაზას მიეცით, ეკლესიაში მიიტანოსო. მივაბრძანეთ.

სამი თვის შემდეგ დედას დაურეკა, მოეფერა და ახარა, ნუ გეშინია, სამ დღეში ჩამოვალო. ერთ კვირაში ჩამოასვენეს. გამცილებელი ქართველი ბიჭი ჩამოჰყვა, მაგრამ ვერაფერი გაგვაგებინა. სადღაც ფულის ასაღებად წავიდაო. იქ სუფრასთან მიუპატიჟებიათ, დაულევიათ. ნუგზარა უცებ ცუდად გამხდარა. საავადმყოფოში წაუყვანიათ. რეანიმაციაში ცოცხალი შეუყვანიათ, მეორე დღეს მკვდარი გამოუსვენებიათ. ეს იყო და ეს. ასე უშვილძიროდ დამთავრდა ამქვეყნად ჩემი მეგობარი ნუგზარის ცხოვრება. ესეც რუსეთმა შეიწირა.

# სპორტი

## რუსეთი უკან მოვიტოვეთ, ფინალში იტალია გველის

დასასრულს მიუახლოვდა პორტუგალიაში მიმდინარე ევროპის პირველობა 19 წლამდე ასაკის მორაგბეთა შორის.

ჭაბუკი "ბორჯღალოსნები" ამ ტურნირზე წარმატებით თამაშობენ და ფინალშიც გავიდნენ, სადაც კონტინენტის პირველობის მთავარ ფავორიტს - იტალიის ნაკრებს შეხვდებიან. იტალიელებმა ნახევარფინალში ადვილად დაამარცხეს ესპანეთის გუნდი - 40:10. ლევან მაისაშვილის დამოძღვრილ ქართველ ჭაბუკებს კი პრინციპული მეტოქის დამარცხება დასჭირდათ.

რუსეთის ნაკრებთან გამართულ ნახევარფინალურ მატჩში ქართველები ტაიმ-ნახევრის განმავლობაში დომინირებდნენ. მატჩის პირველი ნახევარი ჩვენმა გუნდმა 12:3 მოიგო. მამუკაშვილმა და გოგლიჩიძემ ორი ლელო გაუტანეს მეტოქეს. მეორე ტაიმის შუამდე მინდორზე ჩვენთვის საგანგაშო არაფერი ხდებოდა, თუმცა, ჩვენმა ბიჭებმა ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და კინაღამ დაისაჯნენ. რუსებმა ანგარიშში სხვაობა შეამცირეს და ბოლო წუთებზე შეგვიტიეს კიდეც ლელოს დასადებად. თუმცა ქართველმა მორაგბეებმა შემოტევას გაუძლეს და თამაშის ბოლო წამებზე მესამე ლელოს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ უკვე რუსთა ჩათვლის მოედანზე შესულ ქართველ მორაგბეებს ბურთი წინ გადაუვარდათ და მატჩი 12:8 დასრულდა პატარა "ბორჯღალოსნების" სასარგებლოდ. ევროპის ჩემპიონატის ფინალში ჩვენი გუნდი იტალიას შეხვდება და თუ მოიგო 19-წლამდელთა მსოფლიო მარაქაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს.



*პატარა "ბორჯღალოსნებმა" რუს "დათვებს" ორი ლელო აგემეს.*

**ლევან მაისაშვილი (19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** უაღრესად რთული შეხვედრა გამოდგა. ისეთი, როგორიც არის ხოლმე რუსებთან დაპირისპირება. პირველ რიგში ფსიქოლოგიურ ასპექტში. სწორედ ამიტომ დავუშვით ბევრი შეცდომა მატჩის მსვლელობისას. თუმცა თამაშამდე ფსიქოლოგიაზე ბევრი ვიმუშავეთ და მეტოქეს ნერვების თამაშში არ ავყევით. შედეგიც სახეზეა. ძირითადად თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. მეორე ტაიმში იყო მომენტი, როცა შემოგვიტიეს, მაგრამ მორაგბეებმა დაცვაში ზუსტად ითამაშეს და საბოლოოდ ჩვენთვის სასურველი შედეგი დაფიქსირდა.

რაც შეეხება ფინალურ შეხვედრას ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ იტალია ძალიან ძლიერი და კარგად დაბალანსებული გუნდია. თან ჩვენს რიგებში ტრავმირებული მორაგბეები გვყავს. ჩვენსას ვეცდებით. ჯერ ვერ ვიტყვი როგორ შემადგენლობას გავიყვანთ მინდორზე, მაგრამ რუსების მატჩთან შედარებით განსხვავებულ თამაშს რომ ვითამაშებთ დარწმუნებული ვარ."

## თავისუფლები სომხეთიდან 10 მედლით დაბრუნდნენ

სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ ვანაძორიდან (სომხეთი) ქართველი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. სტეფან სარქისიანის სახელობის ტრადიცულ საერთაშორისო ტურნირზე წლეულს მასპინძელ, სომხეთის ნაკრებთან ერთად, საქართველოს, უკრაინის, ირანისა და რუსეთის (დაღესტანი) გუნდები იღებდნენ მონაწილეობას.

ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი და სომხეთის ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი სტეფან სარქისიანი უცხოეთში მოღვაწე ბიზნესმენია, რომელიც მეთხუთმეტე წელია მშობლიურ ქალაქ ვანაძორში მისივე სახელობის თასს ათამაშებს სოლიდური საპრიზო ფონდით.

პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენებს 3 ათასი დოლარი გადაეცათ, მეორე ადგილზე გასულებს - 2 ათასი, ხოლო მესამე ადგილზე გასულებს 500-500 დოლარი ერგოთ. ჩვენი გუნდიდან ჩემპიონები გახდნენ ბესიკ გოჩაშვილი (55 კგ.), ბელდუხ გავაშელიშვილი (96 კგ.) და დავით ოთიაშვილი (120 კგ.). ვერცხლის მედლები გელა საღირაშვილს (74 კგ.) და გიორგი ნიკურაძეს (120 კგ.) ერგოთ. ბრინჯაოს მედლები მიიღეს ლადო ხინჩეგაშვილმა (55 კგ.), მალხაზ მუზიაშვილმა (66 კგ.), ნიკოლოზ გაგნიძემ (84 კგ.), არჩილ ქიტიაშვილმა (84 კგ.) და დაჩი ქერაშვილმა (96 კგ.).

*www.sport.gov.ge*

## საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები მოლდოვაში გაემგზავრა

გუშინ, გამთენიისას, საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები მოლდოვაში გაემგზავრა, სადაც "ჩელენჯ ტროფის" ჯგუფური ეტაპის მატჩებს ჩაატარებს. საქართველოს ნაკრებს დღეს პირველი შეხვედრა ექნება აზერბაიჯანის ნაკრებთან. კიშინიოვში გამგზავრებამდე ნაკრები სოფელ დიღომში მდებარე სპორტულ დარბაზში ვარჯიშობდა.

მთავარი მწვრთნელის მერაბ მეტრეველის განკარგულებაშია ყველა წამყვანი მოთამაშე, მათ შორის, ლეგიონერებიც. საბედნიეროდ, ტრავმა არავის არა აქვს. ხელბურთელები სრული დატვირთვით ვარჯიშობენ. საქართველოს ნაკრები მოლდოვაში ტიტულის დასაცავად იბრძოლებს (შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდი ბოლო "ჩელენჯ ტროფის" გამარჯვებულია). ქართველებს ჯგუფში გადამწყვეტი თამაში მასპინძელთან - მოლდოვის ნაკრებთან ექნებათ, ისევე როგორც ორი წლის წინ, თბილისში. ამიტომაც არის, რომ კალენდარში საქართველოსა და მოლდოვის დაპირისპირება ჯგუფის ბოლო მატჩად არის მონიშნული.

ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ორივე ნაკრებმა კონკურენტები ზედმეტი ნერვიულობის გარეშე უნდა დაამარცხოს. ჯგუფის გამარჯვებული კი ფინალურ მატჩს გაისად, იანვრის მეორე ნახევარში, ავსტრიაში ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დროს გამართავს.

**საქართველოს ნაკრები:**

მეკარეები: შოთა თევზაძე ("ბაკაუ", რუმინეთი), გიგა ტორონჯაძე ("სტუ-შევარდენი");

მოედნის მოთამაშეები: სერგო დათუკაშვილი ("გორენიე", სლოვენია), ვლადიმერ რუსია ("ოდორჰეისი", რუმინეთი), რატი მსხვილიძე ("მეტალოპლასტიკა", სერბეთი), რევაზ ჭანტურია ("მეტალურგი", მაკედონია), ირაკლი ჩიქოვანი ("მეტალოპლასტიკა", სერბეთი), ილია გოგალაძე ("სტუ"), უჩა მაისურაძე ("თბილისი"), ვანო ქარდავა ("თბილისი"), შოთა გრიშიკაშვილი ("ართვინი", თურქეთი), ამირან ყიფიანი ("სტუ"), გიორგი წივწივაძე ("თბილისი"), აკაკი ტალახაძე ("სტუ"), ტიტე კალანდაძე ("თბილისი"), გიორგი კობახიძე ("სტუ"), სერგეი კირილოვი (პოლონეთი).

მთავარი მწვრთნელი: მერაბ მეტრეველი

მწვრთნელი: ირაკლი კეკელიძე

**"ჩელენჯ ტროფი 2009-2010"**
**შესარჩევი ეტაპი**
**"ა" ჯგუფი**

საქართველო
მოლდოვა
სომხეთი
აზერბაიჯანი

**30 ოქტომბერი**
საქართველო - აზერბაიჯანი
**31 ოქტომბერი**
საქართველო - სომხეთი
**1 ნოემბერი**
საქართველო - მოლდოვა
**"ბ" ჯგუფი**
ფინეთი
შოტლანდია
მალტა
ირლანდია

*www.sport.gov.ge*

### კუპერს სამშობლოში ელიან

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, 53 წლის არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი მალე დატოვებს თანამდებობას. კუპერის მეთაურობით "ხუთჯვაროსნებმა" მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დიდი სირცხვილი ჭამეს და ლოგიკური იქნება, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი მესვეურები არგენტინელთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებენ.

როგორც ჩანს, ამას კუპერის სამშობლოშიც ხვდებიან. სწორედ ამიტომაა, რომ არგენტინის ჩემპიონატში სუსტად მოთამაშე "რასინგის" მესვეურებმა გუნდის გადასარჩენად კუპერის მიწვევა გადაწყვიტეს.

არგენტინული მედიის ინფორმაციით, საქართველოს ნაკრების თავკაცი "რასინგის" მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

### პელეგრინი "რეალს" დაემშვიდობება

ზედიზედ სამი წარუმატებელი მატჩის შემდეგ მოსალოდნელია, რომ თანამდებობას დატოვებს მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელი მანუელ პელეგრინი. მარცხი ჩემპიონთა ლიგაზე "მილანთან", უგოლო ფრე ესპანეთის ჩემპიონატში და გამანადგურებელი მარცხი ესპანეთის სამეფო თასზე მესამე დივიზიონის გუნდთან - ასეთია "რეალის" მონაგარი ბოლო ერთი კვირის განმავლობაში. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დღის წესრიგში დადგა პელეგრინის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

თუ ჩილელ სპეციალისტს "რეალიდან" გაუშვებენ, სამეფო კლუბს პელეგრინის დაახლოებით ნახევარწლიანი მოღვაწეობა 15 მილიონი ევრო დაუჯდება. საქმე ის არის, რომ, თავის დროზე, როცა "რეალმა" პელეგრინი "ვილიარეალიდან" წამოიყვანა, "სამეფო კლუბმა", კომპენსაციის სახით, 4 მილიონი ევრო გადაიხადა, ხოლო თუ ახლა ჩილელთან შეწყდა თანამშრომლობა, მწვრთნელი კონტრაქტის გაწყვეტისთვის, კომპენსაციის სახით, 11 მილიონს მიიღებს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეიძლება დაიკავოს პელეგრინის ადგილი. ესპანური მედიის ინფორმაციით, ყველაზე რეალური კანდიდატი ხორხე ვალდანოა. არც ისე შორეულ მომავალში კი, შესაძლოა, "სამეფო კლუბის" სადავეები "რეალის" ცოცხალ ლეგენდას - რაულს ჩააბარონ. ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტმა კარლოს ხინესმა განაცხადა. "კარიერის დასრულების შემდეგ რაულს ფეხბურთში სურს დარჩენა. შეიძლება ითქვას, რომ რაული მომავალში მაღალი დონის მწვრთნელი იქნება. მისთვის ფეხბურთი ყველაფერია. რაც შეეხება რაულის საფეხბურთო კარიერას, თუ სეზონში 30 მატჩს მაინც გამართავს, "რეალთან" კონტრაქტი კიდევ გაგრძელდება", - აცხადებს ხინესი.

### ოტმარ ჰიტცფელდი: "ვან გაალს გაუჭირდება"

შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომელიც წლების მანძილზე მიუნხენის "ბაიერნში" მოღვაწეობდა და გერმანიის ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელადაა აღიარებული, bundesliga.de-სთვის დღეს მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ "რეკორდმაისტერის" ახალ მთავარ მწვრთნელს ლუის ვან გაალს საწყის ეტაპზე მუშაობა გაუჭირდება.

"როცა "ბაიერნზე" ვსაუბრობ, ყველა სიტყვა გულიდან მოდის. ვფიქრობ, წელს მათ გერმანიაში ბადალი არ ეყოლებათ. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, ვან გაალი შესანიშნავი სპეციალისტია, მაგრამ მას ძალიან გაუჭირდება. გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც სათადარიგოთა სკამზე ჯდომა განსაკუთრებით არ სიამოვნებთ. ყველაზე პრობლემური ჰოლანდიელისთვის სწორედ მათთან ურთიერთობა იქნება. თუ ის ამ პრობლემას გაუმკლავდება, მაშინ, მიუნხენელებთან ერთად, დიდ წარმატებებს მიაღწევს", - აცხადებს ჰიტცფელდი.

### რონალდუ ვერც "სან სიროზე" ითამაშებს

სანაკრებო მატჩების დროს დაშავებული პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ ტრავმირებული კოჭის მოშუშებას და სრულფასოვანი ვარჯიშის განახლებას ვერ ახერხებს. არადა, რამდენიმე დღის წინ გვარწმუნებდა, ტრავმა თითქმის მოვიშუშე და მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგის მატჩში ვითამაშებო (შეგახსენებთ, რომ "რეალი" "სან სიროზე" გამართავს გასვლით მატჩს).

2008 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ოთხშაბათს საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ პორტუგალიელი შაბათს "ხეტაფეს" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. იქვე ექიმებმა დათქვეს მომდევნო შემოწმების თარიღი - 4 ნოემბერი, რაც ავტომატურად "მილანთან" მატჩის გამოტოვებასაც გულისხმობს.

პორტუგალიელისგან განსხვავებით, უკვე ძირითად ჯგუფთან ვარჯიშობენ ლასანა დიარა და გონსალო იგუაინი. არგენტინელმა ფორვარდმა ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და, შესაძლოა, შაბათს "რეალის" შეტევის ხაზში რაულის მეწყვილის როლი შეასრულოს. რაც შეეხება დიარას, ის საფრანგეთიდან დაბრუნდა, სადაც ოჯახური პრობლემების გამო გაემგზავრა.

### უეინ რუნი: ″კრიშტიანუ რონალდუ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია″

ამ დღეებში პატრის ევრამ ყოფილი თანაკლუბელი კრიშტიანუ რონალდუ შეაქო. ახლა კი უეინ რუნის დრო დადგა. მან საქებარი სიტყვები არ დაიშურა პორტუგალიელი ვარსკვლავის მიმართ.

რუნიმ განაცხადა, რომ რონალდუს წასვლა პრობლემა არ გამხდარა "მანკუნიანელებითვის". "ბარნლისთან" წავაგეთ, მაგრამ მერე მოვიგეთ ბევრი მატჩი, თუმცა, მაინც გვაკრიტიკებენ".

ინგლისელმა ფორვარდმა გასული სეზონის "მანჩესტერი" წლევანდელ გუნდს შეადარა. "ჩვენ სხვა ფეხბურთს ვთამაშობთ. მართალია, გასულ სეზონში გუნდი რონალდუზე იყო აწყობილი, მაგრამ გვყავს ახალი ფეხბურთელები, რომლებიც, იმედია, მალე გაივლიან ადაპტირებას".

ბოლოს რუნიმ კრიშტიანუს მადრიდში ტრანსფერზე ისაუბრა: "არ არის გასაკვირი, თუ როგორ თამაშობს რონალდუ მადრიდში. ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და მჯერა, გააგრძლებს ჩვეულ თამაშს," - დაასრულა რუნიმ.

### სპალეტიმ ″ზენიტი″ ჩაიბარა

ფეხბურთის იტალიელი სპეციალისტი ლუჩანო სპალეტი სანქტ-პეტერბურგის "ზენიტს" გაწვრთნის.

იტალიური სპორტული მედიის ინფორმაციით, "რომას" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა რუსულ კლუბთან ჯერ კიდევ 1 ოქტომბერს გააფორმა ორწლიანი ხელშეკრულება, თუმცა, ამას ორივე მხარე მალავდა. მეტიც, სპალეტი აქამდე ამტკიცებდა, რომ რუსულ კლუბში მუშაობას არ დაიწყებდა და მხოლოდ საუკეთესო ხუთეულის კლუბების შეთავაზებებს ელოდა.

"ზენიტის" თავკაცად სპალეტის დანიშვნის შესახებ ოფიციალური განცხადება ნოემბერში, რუსეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაკეთდება. სანქტპეტერბურგული გუნდის ახალი დამრიგებლის ხელფასი სეზონში 4 მილიონი ევრო იქნება. შეთანხმების მიხედვით, სპალეტის საკონტრაქტო ვადის ერთი წლით გახანგრძლივება შეუძლია. გარდა ამისა, თუ "ზენიტი" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას ვერ მოიპოვებს, მწვრთნელს ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტის უფლებაც აქვს.

### ვიერიმ ბრაზილიას მიაშურა

ვეტერანმა იტალიელმა ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ ფეხბურთის გარეშე ერთი კვირაც ვერ გაძლო. დაახლოებით ერთი კვირის წინ 36 წლის ფორვარდმა განაცხადა, რომ ფეხბურთის თამაშს თავს ანებებდა და, როგორი სარფიანი შეთავაზებაც არ უნდა მიეღო, არც კი განიხილავდა. გავიდა ერთი კვირა და "ბობომ" გადაწყვეტილება შეცვალა. იტალიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა სან პაულუს შტატში მოასპარეზე რიბეირუ პრეტუს "ბოტაფოგოსთან" გააფორმა წინასწარი კონტრაქტი.

"იტალიაში და, საერთოდ, ევროპაში თამაში აღარ მინდოდა. ახალი გამოწვევა მჭირდებოდა და ბრაზილიაში გამგზავრებაც ამის გამო გადავწყვიტე. "ბოტაფოგოს" შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ გუნდს კარგი სტადიონი აქვს და გულშემატკივართა დიდი მხარდაჭერით სარგებლობს", - ასე იმართლა თავი იტალიელ ჟურნალისტებთან საუბრისას ვიერიმ.

კლუბი, რომელშიც ვიერი გადავიდა, ის "ბოტაფოგო" არ არის, რომელიც ბრაზილიის ელიტურ დივიზიონში ასპარეზობს. "ბობოს" ახალი კლუბი გაცილებით დაბალი დონისაა და, იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ შტატის ჩემპიონატში გამოდის, არსებობის 90-წლიანი ისტორია აქვს. ამასთან, იტალიელის მიერ ნახსენები სტადიონი 50 ათას გულშემატკივარს იტევს.

### 19 წლის მცველზე ნადირობა გამოცხადდა

ინგლისურ ჩემპიონლიგაში მოასპარეზე "შეფილდ უენსდის" 19 წლის მცველი მარკ ბივერისი შეიძლება ბრიტანული გრანდების სატრანსფერო ომის მიზეზად იქცეს.

ინგლისური მედია ბივერისს უკვე ადარებს ჯონ ტერის. ბრიტანელი საფეხბურთო ექსპერტები კი აცხადებენ, რომ 19 წლის მცველისთვის ჩემპიონლიგაში თამაში დაუშვებელია, რომ ფეხბურთელი სასწრაფოდ უნდა გადავიდეს პრემიერლიგის რომელიმე კლუბში.

როგორც ჩანს, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ასეც მოხდება. ბივერისის გადაბირების სურვილი უკვე გამოთქვეს "ტოტენჰემმა", "ლივერპულმა" და "სიტიმ". შესაძლოა სია გაიზარდოს კიდეც.

### ბაბელმა თანამდებობა შეინარჩუნა

მიუხედავად იმისა, რომ მარკუს ბაბელის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო და, თუ გერმანულ მედიას დავუჯერებდით, ოთხშაბათს მას "შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვდნენ, ასეთი რამ არ მომხდარა.

ოთხშაბათს გამართულ საგანგებო კრებაზე "შტუტგარტის" ხელმძღვანელობას გუნდის მწვრთნელ მარკუს ბაბელის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება არ მიუღია.

"დარწმუნებული ვართ, რომ ამ სამწვრთნელო შტაბს გუნდის კრიზისიდან გამოყვანა შეუძლია," - განაცხადა კრების შემდეგ კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჰორსტ ჰელდტმა.

"შტუტგარტი", რომელსაც ათი ტურის შემდეგ 8 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში ბოლოდან მეხუთე ადგილზეა, სამშაბათს გერმანიის თასზე სტუმრად მეორებუნდესლიგურ "გროიტერ ფიურტთან" 0:1 დამარცხდა. ეს გუნდის ზედიზედ მეხუთე წაგებაა.

ასეთ ვითარებაში გასაკვირი არ არის, რომ კლუბში ბაბელის ყოფნის საკითხი დაისვა.

# დადიანის მემორიალზე გუნდი ნული იყო

ზურაბ თალაკვაძე

ცოტაც და, სტარტს აიღებს საქართველოს მორიგი საკალათბურთო სუპერლიგა. ასე თუ ისე, დასრულდა გუნდების სასელექციო მუშაობა და ტურნირის ყველა მონაწილემ თითქმის საბოლოო სახე მიიღო. სეზონის პირველ ტურნირზე, დუდუ დადიანის მემორიალზე, ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად სსაუ ითვლებოდა, თუმცა, ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩში მიხეილ კობეშავიძის გუნდმა თსუ-ს ბარიერი ვერ გადალახა და ფინალს მიღმა დარჩა.

შემადგენლობის მხრივ აგრარები არავის ჩამოუვარდებიან, თუმცა დანაკლისი ამ გუნდსაც აქვს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მომძლავრებულ გუნდში გადავიდა მობილური, მშრომელი ცენტრი გიორგი ყველაშვილი, ლეგიონერად იქცა მიხეილ ბერიშვილი, ამ ორი ძლიერი მოთამაშის ნაცვლად კი კობეშავიძემ მხოლოდ "რუსთავის" ფორვარდის რეზო დიდიას სახით მიიღო შევსება. და მაინც, აგრარებს ამ სეზონში დიდი ამბიციები უნდა ჰქონდეთ, რაც სავსებით ლოგიკური იქნება. კარგი სამწვრთნელო შტაბი, სოლიდური მოთამაშეები ყველა პოზიციაზე და, რაც მთავარია, გუნდს არ ექნება არავითარი პრობლემა შეთამაშების სახით, რადგან თითქმის შარშანდელი შემადგენლობა ჰყავს.

**- ბატონო მიხეილ, დუდუ დადიანის მემორიალით დავიწყოთ.**

- რა უნდა ვთქვა... ამ ტურნირზე გუნდმა ძალიან ცუდად ითამაშა, ყველაზე პრინციპულ შეხვედრაში თსუ-ს წინააღმდეგ კი ნული იყო. მოგება ნამდვილად შეგვეძლო, მაგრამ ბევრი შეცდომა დავუშვით, უამრავი იოლი სროლა გავაფუჭეთ და მარცხიც ლოგიკური გამოდგა. თსუ-მ კარგად ითამაშა, იბრძოლა და დამსახურებულად მოგვიგო.

**- გყავდათ ტრავმირებულებიც.**

- გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, უკანახაზელი გიორგი მარხვაშვილის ტრავმის გამო დიდი ძალა დავკარგეთ. მარხვაშვილს შარშან კარიერაში გამორჩეული, შეიძლება საუკეთესო სეზონიც კი ჰქონდა და ძალიან საწყენია, რომ პირველივე ტურნირზე გამოგვაკლდა. თუ სეზონის მსვლელობისას ფორმაში არ ჩადგა, ძალიან გაგვიჭირდება.

**- რამდენად სერიოზული დანაკლისი განიცადეთ ყველაშვილისა და ბერიშვილის სახით?**

- ძალიან სერიოზული. ყველაშვილი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მაღალი მოთამაშე იყო. ახლა მხოლოდ რეზო ათანელიშვილი დაგვრჩა ცენტრის პოზიციაზე. სიმაღლის დეფიციტი ნამდვილად გვაქვს, თუმცა, ვეცდებით, ჩვენი სხვა კოზირების ეფექტურად გამოყენებით ეს დეფიციტი გადავფაროთ. ბერიშვილზე რა უნდა ვთქვა... ჩვენი გუნდის კი არა, სუპერლიგის გამორჩეული მოთამაშე იყო. დასანანია, რომ დაგვტოვა, თუმცა, მიშას გულით ვუსურვებ წარმატებას ყველაგან, სადაც ითამაშებს.

**- რევაზ დიდიას სახით სერიოზული შევსება მიიღეთ. "რუსთავში" ამ მოთამაშეს დიდი კონკურენციის გამო შედარებით შეზღუდული დრო ეძლეოდა, თქვენთან კი, წესით, პირიქით უნდა იყოს.**

- რეზი ძალიან კარგი მოთამაშეა. "რუსთავში" რა და როგორ იყო, ეს იმ გუნდის საქმეა, ჩვენთან კი დიდიას თავისი ადგილი ექნება და ვეცდებით, მისი ძლიერი მხარე მაქსიმალურად გამოვიყენოთ. რეზი უნივერსალია და გუნდს დიდი სარგებელი უნდა მოუტანოს.

**- შარშან თქვენს გუნდს ბექა წივწივაძისა და მარხვაშვილის სახით სუპერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავდა. ალბათ წელსაც ამ წყვილმა დიდი როლი უნდა ითამაშოს.**

- ნამდვილად. გიორგიზე უკვე ვისაუბრე. იგივე შემიძლია ვთქვა წივწივაძეზეც. თუ ეს წყვილი კარგ კონდიციებში იქნება და სტაბილურობას შეინარჩუნებს, ნებისმიერ გუნდთან გაცილებით ნაკლები პრობლემა გვექნება.

**- ელოდით თუ არა "რუსთავის" ასეთ დამაჯერებელ გამოსვლას დუდუ დადიანის მემორიალზე?**

- რა თქმა უნდა. რატომ ელოდით სხვა პასუხს?

**- რა ვიცი... გუნდიდან წავიდნენ უგრეხელიძე, გამყრელიძე, ლეჟავა, დიდია...**

- კი, მაგრამ ვინც დარჩა, მაინც სოლიდურ ჯგუფს ქმნის. თანაც, ამ გუნდის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ დიდი ხანია ერთად ვარჯიშობს, შეთამაშების პრობლემა არა აქვს და ყველა რგოლში მშვენივრად არის დაკომპლექტებული. ის, ვინც მანამდე ცოტას თამაშობდა, წელს ალბათ წინა პლანზე წამოიწევს. "რუსთავიც" ისევ ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად რჩება.

**- სუპერლიგას უთუოდ დაეტყობა ისეთი მოთამაშეების არყოფნა, როგორებიც არიან უგრეხელიძე, გამყრელიძე, ბერიშვილი და, რა თქმა უნდა, ვატო ნაცვლიშვილი.**

- თქვენს კითხვას თვითონვე უპასუხეთ და რა დავამატო? დაეტყობა, აბა რა იქნება, როდესაც ამდენი ძლიერი, გამოცდილი მოთამაშე აღარ იქნება.

**- და ბოლოს, ბატონო მიხეილ, რა იქნება გუნდის მიზანი წლევანდელ სეზონში?**

- ჩვენი მიზანი მაღალი დონის კალათბურთის თამაშია. ვნახოთ, როგორ აეწყობა. წელს სუპერლიგაში რამდენიმე ახალი გუნდი იქნება. წარმატებას ვუსურვებ დავით უსტიაშვილს "ბათუმის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე. სხვებსაც ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. კარგი გუნდი ეყოლება შინაგან საქმეთა სამინისტროს - აქ ბევრი გამოცდილი მოთამაშეა შეკრებილი. სეზონი დაიწყება და ყველა ყველაფერს თავად ნახავს.

# ფაჩულიამ და "ქორებმა" სეზონი გამარჯვებით დაიწყეს

თავისი პირველი მატჩი გამართა NBA-ს რეგულარულ სეზონში ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა". ჯორჯიელებმა საკუთარ "ფილიპს არენაზე" "ინდიანა პეისერზს" უმასპინძლეს და მეტოქე 120:109 დაამარცხეს. ზაზა ფაჩულიას წვლილი ამ გამარჯვებაში არც ისე დიდია. მართალია, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მოედანზე 17 წუთი დაჰყო, მაგრამ ქართველი ცენტრის მონაგარი სოლიდური არ ყოფილა. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ მან ახლახან მოიშუშა ტრავმა.

მატჩი დაძაბული გამოდგა. პირველი მეოთხედი სტუმრებმა სამი ქულით მოიგეს, მეოთხე მეოთხედის დასაწყისისთვის კი სამქულიან უპირატესობას "ქორები" ფლობდნენ. გადამწყვეტ - მეოთხე მეოთხედში ატლანტელებმა დაჯაბნეს მეტოქე და, ერთი შეხედვით, დამაჯერებელი და იოლი გამარჯვება მოიპოვეს.

ზაზამ 17 წუთში 4 ქულა მოაგროვა. მან თამაშიდან ნატყორცნი ოთხი სროლიდან მხოლოდ ერთი შეასრულა ზუსტად, ოთხი საჯარიმოდან კი ორი გამოიყენა. არც ფარქვეშ ბრძოლით გამოუჩენია თავი - ჩვენებურის ანგარიშზე მხოლოდ ერთი მოხსნაა.



ფაჩულიას სეზონის პირველი მატჩი არ გამოუვიდა

ზაზას მთავარმა კონკურენტმა და ატლანტელთა ძირითადმა ცენტრმა ალ ჰარფორდმა შთამბეჭდავი შედეგით დაასრულა მატჩი. სეზონისწინა საგამოფენო მატჩებში ის არ ბრწყინავდა, თუმცა, რეგულარული სეზონის პირველივე მატჩში დაამტკიცა, რომ ძირითად ხუთეულში სწორედ მისი ადგილია. ჰარფორდმა მოედანზე 33 წუთი დაჰყო და ამ სეზონში პირველ დაბლსაც გამოჰკრა ხელი. ალმა თამაში 24 ქულით, 16 მოხსნით და 4 შედეგიანი გადაცემით დაასრულა. ის საუკეთესო იყო ატლანტელთა შორის. "ჰოუქსის" ძირითადი ხუთეულის ყველა კალათბურთელმა ათქულიანი ბარიერი გადალახა. ჯო ჯონსონმა 25 ქულა და 6 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, მაიკ ბიბის ანგარიშზე 10 ქულა, 5 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემაა, მარვინ უილიამსმა 14 ქულით და 4 მოხსნით დაასრულა მატჩი, ჯოშ სმიტმა კი 18 ქულა, 8 შედეგიანი გადაცემა და 3 მოხსნა შეაწია თავის გუნდს.

# შაშიაშვილი მინდორს უგოლოდ არ ტოვებს

ამ კვირაში ქართულ საფეხბურთო ლეგიონზე ორჯერ გვიწევს საუბარი. შუა კვირაში ევროტურნირები არ იმართება და არც სანაკრებო ბატალიებია დაგეგმილი. ევროპული საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატებში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა, ზოგან კი სათასო შეხვედრები ჩატარდა. ცხადია, ამ თამაშებში ქართულმა ლეგიონმაც მიიღო მონაწილეობა.

დავიწყოთ იტალიით. “მილანი” სტუმრად სიცილიაში თამაშობდა და “ნაპოლისთან” ფრედ - 2:2 დაასრულა მატჩი. “როსონერის” ძირითადში კალაძე არც ამჯერად ყოფილა, თუმცა, ქართველი მცველი ტრავმირებული ძამბროტას ნაცვლად მე-8 წუთზე შევიდა მინდორზე და თითქმის მთელი შეხვედა ჩაატარა. ლეონარდოს გუნდი მე-6 წუთისთვის მატჩს უკვე იგებდა (2:0), თუმცა, სიცილიელებმა შეხვედრის ბოლ სამ წუთში შეუძლებელი შეძლეს და ანგარიში გაათანაბრეს.

წარმატებული გამოდგა სათასო მატჩი საბერძნეთში მოთამაშე გიორგი შაშიაშვილისთვის. ქართველი მცველი, როგორც ჩანს, “ერგოტელისის” ბომბარდირობს გეგმავს. საბერძნეთის ჩემპიონატის გასულ ტურში ჩვენებურმა პირეოსის “ოლიმპიაკოსის” კარი დალაშქრა, გუშინ კი სათასო მატჩშიც გაიტანა გოლი.

ქვედალიგელ “პიერიკოსთან” მატჩი დაძაბული გამოდგა, გამარჯვებულის ვინაობა კი პენალტების სერიაში გაირკვა. “პიერიკოსმა” პირველ ტაიმში გაიტანა, სტუმრებმა კი 90-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს. მატჩის 104-ე წუთზე შაშიაშვილმა “ერგოტელისი” დააწინაურა, თუმცა, ქართველის გოლმა მის გუნდს



ანანიძემ მწვრთნელთან შეჯახებისას მიიღო ტრავმა

მაინც ვერ უშველა - 110-ე წუთზე მასპინძლებმა ანგარიში 2:2 გახადეს, თერთმეტმეტრიანების სერიაში კი თამაშიც მოიგეს.

“ერგოტელისის” მთავარმა მწვრთნელმა ნიკოს კარაგეორგიუმ შაშიაშვილი შეუცვლელად ათამაშა.

მსუბუქი ტრავმა მიიღო “სპარტაკის” ქართველმა ვუნდერკინდმა ჯანო ანანიძემ. 17 წლის ნახევარმცველი, რომლითაც უკვე ევროპული გრანდები დაინტერესდნენ, ვარჯიშზე დაშავდა. რუსული მედიის ინფორმაციით, ჯანომ სპარტაკელთა მთავარი მწვრთნელის ვალერი კარპინის ასისტენტ იგორ ლედიახოვთან შეჯახებისას მიიღო ტრავმა. თუმცა, დაზიანება იმდენად მძიმე არ არის, რომ ის “როსტოვთან” მომავალი ტურის მატჩში თანაგუნდელებს ვერ დაეხმაროს.

გერმანიაში სათასო მატჩები გაიმართა. ლევან ყენიასა და ლევან კობიაშვილის “შალკე” მათე ღვინიანიძის “მიუნხენ 1860”-ს ესტუმრა და 3:0 გაიმარჯვა. ქართველი ფეხბურთელები გელზენკირხენელთა განაცხადში არ ყოფილან, ღვინიანიძე კი სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა.

სათასო ბატალიები გაიმართა უკრაინაშიც. სიმფეროპოლის “ტავრიამ”, რომელშიც ქართველი ფორვარდი ვასილ გიგიაძე თამაშობს, ნახევარფინალში გააღწია. ვეტერანი ქართველი თავდამსხმელის გუნდმა “ობოლონი” დაამარცხა, გიგიაძემ კი საგოლე პასით გამოიჩინა თავი.

უნგრეთის თასის მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა რატი ალექსიძის “დიორ ეტომ”. დიორელებმა კაპოშვარის “რაკოჩისთან” საშინაო მატჩი 1:1 დაასრულეს. მაშინ ქართველმა თავდამსხმელმა გოლი გაიტანა, სტუმრად კი ჩვენებურის კლუბმა 2:0 გაიმარჯვა.

ალექსიძემ ამჯერადაც 90 წუთს ითამაშა და მეორე გოლის გატანისას ტოკოდის ასისტენტობა გაუწია.

ავსტრიული ბუნდესლიგის მორიგ ტურში შეუცვლელად ითამაშა ილია კანდელაკმა, რომლის “შტურმმა” სტუმრად მოიგო თამაში. გრაცელებს 24 ქულა მოუგროვდათ და მე-3 ადგილზე გადაინაცვლეს.

# კეიტა: “წარმატება” თავბრუს არ დამახვევს”

“ბარსელონას” ნახევარმცველი სეიდუ კეიტა განვლილი უქმეების გმირია. მან კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა.

**- რას გრძნობდით ამ მატჩის შემდეგ, რას აკეთებდით?**

- შინ რომ დავბრუნდი, მეუღლეს და სიდედრს ვესაუბრე. შემდეგ ვილოცე და დასაძინებლად დავწექი. ოჯახის წევრებმა გამარჯვება მომილოცეს. სულ ცოტა ფეხბურთზეც ვილაპარაკეთ. .

**- თქვენ ძალზე მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, ისეთი ადამიანის, რომელიც დისკომფორტს გრძნობს იმ აჟიოტაჟის დროს, რომელიც თქვენს გარშემო ატყდა სამი გოლის შემდეგ. მართლა ასეა?**

- დიახ. ვფიქრობ, ყველა სირთულის უკან უბრალოება დგას. და პირიქით, სიხარულს აუცილებლად მოსდევს პრობლემები. ამის გამო მუდამ ფრთხილად ვარ. არასდროს ვისვენებ. როდესაც ყველაფერი წესრიგშია, მეშინია, რადგან ვიცი, რომ სულ ასე არ გაგრძელდება და რთული პერიოდიც დადგება. როცა პოპულარობა მოდის, უნდა სცადო შეუმჩნეველი დარჩე და ყველასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნო. არ შეიძლება საკუთარი თავი მსოფლიოს მეფედ ჩათვალო, რადგან ცხოვრება ცვალებადია. ხოლო როდესაც ყველაფერი ცუდად მიდის, სიმტკიცე უნდა გამოიჩინო, რათა არავის დაამცირებინო თავი. ეს ჩემი რჩევაა.

**- ეს რჩევა თქვენს კოლეგებსაც ეხება?**

- ყველას და არა მხოლოდ ფეხბურთელებს. ყველგან არიან ადამიანები, რომლებიც წარმატების შემთხვევაში უბრალოდ აუტანლები ხდებიან.

**- რას ეუბნებით მათ?**

- არაფერს. მათთვის არაფერი მაქვს სათქმელი. მე სხვანაირი ვარ და წარმატება თავბრუს არასდროს დამახვევს. მერწმუნეთ, როდესაც ყველაფერი კარგად გაქვს და პოპულარობის პიკში ხარ, სწორედ მაშინ უნდა იყო ყველასთან მეგობრული, მორიდებული და თავშეკავებული.

**- ყველაფერი, რაც თქვით, ძალიან ჰგავს გვარდიოლას ხასიათს.**

- დიახ. მე და პეპს ერთნაირი მსოფმხედველობა გვაქვს. გვარდიოლა უაღრესად მოკრძალებული ადამიანია.

**- ამბობენ, რომ მას თქვენ განსაკუთრებით უყვარხართ...**

- “ბარსელონაში” ყოველთვის იყვნენ დიდი ფეხბურთელები, მაგრამ გუნდი ყოველთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ერთი ცალკე აღებული ფეხბურთელი. უდიდეს პატივს ვცემ გვარდიოლას, ვინაიდან მისგანაც იგივეს ვგრძნობ. ის მხოლოდ მწვრთნელი როდია, პირველ რიგში პიროვნებაა. უდიდესი გულის პატრონია და ამის წყალობით დაგვანახა, რომ ჩვენ ყველანი ერთ გემში ვსხედვართ და ერთ საქმეს ვემსახურებით. ყველანი თანასწორები ვართ და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ თამაშობს და ვინ რამდენ გოლს გაიტანს. მართო ვარსკვლავები, რომლებსაც საკუთარი, განსაკუთრებული ხასიათი აქვთ, არც ისე იოლია. ამისთვის საჭიროა გულწრფელობა. თანაც, ფეხბურთელები ბავშვები ხომ არ არიან! როდესაც ხედავენ, რომ გუნდში ყველას მიმართ ერთნაირი დამოკიდებულებაა, ამას აფასებენ.

**- ერთმანეთის მიყოლებით გატანილი გოლები... რას გრძნობდით თამაშისას?**

- კმაყოფილი ვიყავი. პირველი გოლის შემედგ ცოტა მოვეშვი, ვცდილობდი, ჩემი საუკეთესო მხარეები გამომევლინებინა. ვგრძნობ, რომ გულშემატკივარს ვუყვარვარ და ეს ნდობა უნდა გავამართლო.

**- ესე იგი, თქვენგან უფრო მეტ გოლს უნდა ველოდეთ?**

- ჩემი ძირითადი მოვალეობა მოედანზე დაცვის დახმარებაა. ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის ასე იყო. “ბარსელონაში” კი თამაშის სტილი ოდნავ შემაცვლევინეს. ბავშვობაში ფორვარდადაც მითამაშია, თუმცა, 2003 წლიდან საყრდენი ნახევარმცველი ვარ. ახლა ფორვარდის ჩვევებსაც გავიხსენებ.

**- გუნდში ამბობენ, რომ ყველაფერი, რაც ფეხბურთს ეხება, უსიტყვოდ გესმით.**

- ფეხბურთის თამაშის გარდა, სხვა სამუშაო არ მაქვს. ამიტომ მწვრთნელის თითოეულ სიტყვას ყურადღებით ვუსმენ და ვაკეთებ, რასაც მავალებენ.

# სერენა უილიამსის სეზონი

ბუბა ტუღუში

ელენა იანკოვიჩთან შეხვედრაში რუსმა დინარა საფინამ მუცლის კუნთი გაიჭიმა, ბრძოლა და ტურნირზე გამოსვლა შეწყვიტა და ამერიკელი სერენა უილიამსიც ავტომატურად გახდა ამ სეზონის დედოფალი, ანუ იანკი სეზონს პირველი ჩოგნის რანგში დაასრულებს. მეორე დღის უკანასკნელ შეხვედრაში, ქალთა არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატზე, სერენამ სამსეტიან თრილერში უფროსი დაიკო დაამარცხა და საბოლოო პირველობაც გაიფორმა. საფინას კი ძირითად ბადეში თანამემამულე ვერა ზვონარიოვა შეცვლის. ეს უაკანსკნელი შარშან ტურნირის ფინალისტი იყო.

"ტკივილი გაუსაძლისი იყო. ბოდიშს ვუხდი ტურნირის ორგანიზატორებს, ფანებს, მონაწილეებს, მაგრამ ტურნირი ჩემთვის დასრულებულია. საკმაოდ წარმატებული სეზონი მქონდა და მიუხედავად იმისა, რომ ვერცერთი სლემტურნირი ვერ მოვიგე და სეზონს პირველ ჩოგნად ვეღარ ვასრულებ, მაინც პოზიტიურად ვაფასებ ჩემს გამოსვლას 2009-ში", - იტყვის ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე



დინარა საფინამ პირველი ჩოგნობა დაკარგა.

23 წლის დინარა, რომელმაც იანკოვიჩთან მატჩში კორტზე მხოლოდ 13 წუთი გაატარა. ტურნირის დაწყებამდე რუსი ამერიკელს 155 ქულას უგებდა, მაგრამ შარშან მოპოვებული ქულების დაცვა ვერ მოახერხა და ერთი საფეხურით დაქვეითდა.

"თავისთავად, სასიამოვნოა სეზონის პირველ ნომრად დასრულება, თუმცა მერჩივნა ეს სხვაგვარად მომხდარიყო. მეცოდება დინარა, რომელმაც არაჩვეულებრივი თამაში აჩვენა ყველგან და სეზონი ასე ცუდად დაასრულა", - ეს კი სერენას სიტყვებია, რომელიც 2002 წლის მერე, პირველად დაასრულებს სეზონს პირველი ჩოგნის რანგში.

"ტკივილი ჯერ კიდევ პორტოროჟის ტურნირზე ვიგრძენი, მაგრამ მერე თითქოსდა ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. სამწუხაროდ, ამერიკის ღია პირველობიდან მოყოლებული, თავს ცუდად ვგრძნობდი და პეკინის მასტერსზე გავიფიქრე კიდეც, ხომ არ მეთქვა უარი ბოლო ტურნირში მონაწილეობაზეე-მეთქი. ცუდია, რომ ყველაფერი ასე დასრულდა", - ესეც დინარას სიტყვებია. საფინამ წელს პირველ ადგილზე 25 კვირა დაჰყო, თუმცა არაერთხელ მოექცა კრიტიკის ქარცეცხლში, რადგან დიდი სლემის ვერცერთი ტურნირის მოგება ვერ მოახერხა. დინარას თქმით, ის უახლოეს დღეებში მიიღებს გადაწყვეტილებას 2010 წლის ავსტრალიის ღია პირველობაში მონაწილეობის შესახებ.

სერენა და ვენუსი ერთმანეთს 22-ედ შეხვდნენ და უმცროსმა უილიამსმა მე-12 გამარჯვება გაიფორმა, რითაც ნახევარფინალში თამაში გაინაღდა, მეორე ადგილისთვის ბრძოლაში კი ფავორიტად ელენა დემენტიევა იქცა, ვისაც პირველ შეხვედრაში ვენუსი სამ სეტში ჰყავს დამარცხებული.

დების ჯახი მართლაც ეპიკური გამოდგა. პირველი სეტის წვალებითა და სერენას უამრავი უნებლიე შეცდომით მოგების შემდეგ, ვენუსს მესამე სეტის მე-12 გეიმში მატჩპოინტი ჰქონდა, მაგრამ შეცდომა დაუშვა, ბოლოს კი პატარა უილიამსმა მე-12 ეისით წერტილი დაუსვა ყველაფერს. ისიც ვთქვათ, რომ მესამე სეტში დებმა ერთმანეთს სამსამჯერ აართვეს მოწოდება.

მეორე ჯგუფში კი დანიელმა თინეიჯერმა კაროლინ ვოზნიაცკიმ ბოლომდე იომა ბელარუს ვიკა აზარენკასთან და ბოლო სეტში 3:5 ჩამორჩენის მიუხედავად, მაინც აჯობა მეტოქეს. აღსანიშნავია, რომ ვოზნიაცკის, რომელიც ამერიკის ღია პირველობის ფინალისტი (კიმ კლაისტერსთან დამარცხდა) და ერთეულთა კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილოსანია, მესამე სეტში მატჩპოინტის გადარჩენა მოუხდა.

# ტეხასური დომინანტი

## ლებრონის ტრიპლ-დაბლი და ძალიან მაგარი "სელტიქსი"

ნატა ამბოკაძე

ლებრონ ჯეიმსის მორიგი სამმაგი დუბლი, "კავალიერსის" კიდევ ერთი ფიასკო და "ბოსტონის" დომინაცია მერე გავარჩიოთ, მიმოხილვა კი სეზონის ერთ-ერთი ფავორიტის - "სან ანტონიოს სპურსის" სუპერსტარტით დავიწყოთ. გრეგ პოპოვიჩის ბიჭებს ძლიერი და მოტივირებული ოპონენტი ჰყავდა კრის პოლის "ნიუ ორლეანის" სახით.

მას მერე, რაც გუნდს პოპოვიჩი უდგას სათავეში, "სან ანტონიო", წელს პირველად, სახელფასო ლიმიტის გადაჭარბების გამო, არცთუ მცირე შენატანს გააკეთებს ლიგის ფონდში. შეცვლილი, გაახალგაზრდავებული "დეზები" კვლავ ჩემპიონობაზე დაიგეშებიან და საამისო მიზეზ-რესურსი ნამდვილად ექნებათ. ტიმ დანკანს, ტონი პარკერს, მანუ ჯინობილისა და ბებერ მაიკლ ფინლის დაემატა მაგარი მექულე რიჩარდ ჯეფერსონი, გამოცდილი მეფარე ტონი მაკდაიესი, ბლოკშოტების მანქანა ტეო რატლიფი და წლევანდელი დრაფტის ალბათ მთავარი აღმოჩენა, ფორვარდი დეჟუან ბლერი.

უბრალოდ, "სპურსის" ლიდერები ჯანზე უნდა შეხვდნენ პლეი-ოფს და რეგულარულში, რაც შეიძლება, ნაკლები მატჩი დათმონ.

სოლიდური გუნდი ჰყავს "ნიუ ორლეანსაც", რომელიც ბოლო წლებში "სპურსისთვის" უხერხულ ოპონენტად იქცა. მოარულ ტრავმად ქცეული ტაისონ ჩენდლერი ემეკა ოკაფორმა შეცვალა, მომჯობინდა პეჟა სტოიაკოვიჩიც. უბრალოდ, ამ მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მოტივირებული "სან ანტონიო" ამ სეზონში "ლეიკერსის" შემდეგ ყველაზე მაგარი იქნება.

"სპურსის" ტრიუმფი კი ლამის ტრაგედიად იქცა - "კრაზანების" სათადარიგო ჰილტონ არმსტრონგთან შეჯახების მერე პარკერი ზურგით დაეცა და წამოდგომას დიდხანს ვერ ახერხებდა. ტონის, ევა ლონგორიას გარდა, ყველა მიესია, პოპოვიჩმა კი მხოლოდ მას მერე ამოისუნთქა, რაც პარკერი მაკაიესმა და დანკანმა წამოაყენეს და მოედნიდან გაიყვანეს. ფრანგ პლეიმეიკერს სამედიცინო გამოკვლევა იქვე, დარბაზში ჩაუტარეს. მოსალოდნელია, რომ პარკერმა, დიდი-დიდი, ერთი მატჩი გამოტოვოს.


ტონი პარკერის ნოკდაუნი "ნიუ ორლეანთან" მატჩში

"უსიამოვნო ეპიზოდი იყო. სეზონის ტრავმით დაწყება, როგორი მსუბუქიც არ უნდა იყოს ის, მძიმე გადასატანია. იმედი მაქვს, ტონი უკვე კარგად გრძნობს თავს", - ამბობდა მატჩის შემდეგ ჯეფერსონი, რომელმაც ტონის ნოკდაუნიდან რამდენიმე წამში კრის პოლთან ძველბიჭობისთვის ტექნიკური ფოლი მიიღო. მას არც კრისი ჩამორჩა - ისიც ასევე დაისაჯა.

მასპინძლებმა ოპონენტს გადამწყვეტი დარტყმა მეორე მეოთხედში მიაყენეს. "ჰორნეტსმა" ზედიზედ 10 "ცოცხალი" სროლა გააფუჭა, "სპურსმა" კი ეს მონაკვეთი 16:0 მოიგო და თამაშის დარჩენილი დროც ფორმალობად იქცა.

ტრავმამდე პარკერმა მოასწრო და 26 წუთში 17 ქულა და 6 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. დანკანს ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა, ჯინობილიმ კი 16 ქულას 4 ზუსტი პასი დაურთო. და მაინც, "სპურსის" გმირი ბლერი გახდა.

პოპოვიჩს დრაფტის ქვედა ეშელონში მარგალიტების მოძიების უნიკალური ნიჭი აქვს (თუნდაც ჯინობილის მაგალითი გავიხსენოთ). ბლერი ფორვარდია, მაგრამ ფარზე დენის როდმანივით მუშაობს, არ თმობს არც ერთ მილიმეტრს და აკურატულადაც ისვრის ბურთს. "სპურსს" მისი სახით უდიდესი ძალა დაემატა, დანკანს და ბებერ მაკდაიესს კი დამქანცველი რეგულარულისას სულის მოთქმის საშუალება ექნებათ.

ამ მატჩში მან 10 სროლიდან 7 გამოიყენა, შეტევაში 5 მოხსნა მოიმკო და როდესაც მოედანზე იყო, მისმა გუნდმა ის მონაკვეთი +11 სხვაობით მოიგო.

გადავიდეთ "ბოსტონისა" და "შარლოტის" მატჩზე, უფრო სწორად, ყველაფერზე, გარდა მატჩისა, გარდა კალათბურთისა...

"ბობქეთსმა" ათივე (!) სამქულიანი გააფუჭა, სროლების მხოლოდ 25 პროცენტი გამოიყენა და 25 საჯარიმოდან 12 გააფუჭა. "სელტიქსი" დაცვაში ლიგაში საუკეთესოა, მაგრამ არა იმდენად, რომ მეტოქეს ასე შეერცხვინა თავი.

კევინ გარნეტისა და რაშიდ უოლასის წინააღმდეგ "შარლოტის" მაღლებმა ტაისონ ჩენდლერმა, ნარზ მოჰამედმა და ვლადი რადმანოვიჩმა ჯამში საცოდავი 6 ქულა მოაგროვეს, "სელტიქსი" კი ბრდღვნის ყველაფერს. ამ მატჩშიც იბობოქრა რეიჯონ რონდომ, რომელმაც პირველ დღეს "კლივლენდთან", 10 ზუსტი პასის მერე, ამჯერად ის მაჩვენებელი კიდევ ერთი უზადო შედეგიანი გადაცემით გააუმჯობესა. რაშიდმა ახლაც სამი ზუსტი სამიანით დაასრულა მატჩი, გარნეტს კი სამი დაფარება ჰქონდა.

ზედიზედ მეორედ შერცხვა ლებრონის გუნდი. თუ პირველად "კავალიერსი" "ბოსტონთან" დამარცხდა, საშუალო დონის "ტორონტოსთან" 10-ქულიანი ფიასკო უკვე ნამეტანია.

მარცხი ვერც მეგამონსტრის ანუ ჯეიმსის (23 ქულა, 12 პასი, 11 მოხსნა) ტრიპლ დაბლმა შეალამაზა. ისიც ვთქვათ, რომ ლებრონმა თამაშიდან 12 სროლა ვერ გამოიყენა და 14 საჯარიმოს შესრულებისას ექვსჯერ შეცდა.

შაკილ ო`ნილის მონაგარი ამ მატჩში 12 ქულა და 7 მოხსნა იყო. დევკაცმა ამჯერადაც ყველა საჯარიმო გააფუჭა, "რეპტორზის" რიგებში კი იფრინეს არაამერიკელებმა.

ანდრეა ბარნიანი მატჩის საუკეთესოდ მოთამაშედ დაასახელეს, რაშიც იტალიელ ფორვარდს 28 ქულა და 15-იდან 11 ზუსტი სროლა დაეხმარა. ესპანელმა პროფესორმა ხოსე კალდერონმა კი 31 წუთში 11 ზუსტი პასი ჩამოურიგა თანაგუნდელებს. "კავალიერსი" კრის ბოშმაც დატანჯა და რეგულარული 21 ქულითა და 16 მოხსნით გახსნა.



## საკონკურსო განცხადება

საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი;
2. აპარატის (დეპარტამენტის) მთავარი სპეციალისტი (IT);
3. აპარატის (დეპარტამენტის) წამყვანი სპეციალისტი;
4. საჯარო სამსახურის რეფორმისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
5. საჯარო სამსახურის რეფორმისა და განვითარების დეპარტამენტის სპეციალისტი.

*საკონკურსო მოთხოვნები:*

- უმაღლესი განათლება (სასურველია განათლება მიღებული ჰქონდეს საზღვარგარეთ);
- უცხოური ენა (სავალდებულოა ინგლისური);
- მუშაობის გამოცდილება რომელიმე საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციაში ან სახელმწიფო სტრუქტურაში;
- კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა (მაღალ დონეზე);
- საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობის უნარი;
- წერილობითი ანგარიშების მომზადების, წარდგენისა და რეკომენდაციების შემუშავების უნარი;
- დადგენილ ვადებში მუშაობის უნარი;
- სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესისადმი მდგრადობა;
- ანალიტიკური აზროვნება;
- ორგანიზებულობა;
- პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარი;
- უნარი ჩაატაროს კვლევები (მათ შორის სამართლებრივი შინაარსის) სხვადასხვა ქვეყნების კონკრეტული კანონმდებლობის შესახებ.

***საკონკურსო მოთხოვნები* აპარატის (დეპარტამენტის) მთავარი სპეციალისტის (IT) *თანამდებობაზე:***

- უმაღლესი განათლება;
- სასურველია პროგრამირების საფუძვლების ცოდნა;
- უცხოური ენა (სასურველია ინგლისური);
- სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესისადმი მდგრადობა;
- დადგენილ ვადებში მუშაობის უნარი;
- ორგანიზებულობა;
- პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარი.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა მიმდინარე წლის **30 ოქტომბრიდან 8 ნოემბრის** ჩათვლით უნდა გადმოაგზავნონ **CV** შემდეგ ელ-ფოსტაზე**: ttsenteradze@csb.gov.ge.**

კანდიდატის მიერ დაგვიანებით წარმოდგენილი **CV** არ მიიღება.

**CV-**ის შეფასების შედეგად წარმატებული კანდიდატები მიწვეულნი იქნებიან გასაუბრების გასავლელად.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: **ttsenteradze@csb.gov.ge.**

აღნიშნული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: **www.csb.gov.ge** (საჯარო სამსახურის ბიურო) და **www.jobs.gov.ge** (დასაქმება საჯარო სამსახურის სისტემაში).

გისურვებთ წარმატებებს!
საჯარო სამსახურის ბიურო

## დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 28 ოქტომბერს, გაზეთ “24 საათში” (N235) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურებისა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის გაწევის შესყიდვას:

**მესამე პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

**3.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, სადაც მოცემული იქნება ზოგადი მოსაზრებები გასაწევი მომსახურების განხორციელების შესახებ და აღნიშნული იქნება ის ძირითადი სტანდარტები და ნორმები (მომსახურების გაწევისას გამოყენებული და დაცული უნდა იქნას საერთაშორისო და საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმები და სტანდარტები), მომსახურების ღირებულების გარეშე (ქართულ ენაზე) უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტებით 2009 წლის 24 ნოემბრის 900 საათიდან 1800 საათამდე, და 2009 წლის 25 ნოემბრის 900 საათიდან 1200 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (დედანი და ასლი), შემდეგ მისამართზე: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მეოთხე სართული, საქმისწარმოების განყოფილება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისია

## Clarification

Correction has been made to the Specific Procurement Notice published by Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia on October 28, 2009 in local newspaper "24 Hours" (#235) for the procurement of services related to preparation of design and bidding documentation for roads rehabilitation and if necessary, author's supervision over the certain projects.

First paragraph of clause 3 should be set forth as follows:

3. Interested Bidders should submit (in Georgian language) the qualification data and initial Bids with description of general conceptions for conducting the services and applied standards and norms (during performance of the services should be applied and followed applicable international and Georgian standards and norms). No financial proposal is required. Qualification data and initial bids should be submitted in two copies (original and a copy) sealed in separate packages on November 24, 2009 from 900 to 1800 and on November 25, 2009 from 900 to 1200 to the following address: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, Records Management Unit, 4th floor.

Tender Commission
Roads Department of Georgia

**შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი” (ყოფილი “თბილისის წყალი”) აცხადებს ღია კონკურსს ქალაქ თბილისში გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის მშენებარე შენობის წყალმომარაგება-წყალარინების სამუშაოების წარმოებაზე.**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” შესყიდვების განყოფილებაში, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 09:00 - 18:00 სთ-მდე.

განცხადების მიღების საბოლოო ვადაა მ/წ 19 ოქტომბერი.

საკონტაქტო ტელეფონი 8(32) 487141, 8(32) 487143

**ელ-ფოსტა:** ekvintradze@georgianwater.com; zmamatsashvili@georgianwater.com;

## განცხადება “საფრანგეთის სს ტრანსამინი-ს წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ

ვინაიდან “საფრანგეთის სს ტრანსამინი-ს წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ლიკვიდაციის პროცედურა დასრულდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა კრედიტორი დაკმაყოფილებულია, სს ტრანსამინი-ს პრეზიდენტმა და გენერალურმა დირექტორმა, 2009 წლის 8 ოქტომბერს, კომპანიის წესდების 14.2 მუხლის შესაბამისად მიიღეს გადაწყვეტილება “საფრანგეთის სს ტრანსამინი-ს წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ.

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

## შპს “ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი” აცხადებს ტენდერს:

კასპის ცემენტის ქარხნისთვის რეკუპერატორის დამზადებაზე (თანდართული ნახაზების მიხედვით, რაოდენობა 9 ცალი).

მონაცემების წაღება შეგიძლიათ განცხადების
გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე:
მელიქიშვილის გამ. N16, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47
ელ. ფოსტა:
tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მოწოდების ბოლო ვადაა: 2009 წლის 12 ნოემბერი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცხადებს ხელახალ ტენდერს 2009 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: 3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი დახმარება ქ. თბილისში;

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2009 წლის 19 ნოემბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 20 ნოემბერს, 10-დან 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-6 სართული, სააქტო დარბაზი. ***დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.***

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან).

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან).

6.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) დაწესებულების სალიცენზიო მოწმობა და/ან ცნობა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტაცია კონკრეტული საქმიანობების მიხედვით შესაბამისობაშია მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან;

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

გ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის თაობაზე და დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის შესახებ, რომ სათანადო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.

14. ტენდერში მონაწილებისი მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

15. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-13 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შევსებას არ ექვემდებარება.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ალექსანდრე მამალაძე, ლალი დევიძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 936629, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

სატენდერო კომისია

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო (მის. ქ. თბილისი, გულუას ქ. N6) აცხადებს ხელახალ ტენდერს მაღალი გამავლობის პიკაპის ტიპის ავტომანქანების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია:

სამი ერთეული მაღალი გამავლობის პიკაპის ტიპის ავტომანქანა.

3. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა.

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. N6.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის განბაჟება და გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადი.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2009 წლის 18 ნოემბრის 14 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. N6, მე-5 სართული, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკონომიკური სამსახური.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 20 ნოემბრის 14 საათამდე, განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე. ***დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.***

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

6.2 ფიზიკური პირისათვის:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);
- ცნობა სასამართლოდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ორ ეგზემპლარად: ერთი ეგზემპლარად ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე - ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადები არ მიიღება.

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

12. **ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 5%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით.**

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს *სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე*, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. N6, მე-5 სართული, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკონომიკური სამსახური.

14. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შევსებას ***არ ექვემდებარება***.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ეკონომიკური სამსახურის მთავარი სპეციალისტი რუსუდან კაპანაძე. ტელ: (822) 75 23 52; 895 25 70 40; შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. N6, მე-5 სართული, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკონომიკური სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნითY გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულებები გაფორმდა შემდეგ მიმწოდებლებთან: ლოტი N1 - შპს „გეოკოლორი"; ლოტი N2 - შპს „არტტექსი", ლოტი N3 - შპს „ორნამენტი", ლოტი N4 - ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს **საოფისე ავეჯის** შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის ქუჩა N12, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 30 ოქტომბრიდან 19 ნოემბრის 18.00 საათამდე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

1. შესყიდვის ობიექტი - საოფისე ავეჯი.
2. საქონლის მიწოდების ადგილი - ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის ქუჩა N8; ქ. ლენტეხი, აღმაშენებლის ქუჩა N12 და ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N41.
3. საქონლის მიწოდების ვადა: 2009 წლის 01 დეკემბერი.
4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 20 ნოემბრის 11.00 საათიდან 14.00 სათამდე მისამართზე: ქ. ქუთაისი, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო, ჯავახიშვილის ქუჩა N12.
5. ტენდერში მონაწილის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
   ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
   ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
   გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
   დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
   ე) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ.
6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
7. შერჩევის დროს დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.
8. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
9. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
10. ტენდერი ჩატარდება 2009 წლის 20 ნოემბრის 14.00 საათზე მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა N12.
11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გივი ვაჩიბერაძე, ტელ. 899 69 82 87.

**სატენდერო კომისია**

**1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**

## მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება:** P41198-NCB-70

**ქ. ზუგდიდში გამარჯვების, ნეკრასოვის, აფაქიძის და წითელი ჯვრის ქუჩების რეაბილიტაცია**
**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 30 ნოემბერი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი **მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ***ქ. ზუგდიდის გამარჯვების, ნეკრასოვის, აფაქიძისა და წითელი ჯვრის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების*** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს გამარჯვების (1506 მ), ნეკრასოვის (235 მ), აფაქიძის (240 მ) და წითელი ჯვრის (274 მ) ქუჩებზე საგზაო საფარის (ორფენიანი ასფ/ბეტონი ქვედა ფენა - 6სმ, ზედა ფენა - 4სმ) კაპიტალურ შეკეთებას, საერთო ფართობით 20607 მ2.

ასევე:
- არსებული ტროტუარების შეკეთება - 1081 მ2;
- ახალი ბეტონის ბორდიურების მოწყობა - 274 მ;
- საკომუნიკაციო-სათვალთვალო ჭების თავების საპროექტო ნიშნულზე გასწორება - 50 ცალი;
- ბეტონის ღია სანიაღვრე არხების მოწყობა - 4184 მ;
- რკ/ბ დახურული სანიაღვრე კოლექტორების მოწყობა - 32.3 მ3;
- ეზოებში შესასვლელებზე რკ/ბ ფილების მოწყობა - 196 ცალი;
- კანალიზაციის ქსელის მშენებლობა - 613 მ;
- საკანალიზაცო ჭების მოწყობა - 22 ცალი;
- დახურული სანიაღვრე ქსელის მოწყობა - 120 მ (6 ცალი ჭით).

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **5 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:
- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **1,5** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **6,8** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **1,9** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **50,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **30 ნოემბრის 12:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **30 ნოემბერს 12:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

## ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,2009 წლისთბილისში ილია ჭავჭავაძის გამზ. №32-ში მდებარე უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საუნივერსიტეტოკორპუსში სასადილოს მოწყობის, ასევე დაბა სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის დაფინანსების ფარგლებშიმთავარი შენობის და საექსპედიციო სტაციონალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სპორტკომპლექს ,,ქარიშხალას" გადახურვის და ახალი საქვაბის მონტაჟის, ქ.სამუშაობის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,დაგი".

## ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,2009 წლისჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში მდებარე უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული კორპუსის მეოთხე სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ,,უმაღლესისართულის სრული, მესამე სართულის ნაწილობრივი, კიბის უჯრედისა და ცენტრალური საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამის" (,,კავკასიის კვლევისშემოსასვლელის რეაბილიტაციის სამუშაოზის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში საერთაშორისო სკოლა") დაფინანსების ფარგლებში ქ. თბილისში, ქ.გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,იბერია".

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის დასახლებაში, სოფელ ჭკადუაში, სოფელ ახალსოფელში და სოფელ ინგირში იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში გარე წყალსადენ-კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები**

**სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/63-2009**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის დასახლებაში, სოფელ ჭკადუაში, სოფელ ახალსოფელში და სოფელ ინგირში იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში გარე წყალსადენ-კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები**

**(ტენდერის ნომერი: SB/IDP/CW/63-2009).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

**ბანკი "რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი**
**გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო**
**ბანკის კოდი: 220 101 757**
**სალარე ანგარიშის N: 340 800 01**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 30 ოქტომბრის 12:00 საათიდან 19 ნოემბრის 12:00 საათამდე.

3. შესყიდვის ობიექტი და განსახორციელებელი სამუშაოების მოკლე აღწერა:

**ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის დასახლებაში, სოფელ ჭკადუაში, სოფელ ახალსოფელში და სოფელ ინგირში იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში გარე წყალსადენ-კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები**

ზემოჩამოთვლილ სოფლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს:

- ჭაბურღილების მოწყობას ან წყლის არსებულ სათავეზე სატუმბი სადგურის რეაბილიტაციას;
- არსებულ წყლის რეზერვუარების რევიზიას და რემონტს;
- გარე წყალსადენის ქსელების მოწყობას და საცხოვრებელ კორპუსებთან მიერთებას;
- კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების (სალექარების) მოწყობას;
- გარე საკანალიზაციო ქსელის მოწყობას, საცხოვრებელ კორპუსებიდან გამწმენდ ნაგებობამდე.

*დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.*

4. სამუშაოების შესრულების სასურველი ვადა შეადგენს 3 თვეს.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ;

6. შერჩევის პროცესში საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო მინიმალური მოთხოვნები:

- ერთობლივი შემოსავალი ბოლო სამი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს **მინიმუმ 12.9 მლნ. ლარს.** აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი ბოლო სამი კალენდარული წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის ასლი ან დუბლიკატი.
- პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 1 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო. სამუშაოთა მოცულობა და სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70%-ს ფულად გამოსახულებაში. აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ, დამკვეთისა და სახელშეკრულებო ღირებულების მითითებით.

8. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენაციას განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 30 ოქტომბრიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 13:00 საათამდე.

9. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

10. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების **1%-ის** ოდენობით. წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 19 ნოემბრის 12:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

12. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 19 ნოემბრის 12:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

13. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით (აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებისას).

14. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია.

15. 2009 წლის **19 ნოემბრის 12:00** საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

16. **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართი:**
**საქართველო, ქ. თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, მესამე სართული;**
**ტელ: +995 32 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15**
**ფაქსი: +995 32 48 45 55**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**
**ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge**

17. დამატებითი ინფორმაციის გამცემი უფლებამოსილი პირია ბ-ნი მალხაზ ხურცილავა, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მგფ-ს შესყიდვების სამმართველოს უფროსი. საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია წინამდებარე განცხადების მე-16 მუხლში.

# ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის და მათემატიკის ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. 2009 წლის 29 ოქტომბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის და მათემატიკის ფაკულტეტზე შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად :

ა) ასტროფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;
ბ) ასტროფიზიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ანკეტა ( შევსებული);
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ)ოთხი ფოტოსურათი 3X4;
დ)შესაბამისი სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
ე)ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;
ვ)ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა ( სილაბუსი);
ზ) კანდიდატს შეუძლია აგრეთვე წარმოადგინოს სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებს მის შესაბამისობას ამ ბრძანების მე-5 მუხლში ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან;

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

ა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამასთან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
ბ) ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან უნდა იყოს დოქტორანტი;

5. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;
ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;
გ) სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში);
დ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება;

6.საბუთების მიღება იწარმოებს ფიზიკის და მათემატიკის ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 30 ნოემბრიდან. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 21 დეკემბერი;

7.კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2010 წლის 22 იანვარს.

8.კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალად ჩაითვლებიან და შრომის ხელშეკრულება გაუფორმდებათ 2009 წლის 22 იანვრიდან.

9.საბუთები აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით ( სამეცნიერო ნაშრომის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა არ არის აუცილებელი). საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული ან დისკით, ან გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: uni@iliauni.edu.ge

# განცხადება

სპს ხაჩიძე & გოჩელაშვილების საკონსულტაციო ჯგუფთან არსებული საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წარმოებაშია **მარინა დემეტრაძის საარბიტრაჟო პრეტენზია შპს „სამშენებლო-საინვესტიციო კომპანია ლიბო"-ს დირექტორის მამუკა აბესაძის** მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. მოპასუხე **შპს „სამშენებლო-საინვესტიციო კომპანია ლიბო"-ს დირექტორი მამუკა აბესაძე** უნდა გამოცხადდეს არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის ჩასაბარებლად მ/წ 04 ნოემბრამდე. საქმის განხილვა დანიშნულია 2009 წლის 10 ნოემბერს, 12 სთ.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში არბიტრაჟი საქმეს განიხილავს მოპასუხის დასწრების გარეშე.

მისამართი: 0160, ქ. თბილისი, იპ. ხვიჩიას ქ. №38/40, ბინა №4.
ტელ.: 10-47-42; 890-325-325.
*სპს „ხაჩიძე & გოჩელაშვილების*
*საკონსულტაციო ჯგუფთან არსებული*
*საქართველოს მუდმივმოქმედი*
*არბიტრაჟის თავმჯდომარე: ლ. გოჩელაშვილი*

# საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 68 „29“ ოქტომბერი 2009 წ.

**“საქართველოში განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხაში შემავალი ელექტროსადგურების მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე” საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №46 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 1 აპრილის №71 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ო” ქვეპუნქტის, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსის ვ. კიკვაძის ა.წ. 15 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. “საქართველოში განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხაში შემავალი ელექტროსადგურების მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე” საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №46 ბრძანებით დამტკიცებული “საქართველოში განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხიდან” ამოღებულ იქნეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდ. ფარავანზე ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურები: არაკლი (18.2 მგვტ.), ნინოწმინდა (9.4 მგვტ), აბული (12.5 მგვტ.), ფოკა (0.5 მგვტ.) და ნუსხა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში.

ალექსანდრე ხეთაგური

საქართველო, თბილისი, 0105 ბარათაშვილის ქ. 2; ტელ./ფაქსი: 35 78 28, 35 78 00; ელ-ფოსტა: mail@minenergy.gov.ge
2 Baratashvili str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel./Fax: +995 32 35 78 28, +995 32 35 78 00; E-mail: mail@minenergy.gov.ge

## საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ჰესების ჩამონათვალი

| № | ჰესის დასახელება | მდინარის დასახელება | რეგიონი | სავარაუდო დადგმული სიმძლავრე მგვტ | რეგულირების სახეობა | განცხადების მიღების ვადა | მიწის საკუთრება* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაგანა | მაგანა | სამეგრელო | 21.3 | წყალსაცავი | უვადო | სახელმწიფო |
| 2 | ლექარდე | მაგანა | სამეგრელო | 20.0 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 3 | მედანი | ჭანისწყალი | სამეგრელო | 4.4 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 4 | ლებარდე I | ლებარდე | სამეგრელო | 4.56 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 5 | ლებარდე II | ტეხური | სამეგრელო | 4.16 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 6 | ერჯია | ტეხური | სამეგრელო | 24.40 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 7 | ცხიმრა | ტეხური | სამეგრელო | 29.0 | წყალსაცავი | უვადო | სახელმწიფო |
| 8 | ნობულევი | ტეხური | სამეგრელო | 18.5 | წყალსაცავი | უვადო | სახელმწიფო |
| 9 | ლეჩახა | ტეხური | სამეგრელო | 17.8 | წყალსაცავი | უვადო | სახელმწიფო |
| 10 | ლესულუხე | წაჩხურუ | სამეგრელო | 6.7 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 11 | ტეხური 1-6 | ტეხური | სამეგრელო | 19.2 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 12 | ნაკრა ჰესი-1 | ნანკრა | სვანეთი | 19.6 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 13 | ნანკრა | ნანკრა | სვანეთი | 29.16 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 14 | | | | | | | |
| 15 | | | | | | | |
| 16 | | | | | | | |
| 17 | | | | | | | |
| 18 | | | | | | | |
| 19 | ხუმპრერი | ხუმპრერი | სვანეთი | 16.37 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 20 | ხელედულა 1 | ხელედულა | სვანეთი | 8.5 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 21 | ხელედულა 2 | ხელედულა | სვანეთი | 8.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 22 | ხელედულა 3 | ხელედულა | სვანეთი | 12.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 23 | სტორი ჰესი-1 | სტორი | კახეთი | 10.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 24 | ჩეშურა I, II | ჩეშურა | რაჭა | 8.5 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 25 | სამიწო | ჯეჯორა | რაჭა | 10.0 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 26 | ჯეჯორა | ჯეჯორა | რაჭა | 15.8 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 27 | ხობი ჰესი-1 | ხობის წყალი | სამეგრელო | 27.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 28 | ხობი ჰესი-2 | ხობის წყალი | სამეგრელო | 25.0 | მოდინებაზე | დახურულია | დასაზუსტებელია |
| 29 | ხობი ჰესი-3 | ხობის წყალი | სამეგრელო | 11.1 | მოდინებაზე | დახურულია | დასაზუსტებელია |
| 30 | ჯანაული | ჯანაული | რაჭა-ლეჩხუმი | 13.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 31 | ალპანა | რიონი | რაჭა-ლეჩხუმი | 69.0 | წყალსაცავი | უვადო | დასაზუსტებელია |
| 32 | ჭალა | ყვირილა | იმერეთი | 9.14 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 33 | ჯრია | ყვირილა | იმერეთი | 9.2 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 34 | ბორითი | დუმალა | იმერეთი | 6.4 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 35 | წაბლარი 1 (საირმე) | წაბლარის წყალი | იმერეთი | 5.80 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 36 | წაბლარი 2 | წაბლარის წყალი | იმერეთი | 10.2 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 37 | ხან-წაბლარი 3 | ხანი-წაბლარის წყალი | იმერეთი | 8.30 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 38 | ხანი 7 | ხანისწყალი | იმერეთი | 6.4 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 39 | ზესტაფონი 1 | ყვირილა | იმერეთი | 10.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 40 | ზესტაფონი 2 | ყვირილა | იმერეთი | 11.9 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 41 | ზესტაფონი 3 | ყვირილა | იმერეთი | 15.9 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 42 | ზესტაფონი 4 | ყვირილა | იმერეთი | 15.9 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 43 | თაზარა | შავიწყალი | იმერეთი | 6.0 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 44 | სახელარი | შავიწყალი | იმერეთი | 5.3 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 45 | ხუნევი | ძირულა | იმერეთი | 11.3 | წყალსაცავი | უვადო | სახელმწიფო |
| 46 | | | | | | | |
| 47 | | | | | | | |
| 48 | გუბაზეული 6 | გუბაზეული | გურია | 5.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 49 | | | | | | | |
| 50 | ბახვი ჰესი-1 | ბახვისწყალი | გურია | 15.0 | წყალსაცავი | უვადო | დასაზუსტებელია |
| 51 | ბახვი ჰესი-2 | ბახვისწყალი | გურია | 20.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 52 | ბახვი ჰესი-3 | ბახვისწყალი | გურია | 6.0 | მოდინებაზე | დახურულია | დასაზუსტებელია |
| 53 | ხალა | ჩაქვისწყალი | აჭარა | 13.0 | წყალსაცავი | უვადო | სახელმწიფო |
| 54 | მერისი | აკავრეთა | აჭარა | 11.5 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 55 | სხალთა | სხალთა | აჭარა | 5.3 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 56 | იორი | იორი | მცხეთა - მთიანეთი | 9.7 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 57 | ძეგვი | მტკვარი | მცხეთა - მთიანეთი | 10.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 58 | თერგი | თერგი | მცხეთა - მთიანეთი | 11.4 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 59 | დარიალი | თერგი | მცხეთა - მთიანეთი | 50 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 60 | სამყურისწყალი I | სამყურის წყალი | კახეთი | 12.4 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 61 | სამყურისწყალი II | სამყურის წყალი | კახეთი | 22.2 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 62 | ავანი | ავანის ხევი | კახეთი | 4.6 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 63 | დურუჯი | დურუჯი | კახეთი | 1.74 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 64 | ურაველი | ურაველი | სამცხე-ჯავახეთი | 5.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 65 | | | | | | | |
| 66 | | | | | | | |
| 67 | | | | | | | |
| 68 | | | | | | | |
| 69 | სტორი ჰესი-2 | სტორი | კახეთი | 10.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 70 | ჩელთი ჰესი-1 | ჩელთი | კახეთი | 4.8 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 71 | ჩელთი ჰესი-2 | ჩელთი | კახეთი | 4.8 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 72 | ქსანის ჰესი-1 | ქსანი | მცხეთა-მთიანეთი | 4.2 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 73 | ქსანის ჰესი-2 | ქსანი | მცხეთა-მთიანეთი | 2.1 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 74 | ქსანის ჰესი-3 | ქსანი | მცხეთა-მთიანეთი | 3.2 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 75 | ქსანის ჰესი-4 | ქსანი | მცხეთა-მთიანეთი | 3.6 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 76 | ქსანის ჰესი-5 | ქსანი | მცხეთა-მთიანეთი | 6.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 77 | მარელისი | ბჟოლის ხევი | იმერეთი | 4.6 | მოდინებაზე | უვადო | სახელმწიფო |
| 78 | მტკვარი ჰესი | მტკვარი | სამცხე-ჯავახეთი | 28 | მოდინებაზე | დახურულია | დასაზუსტებელია |
| 79 | ბახვი ჰესი-4 | ბახვისწყალი | გურია | 1.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 80 | ბახვი ჰესი-5 | ბახვისწყალი | გურია | 2.0 | მოდინებაზე | უვადო | დასაზუსტებელია |
| 81 | ლუხუნი ჰესი 1 | ლუხუნისწყალი | რაჭა | 10.8 | მოდინებაზე | დახურულია | დასაზუსტებელია |
| 82 | ლუხუნი ჰესი 2 | ლუხუნისწყალი | რაჭა | 12.0 | მოდინებაზე | დახურულია | დასაზუსტებელია |
| 83 | ლუხუნი ჰესი 3 | ლუხუნისწყალი | რაჭა | 7.3 | მოდინებაზე | დახურულია | დასაზუსტებელია |

*: წარმოდგენილი ზოგიერთი ჰესებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრება დგინდება

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

**სსიპ თბილისის 183-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს ბუფეტის ფუნქციონირებისათვის**
**სკოლის შენობის ფართის იჯარით გაცემაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს**

კონკურსის ორგანიზატორი - სსიპ თბილისის 183-ე საჯარო სკოლა.

კონკურსის მიზანი - ბუფეტის ფუნქციონირება.

საშუალება - სკოლის კუთვნილი 31 კვ.მ ფართის იჯარით გაცემა.

საიჯარო ფართის წლიური ღირებულება - 1 კვ.მ 45 აგგ დოლარის ეკვ. ლარებში.

იჯარის ვადა - 1 წელი (შესაძლებელია ვადის გაგრძელება.

აუცილებელი პირობები:
- სკოლის კონტიგენტისთვის შესაფერისი მენიუს მომზადება
- დაბალი ფასები
- ხარისხიანი პროდუქტის შემოტანა და მომზადება
- დაცული უნდა იყოს საკვებადვარგისიანობის ვადები
- იჯარით აღებული ქონების გაფრთხილება
- საიჯარო გადასახადის ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებში
- მის მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების დროული გადახდა
- მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება გადაკეთების და რეკონსტრუქციების გარეშე
- სახანძრო უსაფრთხოების, ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:
1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღების შესახებ;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. გადამხდელის მოწმობის ასლი;
4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
5. ცნობა საგადასახადო ორგანოდან დავალიანების არქონის შესახებ;
6. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საბანკო ანგარიშების შესახებ;
7. მისი საქმიანობის მოკლე დახასიათება;
8. პროგრამა მენიუსა და ფასების შესახებ;
9. შეგიძლიათ წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია.

განცხადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 29 ნოემბერი.

განცხადებების მიღება იწარმოებს:

ქ. თბილისი, ღამბაშიძის ქ. №3-ში

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონზე:
22-53-21.

## შპს “საქართველოს რკინიგზა” აცხადებს (საერთაშორისო) მოწვევას ინტერესთა გამოხატვაზე, რკინიგზის მოდერნიზებისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებისა და საპროექტო სამუშაოების შესრულების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით

**პროექტის დასახელება**: საქართველოს რკინიგზის მოდერნიზება
**ქვეყანა:** საქართველო
**ბიზნეს სექტორი:** ტრანსპორტი
**დაფინანსების წყარო:** შპს “საქართველოს რკინიგზა”
**ხელშეკრულების ტიპი:** ტექნიკურ ეკონომიკური გადაწყვეტილება (დასაბუთება) და საპროექტო სამუშაოები
**განცხადების ტიპი:** მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე
**გამოცხადები თარიღი:** 30 ოქტომბერი 2009 წელი
**დახურვის თარიღი:** 16 ნოემბერი 2009 წელი 17:00 სთ. საქართველოს ადგილობრივი დროით.

**ტექნიკურ ეკონომიკური გადაწყვეტილება (დასაბუთება) და პროექტირება მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე**

შპს “საქართველოს რკინიგზა” იწვევს საერთაშორისო კომპანიებს, რომელთაც გააჩნიათ, გამოცდილება რკინიგზის მოდერნიზების საპროექტო სამუშაოების სფეროში (რკინიგზის მაგისტრალის ინფრასტრუქტურა, ელექტრომომარაგების ინფრასტრუქტურა, სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების სისტემა, საკონტროლო - გამანაწილებელი სისტემის დისპეჩერიზაცია, დისტანციური მართვის სისტემა) და სურვილი მიიღონ მონაწილეობა შპს “საქართველოს რკინიგზის” მოდერნიზაციისათვის აუცილებელი ტექნიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებებისა (რეკომენდაციების) და შემდგომ პროექტირებაში, რომელიც თავის მხრივ დაეფუძნება ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებულ საუკეთესო ვერსიას.

პროექტის მიზანია შეიქმნას რკინიგზის მოდერნიზების შესასრულებლად აუცილებელი საუკეთესო ტექნიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილება (დასაბუთება) და შესაბამისი პროექტი ქვემოთ მოცემულის გათვალისწინებით:

1. სატვირთო გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანის ოპტიმიზაცია;
2. სადგურების, დეპოებისა და ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია;
3. მოძრავი შემადგენლობის ოპტიმიზაცია (სატვირთო და სამგზავრო);
4. საექსპლოატაციო ხარჯების შემცირება;
5. მოძრაობის უსაფრთხოების სრულყოფა და საექსპლუატაციო რისკების შემცირება;
6. სატვირთო გადაზიდვების გამტარუნარიანობის ზრდა;
7. ახალ ლიანდაგზე მატარებლის სიჩქარის ზრდა შესაძლებელ მაქსიმუმამდე.

**პროექტის აღწერილობა**

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო წარმოადგენს სატრანზიტო ქვეყანას აღმოსავლეთის ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან (დსთ), წიაღისეულობით მდიდარი აზერბაიჯანის გავლით, დასავლეთის ქვეყნების მიმართულებით, შავი ზღვაზე არსებული, ბათუმისა და ფოთის პორტების საშუალებით. სატრანზიტო მარშრუტის სამხრეთით განლაგებულია თურქეთის, სომხეთის და ირანის რესპუბლიკები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ პოტენციური ტვირთნაკადის წყაროს. აქვე აღსანიშნავია, რომ სოხუმის პორტი ოკუპირებულია სეპარატისტების მიერ და მოწყვეტილია საერთაშორისო სავაჭრო გზებს.

შპს “საქართველოს რკინიგზის” არსებული ინფრასტრუქტურის პოზიტიურ მხარეებად შეიძლება მიჩნეულ იქნას: 1) ზოგიერთი მცირე მონაკვეთების გამოკლებით, კარგ მდგომარეობაში მყოფი ლიანდაგი; 2) ელექტროფიცირებული მთლიანი ქსელი; 3) სალოკომოტივო და სავაგონო პარკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დადებითი მაჩვენებელი; 4) უწყვეტი სატვირთო გადაზიდვები და შესაბამისი შემოსავლები; 5) დადებითი სალდო. რაც შეეხება სუსტ მხარეებს, ისინი შემდეგია: 1) მოძველებული, არაეფექტური სისტემა და ძირითადი საშუალებები ზღუდავს უსაფრთხოების გაუმჯობესებას, შემოსავლის ზრდას.

**საკვალიფიკაციო მონაცემები**

შერჩევაში მონაწილე საკონსულტაციო ფირმა სასურველია იყოს იურიდიული პირი, რომელმაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი, კომპეტენტური, პროექტზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც შეასრულებს წაყენებულ მოთხოვნებს. საკონსულტაციო ფირმას უნდა გააჩნდეს ანალოგიური მახასიათებლებისა და სირთულის მომსახურების შესრულების გამოცდილება ზემოთჩამოთვლილი სპეციფიკაციების მიხედვით.

ტექნიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილების (დასაბუთება) მოწოდების საბოლოო ვადა არის 3 თვე. კონსულტანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაიწყოს საპროექტო სამუშაოები, მას შემდეგ რაც წარმოადგენილი ტექნიკურ ეკონომიკურ გადაწყვეტილება (დასაბუთება) მოწონებულ იქნება და მიიღებს შესაბამის წერილობით მოთხოვნას დამკვეთისაგან სამუშაოების დაწყების შესახებ. პროექტის მოწოდების საბოლოო ვადა აითვლება ზემოხსენებული მომენტიდან და შეადგენს 9 თვეს.

ხელშეკრულება დაფინანსებული იქნება შპს “საქართველოს რკინიგზის” მიერ. შერჩევაზე დაიშვებიან ნებისმიერი ქვეყნის რეზიდენტი კომპანიები.

დაფინანსებას არ ექვემდებარებიან ის პირები, ასევე იმ საქონლის იმპორტი, რომელიც აკრძალულია გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით და მისი წესდების VII თავით.

დაინტერესებული კომპანიები უფლებამოსილნი არიან გამოხატონ თავიანთი ინტერესი შერჩევაში მონაწილეობის მისაღებად შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენის გზით:

- კომპანიის პროფილი, ორგანიზაცია და პერსონალი;
- გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია, ინფორმაცია მსგავსი მომსახურების გაწევის შესახებ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მათი ადგილმდებარეობის მითითებით;
- პესრონალის მონაცემები (CV), რომლებიც განახორციელებენ ზემოაღნიშნულ მომსახურებას.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს.

წარმოდგენილი დოკუმენტების ორი ეგზემპლარი შესრულებული ინგლისურ ენაზე, კონვერტში მოთავსებული, წარწერით: “ინტერესის გამოხატვა შპს “საქართველოს რკინიგზის” მოდერნიზაციისათვის **ტექნიკურ ეკონომიკური გადაწყვეტილებისა (დასაბუთება) და საპროექტო სამუშაოების შესახებ**” წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინფორმაციია წარმოდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს 2009 წლის 16 ნოემბრისა საქართველოს ადგილობრივი დროით 17:00 სთ-მდე. ზემოაღნიშნული ინფორმაცია ასევე ალტერნატიული გზით შეიძლება წარმოდგენილ იქნას ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

ggurgenidze@railway.ge და alominadze@railway.ge.

შემდგომი დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საკონტაქტო პირებს:

გიორგი გურგენიძე - შპს “საქართველოს რკინიგზის” ინფრასტრუქტურის დირექტორი
თამარ მეფის გამზირი 15, თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: + 995 (32) 56-31-85
ელ-ფოსტა: ggurgenidze@railway.ge

**ან** ანტონ ლომინაძე - შპს “საქათველოს რკინიგზის” გენერალური დირექტორის ფინანსური კონსულტანტი
თამარ მეფის გამზირი 15, თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 (32) 56 20 50
ელ-ფოსტა: alominadze@railway.ge

## "Georgian Railway" LLC invites international companies to submit expressions of interest for the Feasibility Study and Initial Design for the modernization of "Georgian Railway"

Project name: Modernization of the Georgian Railway
Country: Georgia
Business Sector: Transport
Funding Source: "Georgian Railway" LLC
Type of Contract: Feasibility Study and Initial Design
Type of Notice: Request for Expressions of Interest
Issue Date: 30 October 2009
Closing Date: 16 November at 17:00 (Georgian Local Time)

FEASIBILITY STUDY AND INITIAL DESIGN
INVITATION FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgian Railway LLC (GR) invites experienced international companies with demonstrated experience in the design work of railway infrastructure Modernization (Rail Track Infrastructure, Electricity Supply Infrastructure, Signalling, Centralization and Blocking System, Dispatching Control System, Remote Control System), to submit expressions of interest for the composition of technically and economically feasible recommendations for the modernization of "Georgian Railway" LLC and of subsequent Initial Design based upon the best version proposed by the Feasibility Study.

The key objectives of the GR modernization are to make technical and economic feasibility recommendations and subsequent Initial Design for the following:

a) Freight and passenger traffic optimization;
b) Stations, depots, and infrastructure optimization;
c) Freight and passenger rolling stock optimization;
d) Reduction of operational expenses;
e) Improvement of operational safety and reduce operational risks;
f) Increase in freight carrying capacity;
g) Increasing the speed of trains to the maximum permissible for a new track.

Project Description

Due to its geographic location, Georgia is a transit country for traffic from (i) the eastern CIS countries via the Caspian Sea; (ii) directly from mineral-rich Azerbaijan, (iii) to a lesser degree, from the South, originating in Iran and Turkey, and (iv) directly from and to Armenia. East-west traffic is mostly handled through ferry links crossing the Black Sea via the ports of Batumi and Poti, while the port of Sokhumi in the now separatist-led province of Abkhazia is cut off from international trade links.

GR's strengths include: (a) track built to sustain an axle load of 25 tons and generally in good condition except for some sections; (b) electrification of almost the whole network; (c) adequacy of locomotives and wagons; (d) a sustained level of freight traffic and revenues; and (e) a positive surplus. However, some weaknesses including the following: old and inefficient design of systems and assets are limiting improvement in safety, profitability and growth. GR infrastructure suffers from a severe backlog of modernisation, and thereby cannot cover actual and future transport needs in an effective and competitive way.

Qualifications

It is anticipated that consulting firm will be a corporate entity and will provide a suitable qualified multi-disciplinary project team able to deliver the requirements of the terms of reference. The consulting firm shall have demonstrable experience in the provision of similar services with a similar nature and complexity regarding the objectives enumerated above.

The deadline for the submission of Feasibility study is 3 months. The Consultant shall commence the works immediately on the Initial Design after the submission of the Feasibility Study to the "Georgian Railway" LLC and after the written request to the Consultant indicating the requirement for the commencement of the works on the Initial Design.

The deadline for the submission of the Initial Design is 9 months after the commencement of the works on the Initial Design.

The contract will be financed by "Georgian Railway" LLC, so firms from any country are eligible.

The proceeds will not be used for the purpose of any payment to person or entities, or for any import of goods, it such payment is prohibited by a decision of the United nations security council taken under Chapter VII of the Chapter of United Nations.

Interested firms are hereby invited to submit expressions of interest. In order to determine the capability and experience of firms seeking to be shortlisted, the information submitted shall include the following:

" Company profile, organisation and staffing;
" Details of experience or similar assignments undertaken in the previous five years, including their locations;
" CVs of staff that could be available to work on the assignment.

The above information should not exceed 30 pages.

Two (2) copies of the above information in English should be submitted to the address below in an envelope marked "Expression of Interest for Feasibility study and Initial Design Modernization of the Georgian Railway", for delivery not later than 16 November 2009, at 17:00 Georgian local time. Alternatively, expressions of interest may be submitted by e-mail to the following e-mail address, ggurgenidze@railway.ge and alominadze@railway.ge

Further information may be obtained from the following contact persons:

Mr. Giorgi Gurgenidze
Infrastructure Director "Georgian Railway" LLC
15, Tamar Mepe str., Tbilisi, Georgia
Tel/Fax: + 995 (32) 56-31-85
E-mail: ggurgenidze@railway.ge
or
Mr. Anton Lominadze
Financial Consultant to the CEO of "Georgian Railway" LLC
15, Tamar Mepe str., Tbilisi, Georgia
Tel/Fax: + 995 (32) 56-20-50
E-mail: alominadze@railway.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერია (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქუჩაზე (ხიდსა და გოგოლის ქუჩას შორის) სავალი ნაწილის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2009 წლის 30 დეკემბრამდე** პერიოდი.

**3. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ*, 2009 წლის 30 ოქტომბრის 12:00 საათიდან 2009 წლის 19 ნოემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.**

*****ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

- მიმღების დასახელება: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერია
- (ს/კ 245576826)
- მიმღების ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ ბათუმის ფილიალი
- ბანკის კოდი: 220101901
- ანგარიში: 360801010300125
- გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქუჩაზე (ხიდსა და გოგოლის ქუჩას შორის) სავალი ნაწილის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები

**5. პრეტენდენტებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი) და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად (CD დისკზე), დალუქული კონვერტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 20 ნოემბრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაცია. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.**

**6.** პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**6.2. ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილტაცია-რეკონსტრუქცია) სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2007, 2008 და 2009 (2009 წლის 1 ნოემბრამდე) წლები) განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილტაცია-რეკონსტრუქცია) სამუშაოები, საერთო ღირებულებით 500.0 ათასი ლარის ოდენობით, ამასთან ამ პერიოდში ერთ-ერთი ობიექტის სამუშაოების ღირებულება უნდა შეადგენდეს 50.0 ათას ლარს.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოს შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქ. ბათუმის მერიის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება | შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 და ა.შ. | | | | | |
| | სულ ჯამი | | | | |

**შენიშვნა:**

- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;
- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
- განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**7.** პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატისაგან. ტელ: (888222) 7-26-18, (888222) 7-26-17, ან მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## სს “ტაოპრივატბანკი” აცხადებს ტენდერს სადეპოზიტო სეიფების შეძენაზე. ტენდერში მონაწილე კომპანიისათვის სს “ტაოპრივატბანკის” მოთხოვნაა:

1. 2 სეიფი მე-2 კლასის
2. 4 დეპოზიტების სვეტი
3. 32 პატარა ზომის უჯრა
4. 24 საშუალო ზომის უჯრა
5. 4 დიდი ზომის უჯრა

განაცხადი უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტების მიხედვით:

ა) განაცხადი მონაწილეობაზე;

ბ) თქვენი შემოთავაზება ჩვენი მოთხოვნების მიხედვით;

გ) ინფორმაცია ფასისა და მომსახურების გაწევის გრაფიკის შესახებ;

დ) მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება, რეგისტრაცის ნომერი და თარიღი;

ე) საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი;

ვ) საბანკო რეკვიზიტები;

ზ) წარმომადგენლობასა და ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ქსეროასლი.

თქვენი განაცხადი წარმოდგენილი (გამოგზავნილი) უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზირი №114, სს “ტაოპრივატბანკი”.

განაცხადისა და შემოთავაზების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 6 ნოემბერი, 18:00. აღნიშნული ვადის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება. განაცხადი შეფასდება არაუგვიანეს 2009 წლის 10 ნოემბრისა, ზემოთ მითითებულ მისამართზე. შემოთავაზება წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 55 55 55 (1112); 891 11 17 17 (მაკა კიზირია), ან 55 55 55 (1188); 891 11 01 10 (ლევან თოთაძე).

იყიდება!

მოქმედი მრავალფრაქციული "დრაბილკა", ლიცენზირებული კარიერით 80 000 კვ. მ-ზე ტექნიკასთან ერთად:

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "TO-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

ფასი შეთანხმებით

საკონტაქტო ტელეფონი: 897 56 20 60

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

ს ი ა ხ ლ ე !

მნიშვნელოვანი ფასდაკლება

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

**საქმე N3-290/09 წ.**

# განჩინება
# საქართველოს სახელით

**სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ**

**05 ოქტომბერი, 2009 წელი ქალაქი ბათუმი**

**ბათუმის საქალაქო სასამართლო**

**მოსამართლე გოჩა ფუტკარაძე**

**მოსარჩელე -** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
**მოპასუხე -** მინდია ბედინაძე
**დავის საგანი -** ზიანის ანაზღაურება

მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გზავნილის საჯაროდ გავრცელების საკითხი

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში მინდია ბედინაძის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის ჯარიმის სახით 20637 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის 6686,73 ლარის, სანივთე ქონების დავალიანების სახით 155,40 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით 6191,1 ლარის გადახდის დაკისრება.

თავის მოთხოვნას მოსარჩელე მხარე შემდეგ გარემოებებზე ამყარებს: 2005 წლის 15 ივლისს მინდია ბედინაძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი, რომლის თანახმად მოპასუხე დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 სექტემბრის №2194 ბრძანებით მოპასუხე მინდია ბედინაძე 2006 წლის 05 სექტემბრიდან დათხოვნილი იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე და 201-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, მოპასუხეს გაეგზავნა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები საქართველოს სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მაგრამ ვერ ჩაბარდა, რადგანაც სარჩელში მითითებულ მოპასუხის მისამართზე მინდია ბედინაძე აღარ ცხოვრობს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ გაცემული წერილით დასტურდება, რომ მინდია ბედინაძე რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. ბათუმი, თ. სახოკიას №57.

მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა შემდეგი მტკიცებულებები:

- ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.
- ცნობა სამხედრო მოსამსახურე მინდია ბედინაძეზე ხელფასის, კვებაზე დახარჯული, სანივთე უზრუნველყოფაზე დახარჯული, ერთი თვის საშტატო დარიცხული ხელფასის, მივლინებაზე დახარჯული, სწავლებაზე და მომზადებაზე დახარჯული თანხის შესახებ.
- მონაცემები სამოქალაქო რეესტრის ვებ გვერდიდან.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 სექტემბრის №2194 ბრძანება შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ.
- მინდია ბედინაძის პირადობის მოწმობა.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №2404 ბრძანება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვევისა და თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

მინდია ბედინაძეს სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდა, ვინაიდან მოსარჩელე მხარის მიერ მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სამოქალაქო საპოცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევას, კერძოდ, მოპასუხეს ვერ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ (არ ჩაბარებია სარჩელი და თანდართული მასალები), სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების (მოცემულ შემთხვევაში სარჩელისა და თანდართული მასალების) საჯაროდ გავრცელების შესახებ გაზეთი „24 საათი“-ს მეშვეობით, ვინაიდან იგი მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად, სასამართლო უგზავნის მოპასუხეს სარჩელისა და ამ კოდექსის გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისათვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასზე დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს. სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს წერილობითი პასუხის სასამართლოში წარმოდგენისათვის უნდა მიეცეს 07 დღე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. მოპასუხე მინდია შაქირის ძე ბედინაძეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის განესაზღვროს 07 დღის ვადა და განემარტოს, რომ სარჩელისა და თანდართული მასალები მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდეს დღეს, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა აითვლება ამ დროიდან.

2. განემარტოს მოპასუხე მინდია ბედინაძეს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. საპატიო მიზეზად კი ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

3. განემარტოს მოპასუხე მინდია ბედინაძეს, რომ სასამართლოში წარმოდგენილ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი;
2. მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები;

- ცნობთ თუ არა სარჩელს და რა ნაწილში; ხოლო თუ არ ცნობთ, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება თქვენი გესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს თქვენს მიერ მითითებულ გარემოებებს;

- რა საპროცესო საშუალებებით აპირებთ სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ გაქვთ აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა.შ.

- ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;
- რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები;
- პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

- მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;
- პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადეგენელს;
- პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ გარემოებას, ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით;

- მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები; მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა;

- მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;

- მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით;

- სხვა სახის შუამდგომლობები.

5. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „24 საათი“. საჯარო შეტყობინება განხორციელდეს მოსრჩელის ხარჯზე.

6. განჩინებაზე კერძო საიჩვარი არ დაიშვება.

**მოსამართლე: გოჩა ფუტკარაძე**